

9/47 9/28/1950
სიცოდურის მიერ

მოსი ჯანაშვილი.

ს ბ ე რ თ ვ ე ლ რ ე

დ ე დ ა ქ ა გ ა ქ ი ა

ტ ვ ი ლ ი ს ი ს ი



ა მ ი ც ი დ ი ს ი ს ი ს ი
ა მ ი ც ი დ ი ს ი ს ი ს ი ს ი

ლ ა მ ბ ა ზ ი ძ ე ს ს ტ ი ც ი დ ი ს ი ს ი

1899


Արարատ և պատմութեան
6.5.

Արարատ և պատմութեան

ԱՐԱՐԱՏ ՎԱՐԱՐ

Վարար

0 5 0 2 0 8 8



ԱՐԱՐԱՏ ՎԱՐԱՐ
ԱՐԱՐԱՏ ՎԱՐԱՐ
ԱՐԱՐԱՏ ՎԱՐԱՐ
ԱՐԱՐԱՏ ՎԱՐԱՐ

Դօզ. պեպուլու. 5 մայ 1900 թ. Տիֆլիսъ.

ს ს მ ს რ თ ვ ი ღ რ ს

დ ე დ ა - ქ ა დ ა ქ ა

ტ ვ ი ღ რ ი ს ი .



თინა, რომი, ბაბილონი, მცხეთა, ბაღდადი,
ტრილისი... მარტო ამ სახელების გავონება
ჩვენს მესსიერებაში აშლის ხულმე აუარებელ
მოვონებას კაცობრიობის წარსულიდან. და
ეს განა არა იმისთვის, რომ ამ ქალაქებში
„დ მ ე რ თ ნ ი ღ მ ე რ თ თ ბ დ ე ნ“ და მეფენი
მეფობდენ“, რომ მათ ეკირათ მთელის სახელმწიფოს
სამართი საკე და რომ მათი სიძლიერე ანუ სისუსტე,
ბედნიერება ანუ უბედურება მოასწავებდა თეთ სა-
ხელმწიფოს აღყვაებასა და ანუ დაცემა-დაძაბუნებას!
ამიტომაც, ისტორია რომელიმე სამეფოს ღედაქალაქისა
არის იგივე ისტორია მთელის სახელმწიფოსი.

წარსულ დროსუამთა წყვდიაღში იკარგება ქართ-
ველ ერის ზოვიერთ ქალაქების დასაბამი. პირველხავე

ქართველებთან ერთად, მრავალთა საუკუნეთა უწინოსობა
ქრისტეს შობისა, წნდებიან დაბაჟალიერი: ქრისტიანობის
მაზი), მცხოვა, უფლისცახე, თარისე, გარისა (ბედია), ქუთა-
ისა, ტერეთა (ხორნაბუჯი იორა-ალაზნის შესართავთან),
ორშისა (სამშეილდე), მტკერის-ცახე (შემდევ ხუნანი გა-
ტეხილ ხიდთან დებედა-მტკერხე), დედაცახე, მოსტან-
ქადაქა (რესტაცი ყარაიას), გამანა (სანალირო ქალაქი
სომხითში), ბერ (ჩელეთი, შილდა), ოუკარისა („სპერის
მდინარეზე, რომელ არს კოროხი“), წუნდა (ჯავახეთში),
არტანი (ძველი პური და შემდევ ქაჯთა ქალაქი), ურ-
ნასა და კასი.

შესამე-მეოთხე საუკ. ქრ. წინად ამათ მიემატენენ
კიდევ: დაშნა და შორაპანა (ააშენა ფარნავაზმა), სეროვასა,
კოდა, ხელქარი (ნენქარი=ნეკრესა). მცხეთა ამ დროს
„დიდი ქალაქი“ იყო და მისს უბნებად ითვლებოდნენ:
სარკანე (სარკინეთის მთის სიმაგრე), ცახე-დადა (ძეგვის
ახლოს), ზანავა და თვით ქალაქი ქართლიც, რომელ-
საც ეწოდა არშაზა და საცა იყო უმთავრესი სალოცავი
ქართველებისა—საფლავი ქართლოსისა და აგრეთვე
ღმერთი არშაზა, გაცა და გაამ.

ქართლ (არშაზ)-მცხეთა ქართლოსის დროითგანვე
„თავადობდნენ“ საქართველოში, და ეს თავადობა (რე-
ლიგიური და პოლიტიკური უპირატესობა) შერჩა მას
მეექვნე საუკუნის ნახევრამდე და ამ დროიდგან კი მისი
„თავადობის ერთი წილი—პოლიტიკური უპირატესობა
—მიითვისა ტფილისმა.

„ქართლის ცხოვრება“ ტფილისის აშენებას ვახ-
ტანგ გორგასალს მიაწერს. მას ეთანხმება ზეპირთქმუ-
ლობაც: მთელი არე-მარე ტფილისისა ტყით მოცული
იყოთ. ერთ დღეს ამ ტყეში ვახტანგ გორგასალი ნა-

დირობდათ. მისმა მწევრებმა ხოხობი ააფრინესო. შიგი
ქორი ხოხობს გამოედევნათ და ორთავე ფრინველის მის
მაღალ გადიკარგნენო. მეფე მშლებლებითურთ ქორის
საძეპნელად წავიდათ. ბევრი ძეპნის შემდევ ნახეს,
რომ ქორი და ხოხობი ჩაცეინულან ერთ წყაროში და
ჩახარშულიან. ქორი, თურმე, ისეთის სისწრაფით დას-
ცემოდა ხოხობს, რომ ჰაერში თავი ვეღარ შეემაგრე-
ბინა და ბრჭყალებში შებოუილ ხოხობითურთ ძირს წა-
მოსულიყო და ხსენებულ წყაროში ჩაეხარდნილიყო.
ეს არე-მარე მეფემ კარგად დათვალიერა და ნახა,
რომ ამ შევნიერ აღვილის იყო მრავილი წყარო: გრი-
ლი, ტფილი და ცხელი, და უველის გოგირდის სუნი
სდიოდა. მეფეს უთხრეს, ამ წყაროებს სამჯურნალო
თვისება უნდა ჰქონდეთო. ვახტანგს მოეწონა წყაროე-
ბიცა და მათი აღვილ-მდებარეობაც, ააშენა ქალაქი და
სახელად, ტფილი წყლების გამო, ტფილის უწოდათ.

მართალია, რომ ტფილის სახელი სითბოსაგან
დაენათლა. ცნება „თბილს“ უწინდელი ქართველები
გამოსთქმიდნენ ნაირნაირად: ტფალი, თბილი (და შეუ-
მოკლებლად კი ტაფილი, თბილი). და ამიტომ ვამბობთ
და ვსწერთ „ტფალისა“, „თბილისა“. ვარნა თვით ქალი
ქის აშენებისას და შემდეგ ამისა კიდევ კარგი ხანს ეს
სახელი შეუმოკლებლად ცოცილი ხმარებული და „ტაფ-
დასა“ რქმდეთა. და ეს მტკიცდება მით, რომ მეცქვე
საუკუნეში ბერძენთა მწერლები საქართველოს დედა-
ქალაქს უწოდებენ ტაფასად, და შემდეგში ასრევე
უწოდებენ ამ ქალაქს არაპნიცა და თურქნიც (თათარ-
ნი). სანს, დასაწყისში ქართულადაც „ტიფლისი“ ყო-
ფილია. კისგან, თუ არა ქართველებისგან ისწავლიდნენ
უცხოელნი ამ სახელს? და რომ „ტიფლი“ (ივივე)

„თიბილი“), რომლისხმანაც წარმოსდგა „ტეფოლის“ /
„თიბილისი“), შემდევში შემოკლებულა ფართული: //
(თბილ)-ად გამხდარია, ეს მტკიცდება ამ სტუდიაში შემ
ნურ-მევრულ გამოთქმითაც: შეგრულად „ტაბუ“ და
სვანურად „ტებდა“ (და იგრეთუე „თვი“ თბილს ნიშ-
ნავს *).

რაიც შეეხება თქმულებას, რომ, კოთომ, ტფილისი
პირველად იეშენებითს ვახტანგ გორგახალს, ეს სარ-
წმუნო არ უნდა იყოს. ქართლის ცხოვრებაში ეს-აუ-
ლობთ საბუთებს ჩექნის აზრის დასაშტკიცებლად.

ტფილისი იხსენიება ფარნავაზის დროიდვანცე (ფარ-
ნავაზი მეფობდა 302—237 წლ. ქ. წინად). მისს ცხო-
ვრებაში სწერია: „საერისთავო ხუნანისა არის ბერდუ-
ჯის მდინარითვან ტფილისმდე და გარიანამდე, რომელ
არს გარდაპანი“ (გვ. 31); და კიდევ ამის წინად: „მცხე-
ოსმია ააშენა მცხეთა და დაიპურა ქვეყანა ტფილისათვან
და არაგვითვან ზღვამდე სპერისა“ (გვ. 20).

ტფილისი იყო საზღვარი მცხეთისა და ხუნანის
სახპასპეტოებისა. გრძანი (გლდანი), ლილო, მარტყო-
ფი ხუნანამდე იწოდებოდა გარდაპანად. და ამ გარდა-
პნის მხარეს იყო (და არის) ნაწილები ტფილისისა
ასანა, კადა და შემდეგში ქუკაც.

ქართლის ცხოვრებაშივე ცკითხულობთ: „მოვიდეს
სპარსენი სომიის და მოახსენეს. შემოვიდეს ქართლს.
სპარსოა ერისთავმა ააშენა ტფილისა კართა შორის ცი-
ხედ მცხეთისა“. ვარაზ-ბაკურ მეფე (379—394 წ.)

*) ნებ გვამისთვება პროფესიალური სატელი. ამ აუნდა
შეკრული „წეარი“, რომელიც ნაშავს წეადს. წეანებური
„წეარი“ და შეკრული „წეარი“ ქროი და იგავეს.

სპარსთა ერისთავის ხარკის ძღვება აღუთქვა. და ასე
შემდეგ სპარსებმა ჰყოფა გადასაცეს „ციხე ტფმინჩისა და და
და წავიდნენ“ (ქ.-ქ. გვ. 105).

ამ დროითვან ტფილისს, ოოგორუ სტრატეგიულს
სიმაგრეს, ემატება მნიშვნელობა. სპარსნი საქართვე-
ლოს ასაონრებლად რომ მოჭიან, პირველად სკლილო-
ბენ ფეხი მოიკიდონ ტფილისში.

ვახტანგ გორგასლის პაპის დრომდე ქართლი სპარ-
სთა ერისთავის „განხიდვებელი იყო“ (გვ. 108), ხოლო
ეს ერისთავები განაგებდენ ავტორე ჩანს და მოვავანს
(იქვე). ქართველთა მეფეები ებრძოდენ მათ და ერთ-
ერთ ამ ბრძოლაში მოატრდა ტფილისიც. ხოლო ვახ-
ტანგი რომ ტატებე ავიდა, სპარსთა ყავნი კვლავ შე-
მოესია საქართველოს. იბრძოლება დოლანს. მეფე გა-
მაგრებულ იყო მცხოვაში. „ქართლის ცხოვრება“ ამ-
ბობს (გვ. 134): „ოდეს მე განვლიან ფონი მტკვრისა
და შეიბნიან ფონსა ჩედა ტფილისისას, და რომელსამე
დღესა მათ სამიზნი და რომელსამე მათ“. ბრძოლა მო-
რიგებით გათავდა. ორნიუე მეფენი შეიყირნენ „ველსა
შედა ქალისას, ხოლო ტფილისა საფეხი და კალაცა
მოოხრებულ იყო მაშინ“. მეფეებმა ერთმანეთი მოიკი-
თხეს და გადასწუუტეს, რომ „ორთავე ერი (სპარს-ქართ-
ველნი) თავ-თავის სჯულსა ჩედა გარდაუკალ დაშთხეს“.

ამის შემდეგ გავიდა რაოდენიმე წელიწადი და
ვახტანგი შეუდგა გაობრებულ ტფილის შენებას.
„მეფე აშენებდა ქალაქსა ტფილისა და საფურცელი
ოდენ დაედვა“ (გვ. 146), რომ ყენმა, ხოსრო I-მა
(გამეფდა 531 წ.) მოციქულის პირის შემოუფალა;
მოკვდა მამა ჩემი და მეფედ მყო მე ერმან მისმან...
მოვალ მე წინაშე შენსა და შენ წარმიქელვ წევნ შესვ-

ლასა ჩვენსა საპერმეოს და მომეც ასული შენი უ-
ლად* (იქვე). მეფემ უარი შეუთვალა. ყაენს რეგამთქვე-
მართა საქართველოსკენ. განჯით გადმოვიდა იურის უზა-
ბაში. მოახტრა ქიზიყი, ველიციხე და იორზედ დადგა.
ვახტანგი გამავრდა უჯარმაში. მტრები სასტიკად შე-
იპნენ იორზედ. ვახტანგმა ყაენს მოუკლა შვილი და
გაუწყეიტა მრავალი მეომარი, გარნა თვითონაც დაიპ-
რა. ყაენი იორზედ ველარ დადგა და რუსთავს მივიდა.
იქითვანაც აყარა, მოახტრა ტფილისი, არმაზის არე-
მარე და სამცხით კარნუ ქალაქს (არზრუმს) წავიდა.
იგი შიშობლა ბერძენთა იმპერატორი არ შეჰქოდა
უპატრონოდ დარჩენილ სპარსეთს.

მაშასადამე, უწინარეს ქამს ტფილისი ყოფილი
სოფელი, შემდეგ იგი ციხე-სიმაგრედ შექმნილა (379
წ.) და მერე ქალაქად ვახტანგ გორგასლის დროს **).

ვახტანგის შვილი დაირ სცდილობდა გაედიდებინა
ტფილისი. მან „განასრულნა ზღუდენი ტფილისისანი
და, ცითარ ეპრძინა ვახტანგს, იგი შექმნა სახლად სამე-
უფოდ“ (ქართ.-ცხ., გვ. 150). „და დაირ დროსვე ტფი-
ლისს კაცნი დასხდებოდეს და მათ წმიდამ ეკკლესიაზ
(სიონი) აღაშენება“ ***).

მეფე ბაკურის დროს საქართველოს თავს დაატყდა
დიდი უბედურება: სპარსთ თვისი უფლება დაამკიდრეს
ქართლსა, სომხითსა, სიკიითსა და გუასპურაგანს და

*) ვახტანგ გორგასლის ცხოვრება, საქართველოს ას-
ტორიას შეკვეთართაგან ქართნებერნის არების გამო, ზღაპ-
რებდ ამიად მაპნათ „ქართლის ცხოვრების“ შტრების. შისი
ასტორია საკმაოდ კაშთარკვეული პუაქს და ტალას დაგმებდაგა.

**) სამა ქრ. ე. თავათშვილის, გვ. 30.

ბაკური რომ მოკედა, სპარსელებმა ქართველებს არ მისცეს ნება ჰყოლოდათ თვისი მეფე. ამიტომ ირავნობდნენ შეიღენ გამაგრძელენ კახეთის მთიულეთს და მათნი მონათებსაც მფლობელნი კლარჯეთის კლდეებში. ამასთან ავე თვისთვისად განდგნენ ერისთავნი და ხარქ აძლევდნენ სპარსთა მეფის ორმუზდ IV-ის (579—591 წ.) შვილს ქაბრე II ამბარვებს (591—628 წ.), რომელსაც ეპურა რანი და მოვაკანი. ამ უბედურ დროს „მცხოვად ითხელდებოდა და ტფილისი ეშენებოდა, არმაზნი შემცირდებოდეს და კალად განდიდნებოდა“ (ხამი ქრ., გვ. 34).

შემდეგ ამისა საქართველოს ტახტი რომ იპყრო გურამ ბაგრატიონშა, „ტფილისის მეკიდრო იწყებს ეპკლესის გება. ნახევარსა იქმოდა ყოველი ერი და ნახევარსა ერისთავნი“ *) (ხამი ქრ., გვ. 34). ქართ.-ცხ. გვ. 164). „გურამშან გმნაახლა საფუძველი ტფილისის სიონისა, ხოლო შემდგომად გურამისა განასრულება, აღშენებად ტფილისის სიონისა: ნახევარი ერთშან ეინმე ქერივმან დედაკაცმან და ნახევარი ყოველშან ერთშან“. სტეფანოზ I-ის გამს ტფილისი უკავ ისეთი დიდი და ცრცხელი ქალაქი იყო და ისეთი ძლიერი ციხე ჰქონდა, რომ იგი იტევდა დიდადს ხალხსა და ჯარსა, და შეეძლო კარგა ხანს გამაგრძებოდა ძლევა-მოსილს მტერს—საბერძნეთის იმპერატორს ერეკლეს. ხომარის

*) სემბატის ქრონიკაში სწერაა: „გურამისა—ზე ტვალისისა მკვადრითა ეპკლესიასა გებად იწყებს, რომდღისა ნახევარსა უოველი ერი აშენებდა და ნახევარსა ურთი ვანშე დედაქაცა“ (ხამი ქრ., გვ. 45). თვისმურაზის ვარაბნტათ, „გურამშან განაახლა სიფუძველი ტფილისის სიონისა“ (აქვთ, გვ. 46).

მწერალი უხტანესი ამბობს, რომ 595 წ. უკვე ტფი-
ლისი იყო უდიდებულესი სატახტო ქოლაქი სამხრეთი კავკასიაში
ლოისა, იგი იყო სასწაულებრივ შენებული, საუცხოვო
და შესანიშნეავის *).

ამავე დროს სპარსეთში მეფობდა იგი ქასრე ॥
ამბარევზი, რომელსაც მომხრეობდა სტეფანოზი. მიზეზი
სპარს-პერძენთა ომისა ის იყო, რომ ქასრემ დაირყო
მთელი მცირე ახა და ევებტე, გაელიტა 90,000 სუ-
ლი ქრისტიანე და თუკ საბერძნეთსაც მუქირა შესთ-
ვალა. მანება და ძლიერმა ერეკლე იმპერატორმა დიდ-
ძილი ლაშქარი გადმოსხა მცირე ახიას და ზედიხედ
დაამარცხა ქასრე. მერე იგი წამოვიდა ალბანისაკენ და
დაიზამთრა მუღამა (625 წ.). გზა-და-გზა მან შემუსრა
ცეც-ლის-მსახურთა ტაძრები. ქრისტიანე ერნი სიხარუ-
ლით ეგებებოდნენ ერეკლეს. მეორე წელიწადს იგი
შეესია სპარსეთს და თავზე კავილი დაამტკრია მტრებს,
მავრამ შიგ შუაგულს სპარსეთში შესვლა ვერ გაძედა,
უკან დაიწია, გამოვლო ტიგრ-ეფტატის ხეობანი და
ფაზისა მოვიდა და შეიერთა ხაზართა ლაშქარი და მათი
ხაყანი ზიპელი, რომელსაც თავის ასელის ევდოკიას
სურათი აჩვენა, რადგან იკი იმპერატორს სიცედ უნდო-
და. ერეკლე და ზიპელი მოადგნენ ტფილის. აქედგან
ერეკლე 70,000 მეომრით შეესია სპარსეთს, დაამარცხა
ქასრე, რომელიც გადააუნა მისმავე შეიღმა სიროება
და თკითონ გამეფდა. გაეცეული ქასრე შეიპყრეს და
ციხეში იმოშადეს სული.

ამ ამბებს, მოთარობილს მსოფლიო ისტორიუსის
პიმპონის შიგრ (ტ. 4, გვ. 509—524), უფრო დაწერი-

* ციერ. თამ. ი ნავ., ვ. VI, ცр. 271.



ლებით გადმოვცემენ ქართველთა და სომხთა შემატებული არის არა მარტივი ანენი.

ქართლის ცხოვრებით, სპარსთა შეფე ქარებ რომ დაიპყრო მკირე აზია და იერუსალიმი და წარიტაცა „ძელი ცხოვრებისა“, მაშინ სტეფანოზი განუდგა ბერძნებს და მიემხრო ქარებს. იმპ. ერეკლე დიდის ჯარით წამოვიდა პირდაპირ საქართველოსკენ და შემოვიდა სამცხეს, მოვიდა აწყვერს და თაუფინი ხევა იმ ხატა, „რომელი წმ. ღვთის-მშობელს გამოესახა და მიეცა მოციქულის ანდრიასათვის და მის მოესეენა და დაესვენებინა მცირესა ეკლესია შინა აწყვერს“ (ქართ.-ც. გვ. 166). სტეფანოზის გეგმივრებინა ციხე-ქალაქნი და შტერს მოელოდა ტფილისში. კეისარმა გამოვლო ქართლი და მოადგა ქალაქს. სტეფანოზი, „შეედარი ქველი და შემართებელი დღეთა ყოველთა გამოვიდის კართა ქალაქისათა და ეპრძოდის ბერძენთა“. ერთს შეტაკებაში დატერებს სტეფანოზი და მოპყლეს. ერეკლემ აიღო ტფილისი, ხოლო ციხის-თავი გაუმაგრდა მის და მაღლიდგან შემომჟყოლა: „ვაცისა წვერნი ვასხენ და ვაცბოტისა კისერ გაძვს“. ერეკლე ფრიად განრისდა და სოქეა: „ამ კაცმა ბაქრობით მიწოდა ვაცბოტად, ვარნა არა არს მისი სიტყვა ცუდ“. მერე მოატანინა წინასწარმეტყველის დანიელის წიგნი და ამოიკითხა შემდეგი ადგილი: „გამოვიდეს ვაცი დასავლისა და შემუსრნებრენი ვერჩისა აღმოხავლისანი“ *). ამ წინასწარმეტყველის

*) შატბერდის კრებულში სწერია: „უხმო ციხისოაქმან კადაშო ტფილისისათა შეფეს ქარებდეს ვაცბატატათა“ (საში ქ., გვ. 35), ხოლო სემიატის ჭრონავაშა: „...გასხენ წერნა ვაცისანი და ვაცბატატასნა“ (იქვე, გვ. 46). სემიატის

კუველებამ გაითხარა კეისარი და იმედი მისცა, რომ გამარტინი ჯვება მას დარწებოდა. მაგრამ რადგან თვეში უკავშირობის რებოდა სპარსეთში შესასვლელიდ, ამიტომ მოიწვია ბატონიშვილი ადარნასე, ერისთავი კახეთისა, მას მისცა ტფილისი და მთავრობა ქართლისა და უპრძინა აელო ტფილისის ციხე. ადარნასეს შემწედ უ'ინა ჯიბლა და თვითონ წავიდა გარდაბანს. ადარნასემ და ჯიბლამ გატეხს ციხე ქალაქისა და დაატყვევეს ციხის-თავი, რომელსაც პირი გაუკავს დრამკანით, მერე ტყავი გაჭადეს და მიაწიეს ერეკლეს გარდაბანს.

აქვე დავურთავთ ცნობას ამავე საგნის შესახებ კალანთ კათვაწიდან, რადგან ეს მემატიანე იძლევა ზოგიერთ წვლილს, რომელსაც არ ისენიებენ სხვა წყარონი.

ჩრდილოეთის კავკასიის მთიულნი თავის ხაყანის ჯიბუს წინამღლოლობით არპევდენ მეზობლად მდებარე ქვეუნებს. ერეკლემ ზაფი შეჰქრა ჯიბუსთან და მოიწვია იგი წინააღმდეგ ქართველთა. ამის შემდეგ მავინარე მდინარის ტალღამ გადმოხეთქა და მოედვა საქართველოს; მტრები შემოერტყნენ და მიესინენ გაყინისებულსა, საალეპ-მიცემოსა, სახელოვანსა და დიდებულ ქალაქ ტფილის. შეიტყო-რა ყოველივე ესე იმპერატორმა ერეკლემ, შეაგროვა ყოველნი ძალნი თვისის ძლიერებისანი და დაუყონებლივ მოვიდა თავის მოკიდებებისან. მათ ძლვნები შესძლენეს ერთმანეთს და მეტად გაიხარეს. აქ უნდა გვნაბათ შიში და ზარი იმ კაცთა, რომელნიც შემწყვდეულნი იყვნენ ციხეში;

ქრ.: „დამთვადეს კაცი დასაკლის და შემუსინეს რქნა აღმოსაკლის კურმასნა“ (ახ. დაბადება, დან., თ. 8, გვ. 3—6).

უსედურება უბედურებაზედ ატყდეპოდათ. შეიტყოთ
ხოსრომ (ქისრე II-მ) ორთა ხელმწიფეთა მოსახლეობის
რიშის მიტანაშიდე მოაწია შემწყვდეულებსა და ქალაქს
ხელოვანი და მანე მებრძოლი, თვისი სპასპეტი შარგა-
ჰავა და მასთან 1000-მდე რჩეული მხედარი თვისთა
ამაღის კაცთა და დართაჯთაგან. ქალაქის შეკიდრო,
დაინახეს-რა მათდა მეშვეობად გამოგზავნილნი ძლიერნი
და ხელოვანნი მეომარნი, გამნენვდნენ და დაცინეა და-
უწყეს ართავე მეფეებს. თუმცა იგინი ხედავდნენ უამ-
რავ ლაშქრობას ჩრდილოეთისას და დასავლეთისას, რო-
მელნიც შთებსავით ჩასდგომოდნენ ქალაქს გარეშემო;
ავრეთვე ხედავდნენ ოთხთვლებიან მანქანებს და სხვა
ფილავავნებს, (გამოგონილს რომაელთა ისტატებისა-
ვან), რომლებითაც იგინი ნიშან-ამოღებით სტყორცნი-
დნენ ციხის კედლებს და აყრევინებდნენ დიდრონ ქვებს;
თუმცა იგინი ხედავდნენ დიდრონსა ნავტიკებს, გატე-
ნილებს ქვითა და ქვიშით, რომლებითაც მტრები აფუ-
ბებდენ მტრების და წყალს ქალაქში აბრუნებდენ,
გარნა, მეუხედავად ამისა, იდგნენ უშიშრად, ერთ-ურთის
ამნევებდნენ და მტრების მიერ დანგრეულ კედლებს
ხელახლა აშენებდნენ და ამაგრებდნენ. ორივე მეფის
ლაშქარი რომ დაძაბუნდა, უკუქმეულ და ქანკ-გაწ-
ყვეტილ იქმნა, და არა მცირედი რიცხვი მათის ქვეითის
ლაშქრისა გასწყდა ბრძოლაში. მეფეთ დაიწყეს თაობირი
და ამბობდნენ: „რად უნდა დავღუპოთ ჩვენი ჯარი;
შართალი არ არის განა, თუ შევკარით ძლიერი, მისს
სახლსაც წარვსტყვენით, კითარუა გვსურს. მაშინ დიდ-
მა და მოსისხლე იმპ. ერკლემ მოისაზრა და მოახერხა,
თუ რა უნდა ექმნათ, და უთხრო კაცა, მისდამი საშვე-
ლად მოსულსა: „დაბრუნდი ჯარითა შენითა შშეიდობით

ქვეყანასა შენსა ამ წელიწადსა, ვინაიდგან ცხელოვთ
მოღალულობასა შენსა. შენ ძალ არ გიძს სიციურეზე არის
ზაფხულისასა მიაწიო ასურეთის ქვეყანამდე, საკა არის
სპარსეთის დედა ქალაქი ტუგრისის მდინარეზედ. მე-
ორე წელიწადის დაფვომისას, გაივლიან-რა ცხელი
ოვეები, დაუყონებლივ მოდი აქავე და ჩენ შევასრუ-
ლებო ჩვენს სურვილს. მანამდე მე არ დავიშლი ბრძო-
ლის სპარსეთის ხელმწიფებობან და არ დავაცდი თავ-
ზარი არ დავცე მისთა ქვეყანათა და ქვეშევრდომთა,
და მანამდე ვიხმარ ეშმაქობას, ვიდრე მას არ მოჰკვდენ
მისინივე⁴. ქალაქის მკიდრო შეიტყვეს-რა, რომ მტერ-
ნი დაღალულიან და უკუნქცევა განუზრახავთ, უმეტესად
გაგულისძნენ და თავისივე დასაღუპავი თამაში მოიკო-
ნეს: მოიტანეს დიდი გორა, გამოხახეს მასზედ სახე
გუნთა მეფისა, — ალაბი სიგრძით და ალაბი სიგანით;
წიმწამების მაგიერად გაუკეთეს რაოდენიმე მოკვეთილი
ტოტი; წვერის აღვილი გაატიტველეს სახისლრად; ნე-
ტოვები წყრის სიგანისა გაუკეთეს, ტუნზედ აქა-იქ
ჩაურკეს ბილი. განა ვის შეეძლო ეცნო იგი (მახინჯი)!
მოიტანეს ის და დასდეს: ციხის კედელზედ პირდაპირ
მტრისა და ყვიროლნენ: „აი, ოქვენი ხელმწიფე, დაბ-
რუნდით და თავუანი ეცით მას, ეს ჯებუ ხაყანია!“ და
ხელში იღებდნენ ლახვრებს და სიხვლეტლნენ და ჰემი-
რავლნენ გოგრას; ასრევე დასკინოლნენ და ყბად იღებდ-
ნენ მეორე მეფესაც; რომელსაც გაჲკიოლნენ: „შენ
ხარ საქაგელი და მამათმავალიო“. ამის გამგონე მეფე-
ები ბრაზით სკლებოლნენ, მრისხანებლნენ, ჯავრს გულ-
ში იკლაუდნენ, თავს აქნევდნენ და ფიცულობლნენ,
რომ ყველა თვისს ქვეშევრდომებს ამოსწყვეტენ, და
ჯავრს კი არ შეარჩენენ მტერს იმ შერცვენისათვის,



რომელიც მიაყენეს მათ. და ორნიე მეფენი გაბრიელ-
ლინენ და მუქარით წარვიდნენ. (გვ. 107—109)

(ქახრეს მოკვლის შემდეგ)... უცბად მოუზერა
ძრიელმა ბორიაშ და ეცა დიდხა აღმოსავლეთის ზღვასა.
გამოვიდა ველური ჩრდილოეთის ნადირი (ქახარეველნი
და მათი მეფე) სისხლის მწოდელის თავის შეილით შა-
დითურთ. მან უწინარეს ყოვლისა პირი თვისი მოუ-
რუნი საქართველოსა და ქალაქ ტუილის, და მასში
წინანდელ ვაშვაც კაცთაგან არავინ დაუხვდა და პპოვა
მოხერხებული დრო მაგიერი მიეკო მისის გაწმილები-
სათვის. როდესაც იგი გარს შემოერტყა ქალაქს და
ბრძოლით შეავიწროვა მოქალაქენი, მაშინ ესენიც თვეს
დაეცხნენ მას და გამწარებულად იბრძოლეს ორი თვე,
თუმცადა ამაო იყო მათი ბრძოლა წინააღმდეგ მოწევ-
ნულის სახიცვდილო გარდაწყვეტილებისა. შიში მათის
სისხლის დაჭუებისა, რომელიც უკვე მოვლინებულ
იყო, ფრიად ჰქენჯნიდა მათ. მაშინ დაიღრიალა საში-
შარმა ნადირმა, ტყვე ჟყო და ანუ წყალსა შინა და-
ახრიო მრავალნი მდაბიონი, ტყენი აღავსო ნადირითა
და ჯარი თვისი ნაძარცეით. იძრეს მახვილნი თვისნი და
ერთად მიესივნენ კედლებს და მთელი ეს სიმრავლე
აირია, გადალია ართმანერთი, ამაღლდა კედლებსა ზე,
და შევმა ჩრდილმა დაპჟარი უცედურნი მკვიდრნი ქა-
ლაქისანი. შემაერთებელნი კავშირნი დასწყდათ, მკლა-
ვები დაუძაბუნდათ; იგინი დამარცხებულ იქმნენ, გან-
შორდენ კედლებს, გარნა ბევრნი მათგან, ვითარცა
ჩიორანი, მომწყვედეულნი მონადირეთა გალიაში, ვერ
მივიდნენ თვის სახლებში, რომ მიეტანათ თავზარდამ-
ცემი და სამწუხარო ამბავი და ებრძანათ თავიანთ საყ-
ვარელ ცოლებისათვის დამალულ იყვნენ და ანუ



ეზრუნათ ნაშობთა ოვისთათვის. მშობელთა არ ეცავთათ
ეფიქრათ შესახებ თვისის მშობლიურ მოვალეობაზე მოვალეობაზე
პირიქით, ერთურის ეჯახებოდნენ და სცდლობდნენ
თავშესაფარი ეშოვნათ ხახლთა ხახურავებზე ანუ განჯი-
ნებში. გარნა მრავალნი ჩაიმალნენ წმ. ეკკლესიათა
აკლდამებში და მიეყრდნენ წმიდათა წმიდანის კვარ-
ცელბეკს. ოხრა და გმინვა დედათა ისმოდა ისე, კი-
თარცა პლავილი ურიცხვე ცხვართა ფარისა. მათ ფეხ-
დაფეხ მისდევდნენ მომქალნი უწყალონი, რომელთა
ხელნი რუებრ ადენდენ სისხლს, ხოლო ფეხნი სკულეტ-
დენ წაქცეულთა გვამებს. როდესაც შესწყდა ხმაურობა,
გმინვა და კვნესა და როდესაც აღარც ერთი აღარ
დარჩა ცოცლიდ, შაშინ მხოლოდ სცნეს მტერთა, რომ
მათი მახვილნი გაძლნენ. შაშინ მოიცვანეს ორნი მმარ-
თველნი, რომელთაგან ერთი იყო სპარსთა მეფის მო-
ხელე და მეორე ქალაქის ადგილობრივი მკვიდრთაგანი,
ქართველთა მთავართა შთამომავალი. შეიპყრეს იგინი
და მისგვარეს მეფე ხაყანს და ამან უბრძანა თავისია-
ნებს თვალები და თხარი ტყვეთათვის, რადგან მათ,
მეფის გამოსაჯვრებლიდ მისი სურათი გამოსახეს უთვა-
ლებოდ, და შემდევ იგინი დაახრჩო დიდის ტანჯვით,
და გააძრო მათ ტყავი, რომელიც გამოაქნევინა და
გააქვებინა თივით და ჩამოაქიდა ციხის კედლებზე.
მტერმა გაძარცვა მთელი ქალაქი, ხაყდრები და ხახლე-
ბი, შეაგროვა დიდალი და უთვალი ტალანტი ოქტო
და ცერცხლი და წავიდა თავის ჭევანაში, ხოლო თვი-
სი შეიღი შადი წირვზავნა აღოვანიას (აღბანია) (იქვე,
გვ. 119—120).

ხახართა მეომარნი, ტფილისის დარბევის შემდევ,
ისე გამდიდრდენ, რომ ხმარობდენ მხოლოდ „ვერც-

ლის ფიალებთა და დოსტაქნებს, ოქროთი დაფარის
ლებს“ (იქვე გვ. 126).

ჯერ ყველა ეს მშები არც კი დაწუნარებულიყო,
რომ არაბები შემოესივნენ მცირე აზიასა და იქიდვან
სომხეთსა და ხაქართველოს. ქახარეველნი და ხაქართ-
ველი; ერნი ამაღლ ებრძოდნენ არაბებს. მოიგის
ბრძანებით ჰაბიბი, მოსლებას შეიღი, 638 წ. იურის
დოფინს, ნახევანს, ვაია-ძორს და ტფილის, ხაცა აუ-
ნებს მამალიანთა შეციხოვნეთ. ტფილისი ირაბთა მო-
ხარკე ხდება. იუდე არაბნი იპყრობდნ ხუნანს, გარდა-
ბანს, სამხეს და შევშეოს. 717 წელს ხაქართველოს
~~რ~~იმონავებს იქიდი, მოადგილე ხორალის მმართველის
სულეიმანისა. 731 წელს ხალიფა ჰიშამი, ნაცულად თა-
ვის ძმის მოსლებისა, მედარომთავრად კავკასიაში ნიშ-
ნივს მერვან ბენ მოჰამედს (მურვან-ყრუ). იმავე წელი-
წალს (731 წ.) ხაზარნი აოხრებდნ ტფილის. ამის მი-
ზენად შეიქმნა არიღლ მოწამის შენიერი ასული შე-
უშან. იმ შეშანის ცოლად შერთვა მოინდომა ქახარე-
ველთა ხაყანბა და თვისი სურკილი განუცხადა არიღლის
შეილებს ითანება და ჯუანშერს. ამთ უარი შეეფა-
ლეს, რაღვან არა ინგებს შეკონება დია თვისისა
წარმართისაგან“. ხაზართა მეფემ იწუინა. თვისი სპასპე-
რი ბლუან დიდის ჯარით ჩამოგზაუნა კახეთს, ხაცა
ერთს ციხეში შეფარებულ იკვენენ ჯუანშერი და შე-
უშან. ციხე მტრებმა თიღებს, დაატყვევეს ორთავე ბა-
ტონიშვილნი, წიმოვიდნენ და დაეცნენ ტფილის,
რომელიც შემურეს ხატუტელითურთ 731 წ. და და-
რიელისკენ გასწიგს. შუშანბა წარმართის ცოლობას
სიკედილი ამჯობინა. ბერედში აქცნდა საშალა. დარი-

ელის რომ მიაწიეს, ამოწოვა სამსალა და მოკუდა.
შემდეგ ამისა მურვან-ყრუ შედის კახეთის მიმდევარებულების
ცხებს ოლანგბს 735 წ. ხაზარებს 737 წ. და ლუ-
კებს 739 წ. (ვახუშტი, გვ. 114, შენ. 1).
ამავე დროდგან შემოდის ხავართველოს სახელწოდება
ჯურჩ, ჯორზან.

786 წ. 6 იანვარს ქალაქ ტფილისს დაედგა ნა-
თელი წმ. აბოს მოწამებრივის გვირკვინისა. ამ რიცხვს,
დღესა პარასკევასა, არაბთ საბყრობილითგან გამოიყვა-
ნეს აბო, ურმით მიიღეანეს მეტეხის ციხის ძირს, ავ-
ლაბრის მეორე ხიდთან, „ადგილსა, რომელსა ეწოდე-
ბის საღოდებელ, რამეთუ მუნ არს საფლავები კაცთა
მის ქალაქისათა და მუნ გარდამოილეს იგი ურმია მისგან
და დადგეს იგი ქუცყანასა და მოიღეს თიკა და შეშა და
ნავთი და დაასხეს გრაშა მას ზედა წმიდასა.“ და აღაგზ-
ნეს ცეკლი და დაწუნეს ხორუნი მოწამისანი ადგილისა
მას, რომელ არს აღმოსავლეთით ციხესა ქალაქისა, ა-
რომელსა საღილებო პრეციან, პირსა ზედა კლდისისა,
კბოდესა შტკვრისასა, რომელი განვლის აღმოსავლეთ
ქალაქსა“. (ხამოთხე, გვ. 346).

აშოტ კურატპალატის ეპის (787—826 წ.). რომ-
დენათმე მოუძღვრდნენ არაბნი. აშოტმა თეისი უფ-
ლობა განამტკიცა, „სახლად მისა იყო ტფილისი და
ბარდავი“ (განჯა) და „ტფილის არღარევინ დარჩა სარ-
კინოზოვანი, თეინიერ ალიშუაბის ძისა“.

ხოლო 788 წ. აშოტი და აფხაზთა მეფე თეოდო-
სი შეებნენ კახეთის მთავარს გრიგოლს, რომლის მომ-
ხრე იყვნენ ტფილისის ამირი ალიშუაბის ძე, მოიულ-
ნი და წანარნი. შეიბნენ ქსანზედ. აშოტმა გაიმარჯვა.
მას დაემორილო ქვეყანა კლარჯეჭი დგან ქსნამდე. მაგ-

რამ მალე არაპეთით მოკიდა ხალილ იჩიდის ძე ჭავჭავაშვილი ბელაქლა დაიპურა სომხითი, ქართლი და ჰერეტიკის სისტემის ტი გაიქა, შარამ მტრება დაამარცხეს იგი და დაცკლეს არტანუჯის პეტრე-პავლეს ტაძარში.

ალიშვილის ის შემდევ ტფილისში ამირობდა ხაპაკი იმაველის ძე. მერმე მოვიდა მოშედე ხალილის ძე. მას არ დაემორ იღა ტფილისის ამირა საპაკი. მოშედე ალიშვილის შეფეხდ დასვა ბატონი აშოტის ძე და მის შემწეობით შეეგა საპაკეს სოფელ რეთას. საპაკეს შეეწივნენ კახეთიდგან გარდაბანელნი. საჭრიკი ბრძოლა მოადა. ერთ ერთმა მარტო ცერ გაიმარჯვა. მოშედი იყარა და ბარდაცს წაიდა.

ამის მუნიციპალიტეტი მუშლმა ბალდაცელმა დიდის ჯარით გამოვჩანა ბულა თურქი, რომელმაც აღაოხრა სომხითი და მოადგა ქ. ტფილისს, „რამეთუ არა მორილობდეს“ და მოპერა ამირა ტფილისისა საპაკ და შემუსრა ტფილისი და დაწეა ცეცხლითა და მოაოხრა ყოველნი არენი მისნი. ამ ბულამ თავზარი დასცა მოფლა კავკასიას, მაგრამ იგი ბალდაცელე დაიბარეს და მის აღეილას ხალიფაშ ამირად დასვა მოპამედ ხალილას ძე, ამის შემდევ ისე შინის ძე, მერე აბრამაშ, შემდევ იგიც მოპამედ, მერე გაბლუკ, რომელიც შეიპურა მეფე გურამმა და წარგზვნა საბერნეოს. ამის შემდევ აქართელოს სუ-ბედი და მათან ტფილისისაც, თუმცა აქ ამირები კიდევ უფლობდენ, დიდს წარმატებაში შევიდა (ქართლ. ც. გვ. 191).

ზემორე ხევნებულ საპაკის მოკლის შეახებ მემარიანე თომა არტოუნი სწერს: *) „ამირა საპაკ არაბთ

შესწამებს ლალატი. არაბთ ეფონათ საპაკი სცენის
დამოუკიდებლობა მოიპოვოსთ. ამიტომ ხალხი მარტინ
მოგზაუნა სისტლის შემცელი ბუღა თურქი. არაბთა
ლაშქარი გოადგა ტფილის, აღლო იგი და ცეცხლი
წაუკიდა. ცეცხლი სწრაფად იმრიალდა, რადგან შენო-
ბანი ხისა იყო. ამირა საპაკი წამოისახა წავის ტყავი,
ხელში დაიკირა კეერთი, გამოვიდა ქალაქის იმ კარე-
ბიდან, რომელიც იყო სამშეილდისკენ მიშვალს გზა-
ზედ, მაგრამ იგი შეიპურეს და წარუდგინეს ბუღას. სა-
პაკის ცოლმა, შეიტყორა თვისის ქმრის შეპურობა,
მოინდომა ეშველა მისთვის. იგი მეტად ლამაზი იყო
და ტვინებითა და თვისის სიმშევნიერით მოხიბლა ბუ-
ღა. მისს ჭარს მიენიჭა სიცოცხლე, მაგრამ დროებით.
ბუღა ეტრფიალა საპაკის ცოლს და მოინდომა მეუღ-
ლედ დაესვა იგი. ამიტომ მან უბრძანა თვის ჯალა-
თებს მოცელათ საპაკი. საპაკის თვი გააგდებინეს. შემ-
დეგში ბუღა მოცელულ იქნა საპაკის ცოლის მიერ.

არაბებმა თვისის შეცლობელობის ფაშს ფრიად შებ-
ლალეს ზნეობა ტფილისის მცირდოთა. თ. არწრუნი
ამბობს, რომ უადგილოდ მიმართია წერილობით აღ-
ნიშნო უცელა უსამართლობა ამ ქალაქისა და მისნი
ბოროტებანი, რომელნიც გარდაემეტა სოდომია და
იერიქოსას. (იქვე, გვ. 274).

არაბთა შეერლეების თქმით ტფილის „ჰეონდა
თვისი ობსერვატორია. ეს ობსერვატორია, აღბად, ცი-
ხეში, კალაში, იყო. ტფილისი კავკასიის შერივ მესამე
ქალაქიდ ითვლებოდა: ბარდა, დარუბანდი, ტფილისი.
ეს ქალაქი შემოაღუდული იყო ორის გალავნით და
შეფენილი იყო მტკერის აქეთ-იქით მაღლობებზე. მდრ-
ნარის ერთს ნაპირას სცენერობდნენ „ურწმუნონი“



(ქრისტიანები), რომელთა ტაძრების გუმბათებზე დაწერილი უკანასკნელი სამოდა ზარის რეკა; მეორე ნაბირას ესახლნება მარტინის სამსახურის და მათის მიზვით ებიდუან მოლები იწვევდნენ „მარტლ-მორწმუნეო“ სალოცავად. სახლების ბანები ერდო-ერდო მიკრილიყვნენ მთის ფერდობებზე. გოგირდიანი ცხელი წყლის წყაროები შეადგენდნენ ქალაქის სიმდიდრეს. ამ აპარატით სარგებლობდნენ მხოლოდ მაპმადიანნი. ოფილისს ჰქონდა საქმით აღებ-მისუმა. ტფილისიდუან გაძქონდათ: თაფული, ხორბალი, ხალები, მატყლეულის ნაქსოვები, გავენტილი ბამბა, ბარკის საქონელი და მონები². (იქვე. გვ. 274).

ბაკრატ III-ის გამართვასანებულის ეამა (980—1014 წ.) საქართველო მეტად ძლიერდება. მემატიანის სუმბატის (მე-XI საუკ.) სიტყვით (სამი ქრ., გვ. 65), ბაგრატ ერთდა ტაოს, მამულსა თვისსა, და დაიპურა ყოველი კავკასიი თვითმშერობელობითა ჯიქეთიდგან ვიდრე გარანერეთამდე, ხოლო აღარბადავანი (აღრიბეფანი) და შარვანი (შირვანი) მოხარკე ყო სომითისა ხელმწიფებითა და... მოიყრინა კლარჯეთის მეფენი სუმბატ და გურგენ, პატიმარ-უტნა იგინი ციხე³ შინა თმოვეისასა და ილიხ-ჭნა ქტეყანანი მათნი⁴. ტფილისის ამირად მარტო არდილი-ლა დარჩა წინანდელის ამირობისა.

1038 წ. ბაგრატ IV-მ ილყა შემთარტუა ტფილის. ქალაქის მკეიდრო გაუკირდათ შთაკეტილ ქალაქში ცაოვრება და განიზრახეს ქალაქის კარები გაეღოთ მეფისათვის. ტფილისის ამირმა გააკეთებინა ტიფლი, რომ გაქცეულიყო ვანჯას. ბაგრამ პოროტმა კაცებმა შედლი ჩამოაკდეს მეფესა და მის წარმინდებულ თანამოღვაწის ლიპარის თარხელიანის შორის. ამიტომ



ბაგრატმა ამირად ტფილისისა იგივე ამირა შემომატებული და თეოთონ განშორდა ქალაქში. მაღვე მოკედა ტფილისის ამირა და მოქალაქეთ მოივიდა მეფე ბაგრატი და გადასცეს მას ქალაქის კლიტენი. მეფე „შევიდა ტფილის და დაჯდა ხახლა საამიროსა და დაიპურა ქალა-ტფილისი, ხოლო ისანი არა მოსცეს და ბრძოდნენ ძლიერად“. ამ დროს მეფეს ეწვია კახეთის მეფე გავი თავის ლაშქრით. ბაგრატი მათ დაუხედა ისნის ველზედ, „ითავეანნა იგინი და განუჩეუნა შშვიდო-შით“.

ამავე ხანებში მეტად განძლიერდნენ თურქენი, რომ მელთაც დაიპურეს მთელი მეტრე აზია და საქართველოს აღმოსავლეთ-ხამიჩეთი ქვენები. თურქთა სულტანი არფახარანი უვრძნეულად შემოვიდა საქართველოში, დაიპურა თრიალეთი, თილო ახალქალაქი და ანისი. მას მიემხრნენ განჯის მთავარი ფადლონი, კახეთის მეფე აღსართანი და შემომკუნენ ქართლს (1068 წ.). სულტანი დადგა *სოფელ კარბს და შერე იქიდგან წიმოვიდა, დაიპურა ტფილისი და მისუაიკი ფადლონს, და თვითონ წავიდა განჯისაკენ. მას შეყვანდა 500,000 მეომარნი (ქართ. კ. გვ. 231), რომელიც ამტრებდენ ქართლს. მისი დაპრუნების მიზეზი ის იყო, რომ ბაგრატმა შემოირცა იგი. გაიაჭულის ქამს აღელდა მტკვარი იხე, რომ წყალი ვედარ ეტეოდა მის კალაპოტში. დიდწელობამ წალეკა მტკვრის ნაპირები, და მტრის აქ დარენილ მეომართაგან შრავალი დაართო. ამავე დროს ფადლონი მეტად განლალდა, გაამპარტავნდა და და უსკულ ოებას მიშეო ხელი. იწყო - ტფილისის სიახლესა სადამე გამოკვანებასა ხელოსანთასა“. მეფე ბაგრატი მოვიდა აფხაზეთიდან და დადგა დიდორს,



სახაფხულო იგარეჯს. ფადლონშა არად ჩააგდოს, მშენებელი დიდი დღის დროში, შემყარა 33,000 მეტარი, შემთხვევაში 100 ტფილის და დაღვა ველსა ისნიასა. აქ დასტოვა თვისი კარვები და თვითონ შეესია ქართლს და რბევა დაუწყო. პატიატმა წირვზაუნა თვისი შეედრობა შესაპყრობად მტრისა. ფადლონი დამარცხდა და ტუვე-ქმნილი იქნა. იგი „გახვეს ძელსა“ და დაიპყრეს ტფილის, ვსაცა „გაამირებასა ლამობდა შიგან ქალაქს მდგომი ინმე“, ბაგრატმა ტფილისი მისკა სიცოდარიანი, რომ მელიც დამანის იდგა და თვითონ დაისაკუთრა ციხენი: რუსთავი, ფარცხისი, აგარანი, გრივოლ-ქმიდანი და ქვეაზნი და მიიღო 44,000 დრამები და დაიტევა მეტალნი (ფადლონის მის-წული და განჯის სამნი თავადნი). (გვ. 233). გარნა ფადლონი სულტანის მიერ წარმოგზავნილ ალბაზის შეამდგრმდობით განათევისუფლა მეფემ და გაისტუმრა განჯას. მაგრამ ფადლონშა არ მოიხვენა. პატიატი რომ იმერეთს იყო, ფადლონი მიკიდა და დაიპურა ციხენი ქვეაზნი და აგარანი. განრის-ხელული მეფე გადმოუიდა ქართლს. მისი შვილი გიორგი დიდის ჯარით დაეცა ფადლონს, დაამარცხა იგი, მიჰვა გაქცეულ მტერს, მიაღვა განჯას, დაიპყრო იგი და „აღიღო ტუვე და ნატუვენავი ურიცხვეო“ (გვ. 233).

ტფილისის აღება ციხეებიანიდ წილად ხედა დავით აღმაშენებელს. პირველსაც დღეს თვისის ქალაქში შესკლისას მეფის ბრძანებით ჩამოატრიეს 500 მაჭშადიანი. ეს მეფე გულწილი კაცი იყო და პატივით ეპყრობოდა ყულა ტომის კაცს, და თუ 500 მაჭშადიანი ჩამოატრინა, ეს ალბად იმიტომ, რომ თავზარი დაეცა და შეეშინებინა საქართველოს მოსის ლე მტერნი, რომელნიც არპევ-აქცევდნენ, ელეტავდნენ და აწიოკებ-



დენ ერს, გაუმაძლარ მკალხავით ხმოვდნენ მექანიზმთა
ნაშრომს. თუ რაბამ დიდი უნდა ყოფილიყო მექანიზმები
ქართველი კაცის ზორი და მძღვანები მტრიხადმი,
ხავირთა მოყლედ და ქრონოლოგიურად აღვნუსხოთ
ის ბრძოლანი, რომელიც გადიხადა მეფე დავითმა, ვი-
დრე იგი აიღებდა ტუილისს.

დავითი რომ გამეფედა (1089 წ.), მტრებს მაშინ
ეჭირათ ასისფორნი, კლარჯეთი ზღვის პირამდის, შავ-
შეთი, აქერა, ხამებე, ქართლი, არცევეთი, კუონ-დიდი,
ტფილისი, მუხრანი, რუსთავი, აგარანი, ხამშვილდე,
რანი, შაქ-შირვანი. მათვე იკანობის დღეს (1080 წ.)
დაეწევათ ქუთაისი, არტანუჯი და კლარჯეთის უდან-
ნონი.

1105 წ. მეფე დავითმა დაამარცხა განძის ათავი,
დაიპყრა და შემოიერა კახეთი.

1110 წ. აიღო ხამშვილდე და ძერნა.

1115 წ. მუხრანი (მუხრანი).

1116 წ. ოებერვალს კლარჯეთი ბასინამდე და
კარნიფორამდე.

1117 წ. ციხე გიში (ნუხი) და შირვანის ქალაქი
ქალაძორი.

1118 წ. დაიპყრა რახის (არენის) ქვეყანა, ავრე-
თვე ლორე და აგარანი (იჯლისის თვეში) და მეორე
დღეს ცის-კარი.

1120 წ. 14 ოებერვალს შემუსრა თურქთა ძალი
ბოტორას, იქიდვან წავიდა და აიღო შარვანის ქალაქი
ყაბალი, მერე 7 მაისს დაიპყრა შარვანი არაპია-ლი-
გათით ქურდევანამდე და შიშტლანთამდე; ნოებბრის
თვეში მეფემ მოსრა თურქნი აშორნას და სევდელამეჯს
და „არა დაუტევა მოტირალი კარავთა მათთა“.



1121 წ. მარტის თვეს მეფემ ამოსწულიტა ერებულის მანნი მტკვარსა, გაგხა და ბერლუჯს შორის სპეციალურება რენი; იქნისის თვეში მეფემ დაიპყრა ორაბია და ბარ-დავი (განჯა); ავეისტოს 18 სამი ხათის ბრძოლაში დაეით მეფემ შემუსრა თურქთა ურიკევი ლაშქარი და და-იპურა თრიალეთი, მანგლიი და დიდორი.

1122 წ. მეფემ აიღო ტფილისი.

1123 წ. მაისს დაამარცხა თურქთა სულტანი და წაართვა შამაჩია და შემუსრა რანის სულტანი ალ-უნ-დული; იქნისის თვეში აიღო გულისტანი.

1124 წ. მარტს აიღო დმანისი; აპრილის თვეში დაამარცხა შაბურან დარუზანდელი და წაართვა ციხენი ლასანი და ხოზაონდი; მაის დაიჭირა სომხითის ციხენი გავი, ტერონავალი, ქავაზიანი, ნორიბედი, მანასეომნი, ტალინჯაქარი; იქნისს განცლო ჯავახეთი, კოლა, კარ-ნიფოლი, ბასიანი სპერამდის და აქაურობაში დაშო-ნილი თურქობა მოსრა და ტყვე ჰყო; გამოცლო ბუხათა-უური და დახწევა ოლთისი; მოკიდა და დადგა ბოეა-ნას-წევარობელ; ავეისტოს 23 წავიდა ანისის ახალებად და დაიპყრა იგი.

ყველა ამ ომების დროს მეფემ ამოცლიტა, დაა-ლოვებით, 600,000 სული მამადიანი, და იმდენი კაუს ცოდვა ედება თვით მათ სულონებს, რომელნიც და-ვითს დაცინვით ისენიებდენ, „ტყვეთა მეფედ“ პხადო-დენ, ქართველთა გვარტომის გაქრობასა და ძირიან-ფესეიიანად ამოცლებას ემუქრებოდნენ.

შორის მხედველმა მეფემ ტფილისზე იერიში მიი-ტანა მხოლოდ მაშინ, როდესაც დაიპყრა მის გარეშე-მო მდებარე ძლიერი ციხეები და სიმავრენი, რომელ-



ნიც ზურგს უმაგრებდენ და გაცირკების უაშე ეჭვება თავის
ნენ ხოლმე.

ამ ნახით, ტფილისი განთავისუფლდა მტერთაგან
1122 წელს და 400-ის წლის მონების უღელი განაგ-
დო. ქართველთა სიხარულს საზღვარი არა პქონდა მის
გამო, რომ მათ დაუბრუნდათ დედა-ქალაქი, შვენიერი
ტფილისი. მტერების მფლობელობის უაშე ტფილისის
ქართველობა დიდა შეწუხებაში იყო. მემატიანე ამბობს
(ქართ. ცხ., გვ. 254), რომ „ქალაქი ხევსე იყო სისხ-
ლითა ქრისტიანეთთა; ოდესმე ჰყებიან ღავლავი და
თვინიერ მიზეზისაცა მოსრნიან რაოდენნი ჰყოვნიან
ქრისტეანენი; ხოლო ოდესმე ქარავანსა თანა შემოყო-
ლილთა თურქთა ზედა განსცნიან შემომავალ-გამომა-
ვალი ქრისტეანენი და ტყვეობად სიკედილსა მისცნიან,
და ესრეთ ისვროდა ქვეყანა მრავალფამ“. ერთეულ
დიდი ქარავანი შემოვიდა ტფილისა, დასტენს
მემატიანე (გვ. იქიდე) და მოვეითხრობს, რომ ერთეულ
დიდი ქარავანი შემოვიდა ტფილისა. ქარავანი განჯისა
იყო. მას მოჭრენ მრავალნი თურქი. მათი ნახირი
მოეფინა ავლაპრიდან ლოჭინამდე. მეფე იღვა ავა-
ლის. 15 კაცი წარგზავნა ლოჭინს და უბრაზნა მოე-
ტაცნათ და მოესრათ მტერთა ნახირი. მათ ერთ ჰყვეს.
მტრებმა შეუტუეს. 100 თურქი შოებია ნახირის მომ-
ტაცნებულთ. სასტკიკად შეინენ. ამ დროს მეფე წიგნს
ჰყითხულობდა. შეიტუო-რა ხმაურობა, წიგნი დასტოვა,
შეპრანდა ცხენზე და „მსწრაფლ შთაბრიალდა ვითარ-
ცა არწივი და დააბნია ვითარცა კავანი, გაელიტა
მტერნი, რომელთაგან მცირე ნაწილმა ძლიერ შეისწრო
ქალაქს.

რაც კი კალაქში მაჭმალიანობა დარჩა, იმათ ვა-



ტივით ეპურობოდა დავით მეფე. არამთა მწერალის ქრისტიანული ამბობს: „მაშიადიანებში დაეითხ სთოვეს ქრისტიანები წვენთან ერთად აბანოში ნუ შემოკლენო და შეურაცხ-ყოფას ნუ მოვფიცენებენო. დავითმა ეხრეთი თხოვნა შეუსრულა მათო. მეფე დავითი და მისი შეილი დი-მიტრი ყოველდღე მეტითში იარებოდნენ და ისმენდენ სამეფო ლოკვას და ყორანის კითხვასათ. მეფე უხვად აჯილდოებდა მაშიადიანთა მოძღვრებსა და ქადაგებსო. მან ტფილისში ააშენა ქარვასლები და სადგურები მო-ქადაგეთა, მოლათა და მგოსანთათვის, რომელთაც ულუფისაც უნიშნავდათ. თუ ამათგან ვინშე ტფილისია დაროვების მოისურებებდა, მეფე გულა-ავსებით ხელს უმართავდა და მგზავრებს ფულს აძლევდა. მაშიადიანთ უფრო მეტს პატივს სცემდა მეფე, ვიდრე თვით მათნი მთავარნიო * (ვახუშტი, გვ. 185, შენ. 1).

დავითის დროს ვის ხელში იყო ტფილისის ვა-რობა, არა სიანს; მხოლოდ მემატიანე გაკვრით მოი-სენიებს (გვ. 249), რომ 1121 წელს, ე. ი. მაშინ,

*) ქართ. ტხ.: „აღაშენა დავითმან ქსენიონი ადგილის შემსპავებელია და შექნიერია, რომელის მანა შეკრიბნა მისია თვითთა სასიათა სენიათა განცდილია, და მოუმზადა მათ უთვე-ლიებ სასმარი უნაკოდებოდ და უსცებით და განუგინნა შეს-ვალია და საღვაწია; სილა თვათ შავადის, მოიხილნის, მო-ივითხნის და ამითრის უმჯნის თვითთვეუდის, ჰერეტიკობდის მამები, სწავლის და ჭარიადის, განამსწერილდის; მონას ხელითა მისიის მათ ცხედრების, სამოსდების და საგუბლოთა, თქრისა ჭარიაულების; განაცის უფლება საქმე მათთ დაზად შეენაერად და ღვთის მსახურებით“. ესე ასასიათვის დავითს მემატიანე ფერი ისევ ტფილისის აღების წინად.



როდესაც ქალაქი ისევ თურქმანთ ეჭირათ, რუსთავებულება
სა, განჯისა და დმანისის ვაკერებში, დაკითისაზე კუკუხია
როგორც მა, შეიღებეს ზოგმა პირი და ზოგმა ხელები
და წაეიდნენ წინაშე თვისის სულთნის და მიუთხოვს
მას თვისი გაქირება.

დაკით აღმაშენებელი გარდაიცვალა ტფილისში,
საიდგანაც მისი გვამი წაასცენეს და დაასაფლავეს ელათს.
(ვახუშტი, გვ. 187).

კიორი მექამისა და მისის ასულის თამარ მეფის
დროს ტფილისი დიდა წარმატებაში შეერთა, მოშენდა
და ლამაზიდ მოეწყო. ქალაქის განდიდებასა და გაშვე-
ნებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ მეფენი აქ
სცხოვრობდნენ აქვე იყო საცხოვრებელი ბინა საქარ-
თველოს დიდებულთა, დარჩაბისეულთა, სეფე-წულთა,
მოხელეთა და ლაშქართა; აქედანვე მეფენი ვაისტუმ-
რებდნენ ხოლმე ლაშქარს დასაპყრობად სხვა და სხვა
ქვეყანათა და ერთა, და კოველი გამარჯვება მტრებზე
ქალაქს ივებდა ოუარებელის სიმდიდრითა: ტყეითა, ძრო-
ხითა, აქლემ-ჯორითა, თქრო-ეკრცხლითა, თვალ-მარ-
გალიტითა, ხალებითა და ფარდავებითა და ს. და ს.
ამისა გამო ქალაქის ვაქრობაც ფრიად გაიაღებული
იყო. ტყილისის მოვაკრეთ საქონელი შექონდათ შიკ
საქართველოს დაპა-სოფლებშიაც და მეზობლის ჭვე-
ნებშიაც: თხეთს, კიბაღს, ჩაინს, დაღისტანს, ტერქეზს
და სხვ. რომ ერთი დამოკიდებულება ჰქონდა ტყი-
ლის გარეშე მდებარე ქვეყნებთან, ამას ნაოელს ჰქონდს
ის გარემოება, რომ თამარისათვის ქმრის ჩამოსაცვანად
ყიფალეთიდებან, წარგზავნეს ქალაქის მკიდრი და დი-
დებულ ვაქართაგანი ზანქან ხორაპაპელი, რომელმაც,

უეპველია, საქართველო-ყიფჩილეთის სამხედრო წერტილი უფრო კირგად იცოდა, ვიდრო სხვათ.

1189 წ. თამარი აღციდა ტატჩედ და უკურთხა შეცვედ. ვეირგვინი რომ დაადგეს თამარს და ხმალი შემოარტყეს, შეიქმნა საერთო სიხარული, „ჰქონეს სპილენძ-კურთა, ბუკთა, ქოსთა და წინწილთა და იყო ზარი და ზემი ქალაქია შინა. თაყვანი სცეს, დალოცეს და აღიღეს“.

ტფილისში მეფის სახალეց იყო ისახი (მეტების ციხეში), რომელიც გადმოჲყურებდა მოელს ქალაქს. მკიდრთა სახლები შეფენილი იყო მტკერის შარჯვნივა და შარქენივს აღმართებსა და გორაკებზე. ძლიერი ციხის როლი გადაელექტული იყო მეტების გორაკისა და მტკერის გაღმა სოლოლავის მთის შტვერვალებზე, საიდგანაც ჩამოდიოდა ინისხატის ეკელესიამდის და მტკერამდის. სოლოლავი, კუკი, მთაწმინდა, ვერა, კუკია, წუღურეთი და ავლაბარი ციხეს გარეთ იყვნენ. სოლოლავი გაშენებული იყო ბალ-ვენახებით. ვერა, კუკია, წუღურეთი, შორეული ავლაბარი და ნავთლული ქალაქის ნახირთა საძოვრად და ნაფუქერებად ითვლებოდა. ყველა ამ ადგილებში მხოლოდ აქა-იქ მონანდნენ თითო-ორთოლა ეკელესიები. კუკიის ბოლოს დიდუბში იყო მეფეთა სახალეც და იქნა ხაურარი ღვთის მშობლისა. თამარ მეფემ ამ ტაძარში დაიწერა ჯვარი და აქეც გადიხადა თვისი ტორწილი. ეს მოხდა **1193** წელს.

ქორწილის დღეს დიდუბში შეივარა დიდშალი ხალხი, ლაშქარი, დიდებულნი, ხელის უფალნი, სამღვდელონი და საერთონი. თავდარიგის მიმცემი იყო თამარის მამიდა რუსულანი, ქვრივი ხვარასნია და ერა-

კის სულთნისა. ჯერის წერის შემდევ ლხინი გაიშართა „სრასა დიდუბისასა, ხანაებსა ტფილისისასა. ქრისტიანული ქრისტიანული შემარტინული ხელმწიფოსა და შემარტინული ხელმწიფოსა და შემარტინული მათისა“. ერის შესაქცევად და ვა-სარობად მოწვეული იყენებ მსახიობნი, მძოხანნი და მუშაოთნი. ერი დიდს შეებაზ და ლხინს მიყეა. უც-ლას უხაროდა, რადგან დღეს მათს დედოფალს ცხოვ-რების ამანავი გაუტდა, დღეს მათ მიენიჭათ ახოვანი ხელმწიფე დავით სოსლანი ბაგრატიონი. უხაროდათ ობოლთაცა, გლახაკთა და ქვრივთაცა, რადგან იგინი ნუკეშინის-კემულ და გამდიდრებულ იქმნენ; უხარო-დათ მოვალეობაც, რადგან იგინი განთავისუფლებულ იქმნენ ვალებისაგან; უხაროდათ ხამლვდელოთაც, რად-გან ხელმწიფე ნეფე-პატარძალმა ეკულესიებს მიანიჭეს აურაცხელი ხაბორეარი; უხაროდა ლაშქარსაც, გინა-იდგან მათ ჰპოეს საიმედო წინამძღოლი და სპასალართ-სპასალარი.

ქორწილის შემდევ ორნივე „მნათობნი“, ორნივე „მშენი განმანათლებელნი ყოველთანი“, შემოვიდნენ ტფილისს და დახხდნენ „ტახტსა ბედნიერსა“.

ამავე ქორწინებას ასრე აღწერს საერო ლექსი:

საქართველოს დედოფალი, დედა ქართველისა თამარი,
სამშენებელია მისიადა, ამომავადი შეხის დარი,
დავით სისხლანის შეუძლე, რომელს უმშენა მან მხარა;
დიდუქში აქორწინა, სიდაც რომ საუდარი არა;
სადამოსა გაუმართა,—მოიწეა თვისი ჭარა;
ასა სული ცხვარი დაქდა და თანასა ნაშა-ხარა;
დურჯა სუფრა გაუშედა, იქნებოდა ასა მხარა;
ქვრივ-თანდებას უწევდობა თქოთ-კურცხელი დადა მადა.

ახლა, როდესაც თამარს გამოუჩინდა პატრიონი. და საქართველოს დიდი ხელმწიფე, ძნელი იყო ისტორიული და დღომილების მოხდენა, როგორც ესა ჰქმნა ამას წინად ჯორის ხახედ ორ-კონექტა” ყუთლუ-არსლანმა, რომელმაც მიიბირა უაზნონი, დაიდგა უკარივი ველსა ისანისასა, სანახებსა ხაგოდებელსა”, და ჰეიქრობდა აქედგან თავისუფლად და დამოუკიდებლად ემართა ერი. ამასთანავე მან მიიჩემა ამირსპასალარობა და „განემზადა სომებთა მეფისა დავილას ლორეს დაჯდომა“. (ქ. ც., გვ. 281). თამარმა შეაპყრობინა იგი, გარნა მისნი მომხრენი ვარს შემოადგნენ ისანს და სცდილობდნენ, რათა გააშევებინონ ყუთლუ-არტან და არა მოუშვან ვნებად მისსა. თამარმა არ ინდომა დალუკვა „ჯორის გონება“ კაცისა და მისთა მომხრეთა. მან ორთა დიოფალთა პირით ყუთლუს მოსთხოვა მორიცილობა. მეამბოხენი დაწყინილენ, მოკიდნენ წინაშე თამარისა და დაქრდომით თავების სცეს მას, და მიცეს პირი ერთგულებისა. ის ორნი დიოფალნი იყვნენ: ერთი ხეიშაქი ცოქელი, დედა ქართლის ერისთავის რატისა და მეორე კერავა ჯაყელი, დედა „აწ მყოფთა“ საშმივართა.

შემდეგ ამინა დაჯდა თამარი ხაყდართა ზედა ზე ამალლებულთა და იურვა ქვეყნის საქმეთათვის და გამწერსა ვაზირნი, სპასპეტნი, ამირ სპასალარი, მეჟურჟელო უხუცესი, მსახურთ უხუცესი, ამილახორი, ჩუნჩერახი (მზარეულთ უხუცესი), ერისთავნი.

დიდს ლაშქრობისას ქართველთა ჯარი შეიყრებოდა ხოლმე ქალაქსა და მის საშმერეთის მარივ ტაპაზელამდე, ყარაღაჯამდე და ბერდუჯამდე (მდინ. დეპედა). ჯარი რომ თავს მოიყრიდა, ატყობინებდენ თამარს, რომელიც მიბრძანდებოდა-რა სალაშქრო ბანაქს, ლო-

ცავდა ჯარს და ისტუმრებდა ხაპიროლევლად. ლოფა-
მოსილის ლაშქარის დაბრუნებისას თამარი უნდობისად
ჯარს ტაბახმელისა და ვერონს. იყითხავდა ყველის
ცალკ-ცალკე და ოწვევდა ქალაქში. თუ ტყვეთა რიცხვი
და დავლა-ალაფი დიდი და უხომშო იყო, ყველისა და
ყოველივეს ჩარიგებდნენ ხოლმე დიდ-უბის ველზედ
ტფილისიდგან ავჭალა-გლდანამდის და შემდეგ მათ
დასახედავად ვამობრძანდებოდა თამარ დედოფალი. აი
მაგ. შანქორის ომიდან (1195 წ.) რომ დაბრუნდა ლაშ-
ქარი, მაშინ ამ დიდუბის ველზედ ქალაქის კარიდგან
გლდანამდე ვამოფენილ-ჩარიგებულ დაწყობილი იკ
დროშა ხალიფასი, შემდევ ათაბავისა, შერე ტყვენი
12,000, ავაზა 40, ცხენი 20,000, ჯორი 7,000, აქლე-
მი 15,000, ყოველი კიდებული; ხოლო სხვათა სიმ-
დიდრეთა და საცურკლეთა, ოქროთა და ლირთა ვინმერა
უძლო აღრიცხად". ცველი მის დახედვის შემდეგ დაბ-
რუნდნენ ქალაქს ყოველნი მოქალაქენი, აღსავენი
ოქროთი და სამკაულითა, მრავალ-ხახე კურჭლითა,
თვალითა პატიონითა და უსასყიდლო მარგალიტითა,
ჯავეითა, შუზარადითა, ხმლითა, ფერიად-ფერიად ნაქსო-
ებითა, ოქრო-ქოვილითა, მრავალ-ფერ სურნელითა,
სპილენძითა. და კიდევ იმდენი დარჩა, რომ სეფენი
აზნაურიანი" ანაკოფიიდან გულის-ტანამდე აღივსნენ
ტყეითა რეულითა და საგანმურნი აღევ-ოთ ოქროთა
და ურიცხვებითა პატიოსნითა ჭვითა. ხან და ხან ტყე
იმდენი მოჰყავდათ, რომ ტყე კაცი იყიდებოდა ნა-
ლისა და ჩამის ფასად, ხოლო თვალი პატიოსნი იმ-
დენი მოქეონდათ, რომ მას არა თვლიდნენ, არამედ
„სარწყავით რწყვიდნენ".



ქალაქში მოტანილ აღაფით თამარი აშენებდა აღმართის სახლის გარეთ საბოძვარს იმეტებდა პალესტინას, სინას, შავ-მთას, ათონს და სხ. ტაძრებისათვის. 1187 წ. თამარმა სულ-თან სალადინს შეაძლია 200,000 დინარი იმ ჯვარში, რომელიც სარკინოზო შოეტაცნათ იერუსალიმიდგან და რომელზედაც ჯვარცმულ იყო მაცხოვარი.

თამარს ტფილის გარეშე ჰქონდა სასახლენი შემ-დეგს ადგილებში: ნაჭარმაგევს (ეს სასახლე იყო სალხინო და საზაფხულო), თოდას (კახეთში), დედოფლის წე-რის (ქიზიუში), გეგუას, ანუ ციხე-დარბაზს (ქუთაისის ახლოს), აგარანს (ხომხითს), ტელათს, ვარძას (სამცხე-ში), თამარის-ცახეს (ბათომის ახლოს), დაზურს (მთიუ-ლეთში), ბოჭორმას (ფშავეთში), კოდას (სამცხე-ში), ცხემს, ოცხეს (აბასთუმანი), ბერინას (ტფილისის ახლო), საცა თამარმა ააშენა ტაძარი, რომლის აგასაოცარი ქანდაკება ამტკიცებს, თუ რა მაღალ ხარისხამდე იყო აღყვანილი მაშინდელი საეკკლესიო ხელოვნება¹, ამ-ბობს ბაქრაძე. *) აი როგორ აგვიწერს თამარის სასახ-ლეს მისი თანამედროვე შევთელი:

„თუ კუქო სრანი,
მე ამას რანი,
გავლ ა-ვანისა შემკულობანი,
მტილ-სამოთხენი,
თვალთ სამ-ოთხენი,
ზედ ავაზანთა შექმნულობანი,
კართა სტოვანი,
გრთა სტოლანი,
იპპოდრომისა განმმულობანი,

*) ვახუშტ. გვ. 218.

სახმრად ლანკანთა,
თანა პინაკეთა,
ბადახშნით ხელ-ჴყვეს შექმნულობანი.
ტახტასაჯდომელნი,
მკამარებელნი,
სარდიონითა ხურუზმს შემკულნი,
მისაყრდნობელნი,
ძნელ-საცნობელნი,
სამოთხით ნაძლენი თვით უღნობელნი;
ოქრო-ვერცხლებრივ,
შპრწყინვეს ცეცხლებრივ,
კედელ-ყურენი ფიქლით ძერწილნი;
ბიერილიონით,
ლიგვრილიონით
ურთიერთობით შორის შთათხილნი.
...ვეირგვინოსანსა,
შორიფიროსანსა,
უხდების პყრობა სკიპტრისა ხელსა,
ვინც იწყოს რიცხვი,
იქმნას ურიცხვი,
ვოარი მათვან დანათვალითა,
რიყე თუალისა,
წინ ნათალისა,
წყალნი მგზებარობს შიგან ალითა;
ჰსიანს შარგალიტი,
არ თუ ალიტი,
ოდენ ბურთისა საბურთალითა;
აქტის ზარდახჩანი,
მას ხე-ბალჩანი,
ლუსკუმებრ მათთვის დასაკრძალითა.



იაგუნდისა, სხრა რად უნდია? ჯამები იყეტეს ჭავჭავალი
ფრთხოების მიერავა
იყვის კურსელთა, სხრათ უცხო ფერთა, სიმრავლით
დება თვით ურიცხვისა;
ბევრად ძეს გორი, ერთა საგორი, ზოდი იქროსა,
მისგან თლილისა;
ისმის მკონანთა, ვით საფირონთა, ხმანი ებნისა და
წინწილისა.
გუნდ შეყობრი დასი, მას ბევრ ათასი, ჰყავს დიდებულ-
თა დიდ-გვარ თავადთა.
...თვით ბკეთა ბკედი, მტკიცე ბეკედი, მეწდე სიტყრათა
სიმართლისათა,
...სწავლის მოძღვარი, ხაშვებლის ღვარი, სიწმინდისაა
ცხოვრების თვალი...
შეჯულისა ლარი, ქვეყნისა ლარი, გამდიდრებული ფრი-
ად ყოვლითა.
...არ გასტეხს ფიცხა, თვით დანამტკიცა; ჰე ჰედ
იყოსა ანუ თუ არად.
ერთ რჩეული, ნიკთა წვეული, მისგანვე იქმნეს კეთილ-
სახმარად”...

თამარიცა და მისი მამაც გარდაიცვალნენ ტფი-
ლისში. გიორგი მეფემ რომ მიიძინა საუკუნოდ, მაშინ
თამარი ისნის სასახლეში მარტოდ მარტო იყო, ხოლო
მისი მამიდა რუსუდანი, თამარის გამზრდელი, იყო
სამშეილდეს. დიდებულნი და პატრიარქი წავიდნენ
და მოიყვანეს რუსუდანი. სასახლეში რომ შემობრძან-
და მაშიდა, თამარი დახვდა მეტად დალონებული და
ვაეპით მტკირალი. დაიტირეს მეფე და იგლოვეს ერთს
წელიწადს „ბნელსა შინა შედომარეთ“.

თამარი ნაქარმაგევის სასახლეში იყო, რომ დატებული
აწლა რაღაც სენი, რომელმაც ლოვინად ჩაფიქრათ ეს
ტახტზე დაწვინეს, და მოიყვანეს ტფილისს, ხოლო
აქედგან წაიყვანეს აგარანს მაგრამ ვერც ჰავაშა და
ვერც მკურნალებმა ვერა უშველეს-რა. თან-და-თან
სენი უძლიერდებოდა. იგი ისევ ქალაქს მოიყვანეს და
აქ გარდაიცალა „მხე ქართველთა“ 18 იანვარს 1213
წელს. შეიტყო-რა ერმა მისი განსვენება, ძაბითა და
ფლასით შეიმოსა და იგლოუა დიდი დასაკლისი. გემი
შეფისა ჩიასვენეს კუბოში და მიიტანეს მტხეთას და იქ
დასდევს რაოდენიმე დღეს, რათა ერს თაყვანი ეცა
საყვარელის დედოფლის ნაშთისათვის. მერმე წაასვენეს,
გელათს და დაასაფლავეს საგვარეულო სამარხში.

შოგვეავს აქვე თუშ-ფშავ-ხევსურთა მიერ თამარის
დატირების ნაწყვეტი ერთ გალექსილ საქართველოს
ისტორიიდან:

მოალენენ თუშ-ფშავ-ხევსურნი მეფისა სახლია ჩეველნი,
ავგონენენ ჩევნი პატრონი!“ მეფის მიერ გამოიყენენ,
შეუძღვენენ, სრახა შევიდნენ, ეით მტკრზედ გამარჯვებულნი.

როს განიცადეს კუბო და ოქროსა ტახტსა დებული,
რა არსო ესე, რა არსო? შეიქმნენ განცეიტრებული.
იქმნება მეჯუ ძილად წვეს! იყავით დაწყნარებული,
წურვინ ყაყანებთ, დასუმდით, ვიყვნეთთ განუმებული!“
„რად არ ასდგები, ბატონო, შენ არ ხარ ჩეველ ძილისა,
ამ სიგრძედ შენი ტახტს წოლა ჩევნ არ გვასოვსო გმირისა,
მოვსულვართ შენი ერთგულნი, არ მხსოვნი შენგნით ჭირისა,
ვა-თუ ჩევნ მიერ გწყვოდეს, გვუო მოსსენებად ძეირისა!“

მოიჩადეს თაესა ქუდი, იაზალი შემოიხსნეს,
იწყეს მოთქმა საშინელი, არღავისა დაეკათხნეს...

მოსთქმიან ხმასა მთიულნი, ფანტურით საწყლად სტრიქიან: აკე, ჩვენი ძმანი თუშ-უშავინი! — უბატონობას ჩივიან გადასირითა და ხეესურნი ციხის ამერბნ. ა! — ხმა შალლა ამას ცეკირიან, — ააუ ენა გვიყოს თამარის მაგიერობა! — ყიფიან.

აკე, მთას ხალხნი, ბატონი გვიწყრების, ვეწყრების გულითა, არც ჩვენი ქამის სიტყვის თქმა, გაგრიდა შესად სელითა, ხომ ჩედავან, ჩვენნი მომშენი, მეუკ ასეს ჩვენზე ლელითა! ვაკით, შეს უკან არ ვარგ ვართ, ვიქმენით ყოვლნი კრულითა! *

„შევიღობით, ღიღა მეფეო, შშევიღობით გმირად შჩაძლო და, მშევიღობით, ქროფული მოწყალეო, შშევიღობით, იბოლთ მხრდე- ლო და,

შშევიღობით, ბრძენი სიტყვითა, შშევიღობით, შტრითა მკვლელო და! ეით გესალმებით, არ ვიცით, სად გაქქს საცხოვროდ ბოლოდა! *

„რად ქალმებით, მოყმენი! — ურთიერთს ეუბნებოდეს: თან წავეკიცანე, ბატონი, ვული შენთანა გვკუებოდეს, იქნება მარტოს მტერი გრედეს, თუში ხმა ქა გვჭურებოდეს. ჩვენოენ სირცეელ ას, ფშავ-ჭეეს ურ რომე არ შენთან კვლე- ბოდეს! *

„შშევიღობით, თუშთა იმედო, შშევიღობით, ფშაველთ მყვარო- და, შშევიღობით, ხვესურთ საუჩჯევ, შშევიღობით, მტერთა მმხარე- და, შშევიღობით, არაველო ძალო, შშევიღობით, ქსნელთა მძღვარო- და, ქრობლივ გიორგიელთა, მექარ შშევის წინამძღვარო- და! ..

საქორთველო და მასთან სატახტო ქალაქი ტფი- ლისი, დამტკბარნი და განლილებულნი დიდთა მეტეთა ძლევა-მოსილობით, იმედით შეპყურებდა მომიავალს. მრავალთა დიდ-დიდთა გამარჯვებათ მოუპოვეს ერს ქონებრივი და ზნეობრივი ძალა, რწმენა თვისის მარ- ჯვენისა და თვისის სამშობლოს სიმტკიცისა. ქართვე- ლთა მეტეებმა აღუფრო თოვანეს სული არა თუ მარტო ქართველებს, არამედ თათარ-არაბთაგან ყოვლად და- ჩიგრულ და შვეიცროებულ სომებთაც. ვარდიან დიდი ამბობს: „...გიორგი მესამემ დვინი იღო 1163 წ. და

აქ ნახა, რომ შეჩითების მინარეთებზე ელაგარუფლებულ
თათართაგან მოხარულე ქრისტიანეთი (ხომენტა) დაშვერა
ვები. გიორგიმ ამოსწყვიტა მრავალნი მაპმადიანნი,
მათვე ჩამოალაგებინა თავის ქალანი, ოქრო-ქსოვილ
ფარჩებში შეახვევინა, კუბოებში წაწყობინა და მერე
მათვე მუყრებს (ქადაგებს) ზურგზე წამოჭკიდა ეს კუ-
ბოები და ფეხშიშველთ წამოალებინა ქალაქ ტფილის
(ვახუშტი, გვ. 208. შენ. 3).

ამ გვართა შემთხვევეთ არ შეეძლოთ არ აღეფრ-
თოვანათ მრავალ-ტანჯული ერი და მერმისის სასოება
არ ჩაენერგათ მის სულ-გულში.

უცველია, საქართველოს სამეფო დიდ იმპერიად
შეიქმნებოდა და ტფილისი ამ იმპერიის სასაყდროდ
გახდებოდა, თუ კიდევ ასიოდე წელიწადი მაინც თა-
ვისუფლად ყოფილიყო. როგორც ვუწყით, ტფილისის
აღებიდან (დავით აღმაშენებლის მიერ) ვიდრე მის გა-
ოხრებამდე ჯალალედინისაგან გავიდა სულ 104 წ.
(1122 წლიდან 1226 წ.) და ამ დროს განმავლობაში
საქართველოს საზღვრებად შეიქმნა; კაპიის ზღვა,
დარუბანდი, დალისტანი, ჩაჩანი, ყიბჩალეთი, წრდილო
ოსეთი, ლიქერესი, ჯიქეთი, ტრაპიზუნტი, საცა
თამარმა დააარსა ცალკე იმპერია და მისცა იგი ალექსი
კომნიანოს, კარნუ ქალაქი (არზერუმი), კარი (ყარსი),
დვინი, ანისი და არეზის მარცხნი შხარე კასპიის ზღვამ-
დე; ასე რომ ამ საზღვრებში ქართველთა შეფეებმა
შემოჰკრიბეს მრავალნი სამეფო-სამთავროები, რომელ-
ნიც ბავრატ შესამემდე ცალ-ცალკე სქეოვრობდენ,
და ამ გაუქმებულ სამთავრო-სამეფოების გვირგვინო-
სანთა უფლება თავითათ ხელმწიფებას შექმატეს. ეს
გაუქმებულნი სახელმწიფონი იყვნენ: აფაზეთი (შემო-



უერთდა საქართველოს 985 წ.), ტაო და კლუტამურავა
ჯახეთ-ჰერეთი, ჩრდილო სომხეთი, აღრიშფრინიშვილი
ბარდა, შაქი, შარვანი, დარუბანდი. და თუმცა კაცეა-
სიონის მწვერვალი შეიქმნა. მიჯნად საქართველოსა,
გარნა კაცეასიონის ჩრდილოეთ მხარეს მოსახლე ერთაც
ჰქონდათ საეკულესით და საპოლიტიკო დამოკიდე-
ბულება ქართველებთან.

დიახ, უმეტესი განლიდება მოელოდა ტფილისა
და საქართველოს, მაგრამ მონგოლებმა (თათრებმა) აღარ
დაიცალეს.

სულ მცირე ხანს (თამარის სიკვდილის შემდეგ)
იშვებდა საქართველოს მეფე ლაშა გიორგი. მეოთხე
სულ რაოდენიმე წელიწადს „მხიარულითა პირითა
ლაშა მოვლიდის სამეფოსა თვისა: გარდავიდის აჯა-
მეთს განსაგებელად საქმეთა, ნადირობდის ცხემს და
აფხაზეთს, და განაგნის საქმენი, სოველთა შოავიდის
ტფილისა, საზამთროდ დადგის დრინს სომიოთისას,
ზაფხულით აღვიდის თავიდ მტკურისად და დადგის კო-
ლის, და მოვიდიან მის წინაშე მოხარკენი. (ქ. ცხ.,
გვ. 341)...

ამის შუაგული—ჩინეთსა, კიმბირსა და კასპიის
ზღვას შორის—ჩელიადვინვე ითვლებოდა აკენ ად
მწყემს ურდოებისა—თათართა (მონგოლთა ანუ გუნთა),
ოსმალთა (თურქთა) და სკვითთა. იგინი იყვნენ ბრიუ-
კი, უმეცარნი, სკამდენ ცხენის უმს ხორცს, სცხოვ-
რობდნენ კარვებში, ხოლო ლაშქრობის დროს მთელის
თავისის ბარები-ბარსანითა და ცოლ-შეილით აიშლე-
ბოდნენ ხოლმე და საომრად წავიდოდნენ: ჩინგის-ყა-
ენმა (1206—1227 წ.) შეპარა რამდენიმე მილიონი
თათრობა და თურქმანობა და გაემართა მთელის მსოფ-

ლიოს დასაპყრობად. 1210—1214 წელს მათ დაგრძელებული 90 ქალაქი ინიციატივის და მათ შორის, სატახტის უფლებების პერიოდი. 1218—1224 წელს 700,000 მონგოლი მიესია ხორაზმის სასულითოანოს, გაფლიტა 160,000 ხორაზმელი. სულთანი მოქამდედ გაიქცა, მაგრამ მაღავ დაიღუპა კასპიის ზღვის კუნძულზედ; ხოლო მონგოლებს დარიალი, კრისტიანი, კოვენტი, ბუხარი, სამარყანი, ხორაზმი, ჰერითი, მერეი, ნიშაბური, ბალხი, ყანდარი და ხორაზანი. მოქამდის შვილი ჯელალედდინი სასტიკად შეება მონგოლებს, მაგრამ დამარცხდა და გაიქცა. მცირე ხნის განმავლობაში (1227—1295 წ.) მონგოლებმა დაიპყრებს მოელი აზია და ეკროპის უმეტესი ნაწილი და თავხარი დახცეს იღმოსავლეთსა, დასავლეთსა, ხამხრეთსა და ჩრდილოეთს.

ბისამებრ, თავისუფლად იღაპარაკოს ამ ხაგნებისდადა: დაიცვას მათი შეუხებლობა. აქ შეხვდებით მასახელმწიფი ბერძნებს, ურიებს, ოსმალებს, სპარსელებს, ინდოელებს, თათრებს, რუსებს, კვროპიელებს. სომხები ბევრი არიან აქ. იგინი ქართველებზე უფრო მდიდრებია და დაბალის მოხელეების ადგილები უმეტესად სომხებს უკერიათ. ქართველები მათზე ძლიერნი არიან, თავმომწონენი, ზვავნი და მედიდურნი. სარწმუნოებისა, ზნისა და ხასიათის სხვა-და-სხვაობა არის მიზეზი სიძულვილისა ქართველებსა და სომხებს შორის. ქართველებსა და სომხებს ეზიზლებათ ერთმანეთი და ირ უნაოესავდებიან ურთიერთს. განსაკუთრებით სომხები მეტად სძულო ქართველებსა და თოთქმის ისე უყურებენ მათ, როგორც ევროპაში ურიებს. ქართველების ტანისამოსი სრულიად წააგავს პოლონურს ტანისამოსს. ქუდებიც ისეთი აქვთ, როგორიც პოლონელებს, მათი ახალუხი გულჩაღილულია და წინა კალთებგაშლილი. ფეხსაცმელი სპარსულს წააგავს. ქალების ტანისამოსი სპარსთა ქალების საცმელის მაგვარია. ლილკაცობის სახლები და აგრეთვე უცვლა სახელმწიფო შენობანი სპარსულ შენობათა ყაიდაზედ არის აგებული. სახლების აუბა აღვილდება სიუხვისაგამო ხე-ტყისა და ქვა-კირისა. ქართველები სპარსელებს ჰპაძვენ სხდომაში, წოლაში, ჭამა-სმაში. მებატონეებს დიდი უფლება აქვთ ყმებზედ. იგინი მთელის თვეების განმავლობაში რამდენიც სურთ, იმდენს ამუშავებენ ყმებს და არც ჯამაგირსა და არც საზრდოს აძლევენ. მათ ხელი მიუწვდებათ ყმების ქონებასა, თავისუფლებასა და სიკოცხლეზედაც კი. ზატონები პყიდიან ყმების შეილებს და ან მონებად ჰყავთ სახლში.

ქართველ-მეგრელებმა ქრისტიანობა მიიღეს შეორუე, სახ-
უკუნეში.

სისამართლება

„ქართველებსა ჰყავთ რამდენიმე ეპისკოპოსი, ერთი
მთავარ-ეპისკოპოსი და ერთიც პატრიარქი, რომელსაც
კათალიკოსს უწოდებენ. თუმცა მეფე მაპმადიანია, გარნა
აკურთხებინებს ხოლმე ეპისკოპოსებს, როცა ადგილები
დაიცლება, და ამ თანამდებობათ თავის ნათესავებს აძ-
ლევს. მებატონეებსაც ამგვარივე უფლება აქვთ თავ-
თავიანთ მამულებში. აქმური კეთილშობილნი გარეგ-
ნობით უმეტეს ნაწილად მაპმადიანნი არიან. ეს სარ-
წმუნოება ზოგს იმისთვის მიუღია, რომ მეფის კარის
ადგილი ეშვენა და სახელმწიფო ჯამაგირები მიეღო;
ზოგს იმისთვის, რომ თავიანთი ქალები მეფისათვის მი-
ეთხოვებინა და ან დედოფლის კარჩედ ფარეშობა
ეშონა შათოვის. ვისაც ლამაზი ქალი ჰყავს, სცდილობს
რაც შეიძლება აღრე გაათხოვოს; ლარიბი ხალხი უფრო
აღრე ათხოვებს თავის ქალიშვილებს, ხანდახან აკვან-
შივე პნიშნავენ ხოლმე. იმას იშიტომ სიადიან, რომ
მებატონეებმა არ მოსტაცონ გასასყიდად.

„კახეთში ეხლა მეფობს შანაოზის შვილი არჩილი,
რომელმაც მაპმადიანობა იმიტომ მიიღო, რომ სამეფო
დაეჭირა. არჩილი თავდაპირეელად დანიშნული იყო
ერთ თავადიშვილის ქალიშვილზედ, მაგრამ იმან თვისი
დანიშნული დასტოვა და შეირთო კახეთის მეფის თე-
იმურაზის ასული ნესტან-დარეჯან. პირეელმა დანიშ-
ნულმა არჩილს კაცი გაუგზავნა და შეუთვალა, რად
შეურაცხმყავი ჩემი სახელიო. ქალს პსურდა სასამართ-
ლოსათვის მიემართა, გარნა ამ გზით არა გამოვიდო-
და-რა, რადგან მოწინააღმდეგე დიდის ხარისხისა და
გავლენის პატრონი იყო. სასამართლოშ რომ ვერ და-

აქმაყოფილია ქალი, თახასს კაცს მიუძღვა და საკუმრადი გამოითხოვა მოლალატე. არჩილმა უარი სიტექ-დრო შექმნა მოუთვალია: ქალთან ბრძოლია არა მსურსო და ნურც გამოიდებ თავს, თორებ გავამეღავნებ, რომ ციცი კვი-ხულობდა, ვითომ შენ იმას მოუწყალე თვალით უყუ-რებდიო. ამ ცილის-წამების გამო ქალი უმეტესად გან-რისხდა და ახლა ციცის გადაეკიდა და ხმალში გამოი-თხოვა. მისგან უარი მიიღო. ქალი ჩეხსაფრა ერთ ალაგს, დაეცა მას და ოც კაცზედ შეტი მოუკლა. ქა-ლის ძმამაც დაუწყო დევნა ციცის. მეფე და კველა კარის კაცნი შეეცადნენ შეერიგებინათ მოპირდაპირე-ბი, გარნა ვერას გახდნენ და მისცეს ნება იარაღით გიდაეწყვიტათ დავა. საქართველოში, ცეცულებისამებრ, როდესაც სამართალი ვერ გიდასწყვეტს დავას კეთილ-შობილთა შორის და ვერც შეარიგებს მათ, მაშინ ერთ-მანეთთან ბრძოლის ნებას მისცემენ. ბრძოლა ასპარეზ-ზედ იციან. მოწინააღმდეგენი ალარებას იტყვიან, ეზიარებიან და გალიან საბრძოლველად. ამას ლვოის სამსჯავროსადმი მიმართვის უწოდებენ. ციცი და მო-წინააღმდეგე გივიდნენ მოედინზედ, მაგრამ ჯარის-კა-ცებმა გააშველეს. ქალი თითქმის მოკვდა სირცხვილი-თა და ჯვერით, როდესაც ნახა, რომ მეფის ბრძანებით მისი ძმა იძულებული შეიქმნა შეპრიგებოდა არჩილსა და ციცის.

„ტფილისი უკეთესი და უმშევენიერესი ქალაქია. იყი დიდი არ არის, გარნა ძლიერ დასახლებულია და გამაგრებული; სძვეს მოის ძირში, რომელსაც ჩამოუდის მტკვარი. უმეტესი მტკვრის პირა სახლებისა სალს კლდეზედ აგებულია. ქალაქი შემოზღუდულია შვენი-ერისა და მაგარის კედლით, მხოლოდ მდინარის მშრივ

უგალიერნოა. ქალაქი სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ
გაწეულია. სამხრეთის ჭრიკ იქვს დიდი ციხეში და მოვალეობა
ლიც აგებულია მთის კალთაზე. ციხეში მხოლოდ სპარ-
სელები სცხოვრებენ და მეციხოვნედაც მხოლოდ სპარ-
სი არიან. ციხის წინ არის სარმიელი და იგივე მო-
დანიცა და ბაზარიც. ეს ციხე თავშესაფარ ადგილად
ითვლება: ყველა დამნაშავე და ანუ შეუძლებელი მო-
ვალე რაკი ამ ციხეში შეეფარება, აღარ მოელის ში-
ში. ქართველთა მეფები ეს ციხე ვზად უნდა გაიაროს
ხოლმე, როდესაც იგი, ჩვეულებისამებრ, ქალაქ გარედ
მიდის ყაენისაგან გამოგზავნილ წერილებისა და ან სა-
ჩუქრების მისალებად. მეფე არასოდეს არ გავლის
ხოლმე აქ ისე, რომ შიში არა ჰქონდეს: ვად თუ შე-
მიპყრანო, ვად თუ ციხისთავს საიდუმლო ბრძანება
ჰქონდეს ჩემის შეპყრობისაო. სპარსებს ძალიან ჰკვია-
ნად დაუწესებიათ, რომ საქართველოს მეფეები და
სპარსეთის მირზაპანები ქალაქ გარედ უნდა გავიდნენ
ხოლმე იმის მისალებად, რააც ყაენი უგზავნის. ეს ძა-
ლიან მოხერხებული ღონეა, რომ ადგილად და უხი-
ფათოდ შეიპყრან საეჭვო კაცები.

„ტფილისის ციხე აუშენებიათ ოსმალებს 1576 წ.
ამ წელს მათ დაუპყრიათ ეს ქალაქი და მთლად მისი
მიღამო მუსტაფა-ფაშის წინამდლოლობით, რომელსაც
ვერ გამავრებია მეფე სეიმონი. მუსტაფა-ფაშამ ხონ-
თქარს სოლიმანს ურჩია, საქართველოში რამდენიმე
ციხე ავავოთ, თორებმ უამისოდ ამ ქეეყანას ვერ დავი-
მორჩილებთო. სოლიმანის ბრძანებით აგებულ იქმნა
ციხები და მათ შორის ტფილისისაც, რომელიც გა-
ამაგრა ასსზედ მეტ ზარბაზნით.

„ტფილისში რამდენიმე ეკკლესიაა, რომელთაგან

ზ ეკუთხის ქართველებს და დანარჩენი სომხებს. და-
და-ეკულესია, სიონად წოდებული, მდინარეზე მიმდინარე
აშენებული არის შეენიერის თლილის ქვით. ეს ეკულესია
ძველი შენობაა და ჰგავს იმ უწინდელ ტაძრებს, რომ-
ლებსაც ხშირად შემხვდებით აღმოსავლეთში. შუაგულს
აქვს 4 დიდი სვეტი, რომლებზედაც დამყარებულია
გუმბათი. ეკულესიის საკურთხეველი დიდია. შიგნითი
მხარე ტაძრის კედლებისა სავსეა მხატვრობით. არქიე-
ლის სახალეო იქვე ეკულესისთან ახლოა. მასში სტოკ-
რობს ტფილელი. ქართველებს ჰქონდათ ერთი შეენიე-
რი ეკულესია ქალაქ გარედ. იგი მეტემ თოფის წამლის
ბელლად აქცია. მას ჰქონდან მეტები. სომხების უმთავ-
რესი ეკულესია არის ფაშავანქი, ე. ი. ფაშის მონას-
ტერი, და ესრეთი სახლი იმიტომ დარქმევია მას, რომ
იგი ოსმალეთიდან გამოქცეულსა და ტფილისში გა-
ქრისტიანებულს ფაშას აუშენებია.

„ტფილისში მეჩითი სულ არ არია. სპარსნი ბევრს
ცდილან, ბევრჯელ დაუწყიათ მეჩითის აგება, მაგრამ
ვერ დაუსრულებიათ: ქრისტიანები მაშინვე იარაღს
ხელში იღებდნენ, არეულობას ახდენდნენ თურმე, შე-
ნობას ანგრევდნენ და შეურაცხყოფას აყენებდნენ მე-
ჩითის ამშენებლებს! მეფეებს გულში ძლიერ უხაროდათ
ხალხის ამგვარი ამბოხება, თუმცა თავს ისე აწენებდ-
ნენ, ვითომ არ მოსწონთ ერია ასეთი საქციელიო. მე-
ფეები თუმცა ქრისტიანობას გადუდგებოდნენ ხოლმე
და მაპმადიანობის გავრცელებას ეხმარებოდნენ, მაგრამ
ამას მხოლოდ იმიტომ სჩადიოდნენ, რომ მეტობა მოე-
პოვათ, გული კი ისევ ქრისტიანობის კუთხია ჰქონდათ.

„ქართველები გაუტეხელი და მამაცი ხალხია. ესენი
თავკანწირულად იცვენ თავიანთ თავისუფლებას. რად-

გან იგინი თამაღებზედაც ახლოს არიან, ამიტომ სპარ-
სები ვერა ჰქედვენ სრულიად ხელი ჩაჰკიდონ უშაბული თევა
ლებს და ნებას აძლევენ დაიცვან თითქმის ყველა გა-
რეგანი ნიშნები თავის რჯულისა: ყველა მაკლესის
თავზედ გაკეთებულია ჯვარი, სამრეკლოში ჰკიდია ზა-
რები. საქვეყნოდ და მოურიდებლად ჰკიდიან ლორის
ხორცია და იგრეთვე ლინოს ქუჩებში. სპარსებს, რა-
საკვირველია, ჯვარი მოსდით და აღკრძალვა უნდათ,
მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერა გაუწყვიათ.

„ამ რამდენიმე წლის წინად სპარსებმა ააშენეს
ერთი პატარა მეჩითი ციხეში, იქ, საცა ციხესა და მო-
ედანს შორის მაგარი კედელია. ეს ადგილი იმიტომ
ამოურჩევიათ სპარსებს, რომ ხალხს ხშირად დაენახა
და შესჩვეოდა როგორც მეჩითისა, ისე მოლებსაც. ქარ-
თველებმა ვერ დაუშალეს მეჩითის იგება, რადგან ციხე
გამაგრებული იყო, ხოლო როცა მოლა ავიდა მეჩითის
თავზე და მუყრი შემოსმახა, ხალხი შეგროვდა მოედან-
ზედ, დაუშინა ქვა მეჩითს და მოლა გადმოიფრინა მა-
ლლიდგან. ამის შემდეგ მოლა ველარ იღის სამუკ-
როდ...

„ქალაქში რამდენიმე კარგი საჯარო შენობებია,
დიდრონი ბაზრები, ქეით ნაშენი და სუფთად შენახუ-
ლი. ასეთივე ქართულებიც, საცა ბინავდებიან უც-
ხოვთიდან მოსულნი. შიგ ქალაქში ცოტა აბანოებია
და ხალხი ბანაობს იმ თბილ წყლებში, რომელიც ცი-
ხეშია. ამ აბანოების წყალი გარემონდიანია და მეტად
ცხელი. ღუქნებიც კარგად მოწყობილია, სუფთად შე-
ნახული. ღუქნები ჩამწერივებულია მაღლობზე, დიდის
მოედნის პირში.

„შეფის სასახლე ერთი უშეენიერესი შენობაა ტფი-




ლისში. სასახლეში არის დიდი დარბაზები, რომელთან
მდინარესა და ბაღებს გადასცემიან. ბაღში უაღვისება
დიდრონებით. იქვე არის საფრინველოები, რომლებშია ც
სხვა-და-სხვა გვარ ფრინველებს ინახევნ. აქვე აშენებუ-
ლია აგრეთვე ერთი მწევარ-მეძებრების სადგომი და
ისეთი შეკნიერი საქორე, რომ უკეთესი აღარ შეიძ-
ლება. სასახლის ჭინ თხე-კუთხი მოედანია, სადაც
ათასს ცხენამდის დაეტევა. მოედნის გარეშემო დუქნე-
ბია და ბოლოს გრძელი ბაზარი, სასახლის პირდაპირ.
შეკნიერი სანახავია მოედანი და სასახლის პირი ამ ბა-
ზრის თავიდან. კანეთის მეფის სასახლე ქალაქის ნაპი-
რას არის, რომელიც აგრეთვე ლირს იმად, რომ კაცმა
დაათვალიეროს.

„ტფილისის მიღამო შემკულია რამოდენიმე სალ-
ხინო სახლით და შეკნიერის ბაღებით, რომელთაგან
ყველაზე დიდი მეფის ბაღია. ხეხილი ცოტა დგას, ხო-
ლო გავსილია იმისთანა ხეებით, რომლებიც აშენე-
ბენ ბაღს და ტრდილსა და სიგრილეს ვერცელებენ.

„ტფილისში არის კაპუცინების სახლიც. იგინი აქ
13 წელიწადია, რაც დასახლდენ. კაპუცინები ექიმებს
ეძახიან თავიანთ თავს. და ხალხიც ექიმებს უწოდებს
მათ. იგინი ძალიან მიღებულნი არიან, რაღაც ექიმო-
ბათ და ქიმიას შეტყიდ პატივს სცემცნ აღმოსავლეთში.
კაპუცინები ჯერ დაბინავებულიან ტფილისში და მერე
გორში. შაპნაოზს მათთვის უსუქებია სახლები გორსა
და ტფილისში. მათ მიურთმევიათ მეფისათვის წერი-
ლები პაპისა და კონგრეგაციისა და აგრეთვე მათივე
სახელით შეკნიერი საჩუქრები. საწუქრები მიურთმე-
ვიათ აგრეთვე დედოფლისათვის, კათალიკოზისათვის და
კარის უმთავრეს დიდებულთათვის. ერთი მისსიონერთა-

განი, რომელიც ექიმობაში უფრო დახელოვნებულია, მეფეს ახლავს. საექიმოში მათ აძლევენ ღვინოს, ტუბას, პირუტყვას, ახალგაზდა მონებს. მათ წება აქვთ იყოლიონ ცხენები, მონები, მსახურები, ივაჭრონ, ფული ხაზებლით გაასესხონ და ისესხონ და სხ.

„12 თებერ. 1673 წ. დილით ერთის კეთილშოთილის პირით მეფემ შემომითვალია: იმ კვირა ყოველ დღე შექმავა გვექნება სასახლეში და ვთხოვთ შენც მობრძანდეთ. რაც კი უკეთესი საცმელი მქონდა, ჩავიცვი და მეფეს ვეახელ. შუადღე მოტანებული იყო, როდესაც სასახლეში წავედი და თან წამომყვნენ კაპუცინების პრეფექტი და მამა რაფიელი. სადილად გველოდნენ. მეფე დარბაზში ბრძანდებოდა. დარბაზი სიგრძით 110 ფუტი იყო, სიგანით 40. სასახლე მტკვრის პირზედ იდგა და მტკვრის მხრივ დარბაზი ახლილი იყო. დარბაზის სართოით ნაკეთებს კერს იმაგრებდა რამდენიმე დახატული და ოქროთი მოვარაყებული სვეტი, რომელთა სიმაღლე იყო 35—40 ფუტამდე. მთელი დარბაზი შვენიერის ხალებით იყო მორთული. მეფე და დიდებულნი შემოსხდომოდნენ სამს პატარა ბუხარს. ეს ბუხარები და რამდენიმე მაყალი ისე კარგად ათბოძდნენ დარბაზს, რომ კაცი სიცივეს სრულებით ვერა ჰვერძნობდა. მეფე შავნაოზს მიმსელელნი ისევე აძლევდნენ სალამს, როგორც ყაენს: ორ-სამ ნაბიჯზედ რომ მიუახლოვდებოდნენ, მუხლს უდრევდნენ და სამჯერ ზედი-ზედ თაყვანს სცემდნენ. მეფეს სამჯერ დავუკარ თავი მდაბლად, გარნა მუხლი კი არ მოვუკარე. შემდეგ ორმა დიდებულმა მთხოვა დამჯდარვიყავი. მეც დავჯექ პრეფექტან ერთად.



„მეფეს მიუუძლვენი ერთი დიდი საათი ჩუქუტოშაული ნაკეთებისა და მოვარაყებულის ვერცხლის კასტრული, ერთი სევადიანი ოქროს პატარა კოლოფი თრიაჭის აბებისა-ვები, ერთი ლამაზად შემკული და დიდის ხელოვნებით გაკეთებული საღოსტაქრო იარაღის ბუდე და შეენიშრი და საუცხოვო დანები. როდესაც მივესალმე მეფეს, მას არაფერი კუთხარი და არც მას უთქვამს-რა ჩემთვის. ხოლო სუფრაზე რომ ვიჯევი, მესუფრის ხელით გამომიგზავნა ოქროს თეთრით ნახევარი ერთის დიდის პურისა, რომელიც მის წინ იდეა, და შემომითვალი, ჩემთვის ძალიან სახიამოვნოა თქვენი აქ ყოფნაო. მეორე თავი საქმელი რომ შემოიტანეს, მეფემ გამომიგზავნა ღვინო იმ თასით, რომლითაც თვითონ სვამდა. ღვინო ოქროს სევადით მორთულ საღვინები იღვა, თასიც ოქროსი იყო და გარედგან ლალითა და ფირუზით მოქედილი იყო. ერთმა კეთილშობილთავანმა მოვართვა ეს ღვინო და გვითხრა: „მეფემ შემოვითვალათ: მიირთვითო, იმხიარულეთო, ნუ მოვიწყენიათო“. შემდეგ, მესამე თავი საქმელი რომ შემოიტანეს, მეფე უფრო დაგვიტკბა. მოიტანეს შემწვარი. მეფემ გამოვიგზავნა შემწვარი ხოსნბი, ორი კავაბი და ირმის ფეშა და შემოვითვალა: „თუმცა ნადირის ხორცზე ღვინო კარგია, გარნა მე მაინც ვუბრძანე, ძალა არ დაგატანონო“. ძალა გავაგრძელებ სიტყვეს იმაზედ—თუ რა წესირება და დიდი მოკრძალება სუფევდა ამ შექცევის დროს; მხოლოდ ამას ვიტყვი: ღვინო ბევრი სევები, გახაოცარი სიუხვე იყო ხორავისა, მოქმედიათ სახსილოცა და სამარხოცა, რაღვან სადილზედ პატრიარქი და ეპისკოპოსებიც იყვნენ, რომლებიც ხორცს არასოდეს არა სჭამენ.



16 თებერვალს 1673 წ. მეფემ მიმიწვდომათ უკან
დისწულის ქორწილში. ჯერის-წერა სასახლეში უკან მეფე
ჯერის-წერა თითქმის გათავებულიყო, როდესაც მივე-
დით მე, მამა პრეფექტი და მამა რაფიელი. ჯვარს
სწერდენ იმ დარბაზში, რომელშიაც წინა კვირას ჩვენ
ვისადილეთ. ძლიერ მსურდა ჯვრის წერის ნახვა, გარ-
ნა დარბაზი ქალებით ხავსე იყო და ამისათვის კაცებს
აღარ უშევებდნენ. დარბაზში იყვნენ მხოლოდ მეფე,
მისი ახლო ნათებავები, ქათალიკოსი და ეპისკოპოსები.
ქართველებმა ქალებს აუკრძალეს კაცებში ყოფნა მხო-
ლოდ მას შემდეგ, რაც სპარსეთის მორჩილებაში არიან.
ეს წესი ჯერ მხოლოდ ქალაქებშია გავრცელებული,
ხოლო სოფლებში კი და იმ ადგილებში, სადაც მაპ-
მადიანები არ არიან, ქალები უპირსადეოდ დადიან და
სრულებითაც არ ეკრძალებიან ვაშაცებს და მთთან
ლაპარაქს. მაგრამ რაღაც მაპმადიანთ რჯული და წვე-
ულება თან-და-თან ვრცელდება საქართველოში, ამი-
ტომ ქალებს თავისუფლება დღე-დღეზე უფრო იქლ-
დებათ. ქორწილი ხასხლის აივანში გამართეს. აივნის
ირველივ ტახტები გვემწურივათ. აივანი დახურული
იყო დიდის ჩარდახით, რომელიც ხეოს სვეტზე იდგა.
ყოველი სვეტი სიმაღლით იყო 22 ფუტამდე. ჩარდა-
ხის ქვემო შხარეს გაკრული იყო ოქსინო, ხავერდი და
კრელი ტილო, და უველა ეს ისე შვენიერად და ხე-
ლოვნურად იყო შემკომილი, რომ ლამპრების შუქსელ
ისე გეგონებოდათ, თითქო უვავილებით არის მორთუ-
ლით. ამ დარბაზის შუა იყო დიდი აუზი. იატაკი და-
ფენილი იყო შვენიერის ხალიჩებით. 40 დიდი ლამპა-
რი ანათებდა იქაურობას. 4 ლამპარი, რომელიც მე-
ფის ახლოს იდგა, ოქსინი იყო, სხვები კერცხლისა.



ყოველი ლამბარი 40 გირვანქიანი იყო. სამუშავებელი ტახტები ისხდნენ. მეფე უფრო მაღალს ტახტები იჯდა. სამეფო ტახტი გუმბათის მხვავსის ჩარდახით იყო დახურული. მეფეს მარჯვნივ თავისი შვილი და მშვი უსხდნენ, მარცხნივ—ეპისკოპოსები. ახალ სიძესაც მეფის ახლო ჰქონდა აღგილი. ქორწილში იყო ასიოდე კაცი. მესაკრავენი ძირის ისხდნენ. როცა დავსხედით, ცოდა ხნის შემდეგ კათალიკოზმა შემოიყვანა სიძე, რომელსაც მიულოცეს მისმა მშობლებმა და საჩუქარი მიართვეს, ესევე მოიქცა სტუმრების უმეტესობა: ყველამ თავის ხარისხის-და-გვარად მიულოცა სიძეს და დაასაჩუქრა ოქტო-ცერქელის ფულითა და თახებით. ვახშამი ასე დაიწყო: ყველა სტუმრების წინ ვაშალეს სუფრები, მერე მოიტანეს პური, ქალალდივით თხელი, თითო სისქისა და დაშაქრული. ხორცი მოიტანეს ვერცხლის დიდრონ ლანგრებით, რომლებიც დახურული იყო. კოველი ლანგარი წონით იყო 50—60 მარკა. ლანგრებს შემომტანნი სეფის კარებში აწყობდნენ, სხვა მოსამსახურები მიართმევდნენ მესუფრეს, რომელიც საჭმელს ანაწილებდა თეთშებზედ და უბრძანებდათ, სტუმრებს მიართვითო. ჯერ მეფეს მიართმევდნენ ხოლმე და მერე სხვებს—უმცროს-უფროსობის კვალობაზედ. სამი თავი საჭმელი შემოიტანეს. თითო თავი 60-დე ლანგრით მოდიოდა. პირველი თავი საჭმელი იყო სხვა-და-სხვა ნაირი ფლავი—ვათედი შაქრითა, დარიინითა და ზაფრანით შეზავებული, წითელი ბროწეულის წვენით. მეორე თავად შემოიტანეს კუპატები, ყაურმა, შეენირი მომდიოდ მოხრაკული ხორცი და სხვ. მესამე თავი იყო შემწვარი. სამღვდელოთაოვის მოქმედათ იგრეთვე თევზი, კვერცხი და მწვანილი. საკვირველის



წესიერებითა და სიტუმით მაშქონდათ საკულტო ცეკვები; გუთქმელად აკეთებდა თავის საქმეს. წევნ საჭირო ცუკინისა და ელი უფრო მეტს ეხმაურობდით, ვიდრე ის 150 კაცი, რომელიც დარჩაში იყო. საკვირველი იყო აგრეთვე სუფრის იარაღი და ავეჯეულობა. სუფრაზედ იყო 120-დე ლვინის სასმური: ბადიები, თასები, ყანწები, კულები, 12 აზარფეში და სხ. აზარფეშები თითქმის ყველა ვერცხლისა იყო. თასები, ბადიები, კულები ზოგი სადა ოქროსი იყო, ზოგი ძეირფასის თელებით მოკედილი, ზოგი ვერცხლისა. ყანწები ძეირფასის თვლებით იყო მოოკედილი. დაილია ბევრი ლვინო თასებითა და ყანწებით. „ალავერდი“ და „იახშიოლ“ გაისმოდა... გათავდა ვახშამი. შინ წამოვედით. მეფემ შემომითვალია: ძლიერ მსურს ევროპიელები დასახლდნენ საქართველოშით და გვიბრძანა: თუ აღებ-მიცემის-თვის მოვლენ ევროპიელები, გავანთავისუფლებ ყველა გარდასახადისაგანაო და შივანიკებ უმველეგარ უპირატესობას, რასაც კი ისურვებენო. ჩემი საბრძანებელია შევ ზღვამდე, დიდი გავლენა მაქს სპარსეთში, დიდი პატივი რამალეთშით და იმიტომ ევროპიელები ინდოეთში მისვლა-მოსვლისთვის საქართველოშედ უკეთესს გზას ვერ იპოვიანო. თუ ერთხელ სკადეს და ამ გზაზედ გაიირეს, მერე აღარ დასტოვებენ ამ გზით სიარულსო. მე დავპირდი, რომ მეფის ბრძანებას შევასრულებ და მისს სურვილს ევროპიელებს გამოვუცხადებ;. *)

*) Voyages en Perse et autres lieux de l'orient.



ტურნეფორი, რომელიც იყო საქართველოში 1701 წელს, სწერს*):

ტფილისი—საქმაოდ ვრცელი და კარგად დასახლებული ქალაქია. სახლები იქ დაბლებია და ცუდად განათებული, ხოლო აშენებულია იგურისა, ქვისა და თიხისაგან. ტფილისი გარეშემო შემოვლებული კედლები ჩვენებურ ბალების გალავნებზე მაღლობი არ არის. ქუჩები ცუდად მოკირწყლულია. ციხე მიღლობზე სდგას და დაპყურებს ქალაქს, გარნა თითქმის მთლიად დანგრეულია და მაგრობს მხოლოდ რამდენიმე უხეირო ბურჯების შემწეობით. ციხის მკველთ დასი სუსტია და შესდგება მაშმალიანთაგან, რომელთაც იარაღის ხმარება ცუდად იციან. ციხის წინა სარბიელი, საცა ასწავლიან მხედრობას, ვრცელია და ციხის გარეშე, სხვა შესავალი ქალაქს არა აქვს. მეფის სახახლე, რომელიც ციხის ქვემთა, ყურადღების ღირსია ისევე, ვითარცა ბალები, მოედანი და ბაზარი,... სახახლიდგან ჩენ წავედით აბანოებში, რომელნიც არა ეგრე შორიავნ მას. აბანოებში გამოყვანილია გოგირდიანი თბილი წყაროები; მათში არის მოთბო და ცივი წყალიც. აბანოები სუფთად შენახულია და მოქალაქეთათვის ერთად-ერთს გასართობს წარმოადგენენ. უმთავრესი სავაჭრო ტფილისისა არის ტყავები და ბეწვეულობა, რომელიც გააქვთ სპარსეთისა და კონსტანტინეპოლის არზრუმიდებინ. ადგილობრივი აბრუშუმი ტფილისში არ შემოაქვთ, რომ ბაჟი არ გადიხადონ და ადგილობრივებე პყიდულობენ მას ტფილისის სომხები და პირდაპირ გზავნიან ზმირნას და ხმელთა-შუა ზღვის ნავთ-საყუდლებში ფრანგ -

* Сборн. свѣд. о Кавк. т. VI, ст. 283—285.



თავეის. მისის სკიდად. ტფილისის მიღამოები კართველოს სხვა ადგილებიდან უკველ-წლივ იგზავნება 2,000 აქლემის საპალნე ენდრო; ორზრუმიდან ენდრო შეაქვთ დიარბექირს, საცა მით ლებავენ ფარნეულობას პოლონელთა ქარხნებისათვის. საქართველო ბევრ ენდროს აძლევს ინდოსტრიანსაც... ჩეენ ვნახეთ ტფილისის ბაზარიც, საცა ჰყიდიან სხვა-და-სხვა ხილს და მათ შორის ქლიავსა და ფრიად კარგ მსხალს. ჩეენ აგრეთვე ვნახეთ მეფის სახაფხულო სახლი მისის მშვენიერის ბაღით, რომელიც არის იმ გარეუბანს, საიდგანაც გზა მიიმართება ოსმალეთისკენ. საზოგადოდ ტფილისში ბალები უფრო კარგად მოვლილებია, ვიდრე ომალეთში. ტფილისში დაახლოებით 20,000 მცხოვრებია, რომელთაგან 14,000 სომებია, 3,000 მაკმადიანი, 2,000 (?) ქართველი და 500 რომის კათოლიკები. ეს უკანასკნელნი სომებ-კათოლიკენია, რომელნიც ძლიერად მტრობენ დანარჩენ სომხებს... ტფილისში ჩეენ ვცხოვრობდით იტალიელ კაპუცინებთან, რომელნიც ძლიერ უყვართ საქართველოში. მათი ხელობა ექიმობაა. ჩვენ დროს იქ მხოლოდ სამი კაპუცინი იყო და მათ შორის ორი პატერი... საქართველოს ეკკლესიას განავებს მიტროპოლიტი, რომელიც ექვემდებარება (?) ალექსანდრიის პატრიარქს. სპარსთა მეფეები ამტკიცებენ ქართველთა მიტროპოლიტებს შეუციწროებლად და ამასთან არც ძლევებს იღებენ მათგან. ასრეა არ არის სომხის ეკკლესიას მოთვეის (რომელიც ერე-



ვანშია) დამტკიცება. მის დამტკიცებას უოფლოფულის
უნდება დიდი ფული და გარეშე ამისა კიდევ მარტინი
წლიური ხარჯი ცვილით, რომელიც იგზავნება სპარსეთს.
საზოგადოდ სპარსთ ეზიზლებათ სომებნი და უყურებენ
მათ ისე, როგორც მონათა ფარას, რომელთაც ვერ
შეუჩვევიათ თავისი თავი ომისა და განდგომისათვის.
ყავნის საქართველოზე უფლება იმაზედ მეტი უადება,
რასაც ეს ქვეყანა აძლევს მას. ეს იმიტომ, რომ ამ
ქვეყნის შესარჩევნად თვის ხელშიისებაში იძულებულია
მიიმხროს საქართველოს წარჩინებული გვარეულობანი,
აძლიოს მათ დიდი ულუფა, რადგან უამისოდ იგინი
მიემხრობიან თავის მეზობელ ოსმალეთს და გამოუდგე-
ბიან სპარსეთს. მართლ-მადიდებელთა ეკკლესია ხუთია,
4 შიგ ქალაქში და 1 გარეუბანში; სომებთ აქვთ 7
ეკკლესია; 2 მეზითია და ორივე ციხეში. მესამე მეზი-
თი, ციხის გარე მყოფი, გაუქმდებულია. ქართველთა
უშთავრეს ეკკლესიას სიონი ჰქვიან. იგი იღმართულია
დაქანებულს კლდეზედ, მტკერის პირის და ლაშაზი და
მკეიდრი შენობაა, სულ თლილის ქვით ნაშენი. იგი
მაღლა სრულდება მშვენიერის გუმბათით. ტფილელი
აქვე სცხოვრობს. ქრისტიანეთა ცენტრი ეკკლესიას იქვს
ზარები და სამრეკლოები ჯვრებით თავზე. მაჭმალიანი
შუარები შიშით ვერ იწვევენ მაჭმალიანებს სალოცავად
მეზითებში: ამ შემთხვევაში მათ ქვას დაუშენდნენ ქრის-
ტიანენი. კაპუცინების ეკკლესია ძალიან პატარაა".



სწორედ ამ დროს ქართლში მეფობდა შავაჩავალებელი (ნაზარალიხანი), რომელიც 14 წელიწადს ყველაზე უძლიერი ზედ იყო და იქ შექმნია კოველგვარ სიბილწეს, შვებალხინს, ლიტად და უშვერიად უბნობას და სხ. ამ ნაზარალიხანში ტფილიხი სპარსებს დაუტოვა, თეითონ სასახლე აიგო ნაგებს, საღაც დროს ატარებდა ნაღამობითა და მფოსნით. ქვეყნის მართვა ჩაბარა სპარსებს, თვისი მოხელეები ჩაყენა ტფილიხსა, კორსა და სურამს. მეციხოვნე ყიზილბაში იტაცებდნენ. ქართველებს და ჰყიდდენ.

ერეკლეს შემდეგ საქართველოს გამგედ დანიშნული იქმნა (1703 წ.) ვანტანგ ვI სჯულ-მდებელი, რომელმაც ბევრი იზრუნა ქართლის გაშენებისა და ტფილის გალამაზება-განკარგებისთვის. მანვე შეადგინა სამართალის წიგნი, გამართა სტამბა (1709 წ.) დაბეჭდა მრავალი წიგნი, შეადგინა კომისია შემოსაკრებად საქართველოს მატიანეთა, ქალაქს ააშენა სიონის გუმბათი და სამხრო და იკრეთვე სახლი პატიოსანი მიკერიტანისა და ოქროსა ვარაყითა შეთხიზნული. მემატიანე ამბობს: „ოთხშაბათსა და პარისკევსა დაჯდის მეფე სამდივნოსა სახლსა და განაგებდა სამართლისა მცირეთა და დიდებულთა თანა; კვირასა და სამშაბათსა განაგებდა მეჯლისსა, ნახევდის ლხინსა, გასცემდის უშურველსა საბოძვერსა. როცა სამართლისა ლხინისაგან მოიკლის, ინადირის და გავიღის მოედანსა, აბურთის და ესროდენ ყაბახსა“. ვასტანგის ყველა ნამოქმედარს მოკლედ გადმოგვცემს მისი ეპიტაფია:

მე უმცირესმან მმათბებნ, ვახტანგმან სახელ-დებულებაზ,
პქმენ თუმ წელ მცხოვა, უნდინათ საღვრუ-პშენის მიმართ
ბეჭდად,

ტფადვასს სათანა ხედასდა შევმერწე ქანდაკებულებდ,
ჩემთვასცა სახლი სარკია, შაბ დასია მოწონებულებდ;
სტამის მოვადე ვდასხეოთ, ვძმრავდე წაგნია მედანი,
ქციას რუ სუნას წაგადე, გადმათად მოგნწევ ვაღანია,
მაშვრიას რუ რამ ტას შევთვე, შაბ თვეზია ჩავსხა
ვაღადნია,

ეს მთა მოვანადარე, გხეოჩე ირემა, მიღდანა;

სამართლას წაგნი დაგწერე, მსაჭული არ უნდა
წადომის, გეფხის-ტეპალსნის, თაბრემნიას, სხვა წერადო არ ქსოვდა
წადომის,

ჩემთანა მეოუფოთ ჟაბუქია უქმნას გარე ზრდიდობას.

ბოლოს მამადო სოფელმან, სამდაცრე, მეფეთ შვა-
ლიანი! *)

ამ სიხელოეან მეფეს ბოლო მოულო ტფილისის
ბრძოლამ (1723 წ.). 1722 წელს ვახტანგი განუდგა
ყაენს და მიემხრო პეტრე დიდი, რომელიც სპარსეთს
ებრძოდა დარუბანდის მხრით. გაჯაერებულ თაშაზ ყა-
ენმა ქართლ-კახეთის სამეფო მისცა გამაპმალიანებულს
კოსტანტინეს (მაპმალულიხანს), ერეკლე თ-ის შეილს
(1723 წ.). პეტრე დიდი იმავე წელიწადს შეურიგდა
ყაენს და დაბრუნდა. კოსტანტინე მოვიდა სპარსეთი-
დან და ტფილისის მეციხოენებს, რომელიც სპარსიი
იყვნენ, აცნობა ყაენის განკარგულება. მეციხოვნეო
დაბშეს ციხის კარი და ოოფ-ხარბაზნის სროლა იწყეს.

*) უნნ. „ავერია“, გვ. 104.

კოსტანტინებ თვისი ძმა თემიშვილი (შემდეგ შეცვალა თემიშვილი იმურაშვილი, მამა ერეკლე II-ისა) კაი ძალი ჭრილი შემოწერა
რა მცხეთას და თვითონ ცა მოადგა ტფილის და დადგა
სეიდაბადეს. კახტანგმა და მისმა შეიღებშა ბაქარმა და
ვახტანგმა (შემდეგ ისტორიული, არქეოლოგი, კარ-
ტოგრაფი) დაამარცხეს იგი და განდევნეს. გარნა კოს-
ტანტინებ მოიწვია დიდ-ხალი ლაშქარი ჭარელ ლევა-
ბისა, რომელნიც უკვე ფრიად გამძლავრებულ იყენენ,
აღუთქვა მათ ტფილის აგაკლებინებთო, და უგრძნეუ-
ლად თავს დაესხა ვახტანგს, რომელსაც, თუ ფეხშირდი
ცხენი არ ჰყოლოდა, შეიძყრობლენ კიდეც. ვახტანგი
შეიღებითურთ გაიქანა გორს. ლევანი შემოცვიდნენ
ქალაქში და იავარშეყვეს იგი, დაატყვევეს მჩავალნი,
გახტანგს ქალწულნი, დაწვეს სიონი (1723 წ.). ამავე
შემთხვევის შესახებ ჯალალიანცი სწერს: *) «კოსტან-
ტინე შევიდა ქალაქში ლევთა სიმრავლით. ლევნი მა-
შინათვე მოიბნენ. ქალაქში და გაჩხრიკეს სახლები,
ეზოები, ეკკლესიები, ტაძრების ჭერნი და აკლდამანი.
ქალაქი დიდი ხნიდგან არ იყო აოხტებული და მშვი-
დობით სტკაბებოდა ეს უმდიდრესი და შინოიანი ტფი-
ლისი; მამავაცნი შეიქმნენ შრომის-მოყვარე ვაკრებად,
ხოლო მათნი ცოლნი და ლამაზნი ასულნი ფუფუნე-
ბით აღზრდილ იყვნენ. იგინი შეუდარებელნი არიან
თვისის მორცევისა და კეთილსათნო ცხოვრებით;
სცხოვრებენ მშვენიერსა და მდიდრულად მორთულს პა-
ლატებში; ჭურჭელი და სუფრის მოწყობილობა პქონ-
დათ ვერცხლისა და არა სპილენძისა. შესახებ მათ
მდიდრულად მორთულობისა და შემკულობისა ძეირფას

* Сборн. сб. I. в Кавк., т. VI, стр. 285, 286.

პეტიონთ, — იფიქრე შენ თვითონ, რაოდენადაც უშედგენდები
ლიან წარმოდგენა. რაღა ვსოდეთ შესახებ ეკუთხებოთ მათ ეს
სიმდიდრისა და დიდმშევნერებისა, რომელთაც პქონ-
დათ ოქრო-ვერცხლის კურპელნი, შემცულ იყვნენ
ოქსინოთი და სხ. საკუთრებით. ყველა ეს, რაც ავწე-
რე, წარიტაცეს ამ ველურ, უდიოო, მსუნავ, გაუმაძ-
ლირ, ნაღირისა და წურბელიათა მსგავს ლეკებმა; ამათვე
ტყვედ წილყვანეს ის ყაჩანი და ქალწულნი, რომელნიც
მოეწონათ. გარნა შეიძლება-ლა აღწერა სირცხვილისა
და უპატიოურობისა და ესი შეუძლიან აღნიუსხოს რაო-
დენობა წარტყვენილისა? თუმცა მეფე კოსტანტინემ
აღუკრძალათ კვლა და ტკვენვა, გარნა ლეკნი არც
მას უგონებდენ და სთოვდენ დაპირებულს სასყიდველს.
ამიტომ მეფემ მოქალაქეთ გარდახდევინა 4000 თუმა-
ნი, მის კა ლეკებს და გაისტუმრა.

ტფილისილგან გაქცეული ვახტანგ მეფე დაზგა
ცხინვალს. ამავე დროს ოსმალთ ოში პქონდათ სპარ-
სებთან და დაებურათ ქვეყანა არზარუმილგან თავრი-
ზამდე. 1723 წ. გაზაფხულს ოსმალთი 20,000 მეომა-
რი შემოვიდა ერევანს და იქიდგან გამოსწიო ტფილი-
სისაკენ. ჯარის წინამდლოლმა ვახტანგს შემოუთვალია:
„მხედლად შენი ნათესავი გამომიგზიავნე და მე დაგიმ-
ხობ მტერსო“. ვახტანგმა ოსმალებს მიაგება თეისი ძე
ბაქარი და ძმა იქსე. ოსმალნი მოვიდნენ ყურკუთას.
კოსტანტინე შეშინდა, მიეგება ოსმალთ, ჩააბარა ქა-
ლაქის კლიტე და წამოუძღვა. ტფილისი იიღებს ოსმა-
ლებმა, მის ციხეში იქნებოთნი ჩადგნენ, კოსტანტინე
დაპატიმრებულ იქნია. ბაქარი თუმცა გაამეფეს, გარნა
ქვეყანას ვანაგებდა რაჯაბ ფაშა, რომელიც ტფილის
იჯდა და რომელმაც ეს ქალაქი რამდენიმე ნაწილიად



გამყო და ყოველი ნაწილი თავის მოხელეს რწმუნაშე
ბაქარს გაუკირდა აქ ყოფნა, გაიპარა და მიმდინარე მარტინ
თან. ვახტანგი თვისის სახლობითა და დიდ-ქალის ამა-
ლით რუსეთს გადასახლდა. კოსტანტინემაც მოხერხა
საპატიმროდგან გაქცევა და კახეთს მისვლა. გარნა ოს-
მალებმა კახეთიც დაიპყრეს და კოსტანტინესაც თავი
მოსჭრეს ბევრნაღს. ქართლის მეფედ გამოაცხადეს ვახ-
ტანგის ძმა იგე, რომელიც „შიორი“ იყო და ამა-
„სუნი“ გახდა. ოსმალთა მფლობელობა გაგრძელდა
12 წელიწადს. ბუტკოვის სიტყვით *) თამალთა მფლო-
ბელობა დამტკიცებულ იქნა რუს-ოსმალთა ხელ-
შეკრულობით 12 ივნისს 1724 წ. ამ ხელშეკრულობის
ძალით ოსმალეთისად ჩითვალა საქართველო ტფილი-
სითურთ, აგრეთვე ერევანი, ყაზვინი და თავრიზი.

ოსმალთ ფაშას ისაყს მოუვიდა სულთნის ბრძანება
ტფილისის სიონი შეჩითად აქციეო. ამ ბრძანებას წინა-
აღუდება იმილახორი გივი, ტფილელი დომენტი და
მრ. სხვანი, დიდი ძლვენი მიართვეს ფაშას და ძლიერ
დაიყოლიეს, არ წაეპილწა ლვის სახლი (იხ. ეკლ. მუს.
სიგელი № 733).

1735 წელს სპარსები სასტიკად შეეპნენ ასმა-
ლებს და მიიშველიეს თეიმურაზ მეფეც. ამ წელს
ნიდირმა შემუხრა ასმალთა ძლიერება განჯას და უკა-
აქცია. სპარსნი მოადგნენ ტფილისს. ყავნას ფაშას შე-
უთვალი: გაგწყვეტავთ, თუ ქალაქი კარს არ გამიღებსო.
ამასობაში სულთანმა ზავი შეპქრა ყავნთან და დაუთმო

*) ბუტკოვა, გვ. 52, 61, 99; სესხა წხეაძე, ბვერ-
გა 332.



მას ერევანი, განჯა, ლორე და ტფილისი. ისაც-თაშა
და მისი შვილი უსუფ-ფაშა (სამცხის ათაბაგიშვილი) მე
მელი ტფილისში იდგნენ, აიყარნენ და ახალციხეს
წავიდნენ. მათ ბარგი-ბარხანის წალებას მოუნდა 300
ურემი. ტფილისს შემოვიდა თამაზ ხანის (ნადირის)
სარდალი ალიკულიბეგ, რომელმაც ქალაქს წაართვა
8,000 თუმანი, სახასო სოფლებს 3,000 თუმანი, პური
1,000 ხარვარი (10,000 კოდი). ამის შემდეგ ქალაქში
შემოვიდა თვით თამაზხანიც ღირის დიდებით (6 ჯვა-
ნობისთ. 1735 წ.). მემატიანე ამბობს: „თამაზის გაუშა-
ლეს მოქალაქეთ ფიანდაზი ციხის კარიდამ ალაყაფის
ჩარდახამდის, დადგა ჩარდახში და შიგნით არამი და-
აყენა“. ქალაქიდან ყაენშა გაისია ჯარი ქართლს,
რომელიც ააოხრეს, დაატყვევეს, დასწვეს, შეაბილწეა
ეკულესია, გააოხრეს შიომღვიმე ხატითა და მორთუ-
ლობითა, ტყვედ წილუფანეს 800 კომლი, მოსრეს ყმაწ-
ვილნი ეროდეს მსგავსად: ჩრდილო პურიდნენ, ხოლო
დიდი, რომელიც დავარდის, ცხვირსა და ყურებს
აკრიდიან“. ასრე მძვინვარებლა თამაზი უკრომბრის
25-მდე და ამ დღეს კი აიყარი ქალაქიდგან და შეესია
კიხეთს, ჭარს და დადგა მულამს, ხაცა მას მიულოცეს
გახელმწიფება და იგი იწოდა ნაღირშად (9 მარტს
1736 წ.). აქ მყოფობისას ყაენშა ქართლს შემოაწერა
3300 თუმანი, ხოლო ქალაქში უნდა დამდგარიყო 500
მისი ნოქარი ცოლშვილითა და კაც-ცხენ იარაღითა.⁴⁾
თამაზის თანამედროვე და თანამგზავრი სომხეთის კათა-
ლიკოსი აბრაამი სწერს⁵⁾: „ტფილისში კიდევ დავრის

⁴⁾ სემნა ნეკაქ, გვ. 340.

⁵⁾ ციფრ. ცხ. 9 ნახ., ც. 287.



3 დღე, რაღუან გამლიერებულ ყაენს ებრძანებორზე რაჭული ყარათ 300 კომლი მოქალაქე და გადაეცახს უკინებელი ხორავანს. ოლწერები 300 კომლი და შეაგროვეს რომელიმდებარებული ეკვალესიაში. ეს საკოდავნი საზორლად სტირალენენ და ყევიროლენენ. ყაენის დიდებულებს ვსოდოვე გაენთავისუფლებინათ ეს საკოდავნი და მათ მაგიერ აელოთ 3,000 თუმანი და 3,000 ტომარა პური. ჩემი თხოვნა შეისმინეს“.

მუდამილან ყაენი წავიდა ყანდარს და ოლიო ივი (16 მარტს 1737 წ.), შემდევ დაიბარა ერეკლე და გაილაშვრა ინდოეთს, რომელიც დაიპურა და დაბრუნდა. ერეკლე დააჯილდოვა და გამოისტუმრი. „პატარი კახმა“ აღავერდს მოაწია 13 დეკემბ. ლამის 4 საათზე 1739 წ. ყაენიც მოავიდა და შეესია ლევეტს დარუბანდის მხრით, ხოლო თვესის დიდმალის ლაშვრის გამოკვება დაავალა ხაქარონკელოს და ქართლიადგან წაალებინა 300,000 კოდი პური, ამას გარდა ქართლიადგანვე მოითხოვა: ეროვზობრივას 6000 ხარი, რომელსაც განჯილან პური ავკიდეს და წაიღეს დარუბანდს; 3000 შებმული უძგმი, რომელთაგან ყრაველი დატეირობული იყო 200 ლიტრი პურით, კიდევ ხევა წიერდა დაღისტანს; 2,000 ურემი გიოგზავნა მესაშედ. გარნა ეს არ იკმარა ყიენშა. ქართლს კიდევ შემოაწერა: ქალწული 300, ვეზი 300, ქვრივნი ქალნი 300, 500 კომლი მოსახლე და 20,000 ხარევარი პური (2,000000 ლიტრი). ქვეყანა მოილად გაღატავდა და უარი შეუთვალი ყიენს. ნატირშა გაცეცელდა, გაბრაზრა და საქართველოს ოხრება განიკულა. გარნა ამ დროს ყარსის მხრით შეესივნენ სპარსეთს ისმალნი. ყაენი დაღისტანილან ყარსისკენ წავიდა. ოლრიბერეანსა, ახალ ციხესა და სხ. გამოჩნდენ რამდენიმე კაცნი, რო-

მელთაც თავისი თავი ნდორისაგან მოულულ კუანტის
მემკვიდრედ გამოაცხადეს. ნადირას საქმე გამჭურავთაშე
გარნა თეიმურაზ მეფისა და ერეკლეს შემწეობით უცელა
მტრები ყავნშა შემუსრა და თეიმურაზ-ერეკლესაგან
დავალებულ ნადირშამ ქართლის მეფობა უბოძა თეი-
მურაზს და კახეთის ერეკლეს (1744 წ.). მთელი ამ-
რეთი დიდ სიხარულს მიყვა. ქალაქი ტფილისი შეუდგა
მხადებას მისაღებად თეიმურაზის მეუღლის, თამარ-დე-
დოფლის, რომელიც უნდა გადმოსახლებულიყო ტფი-
ლის თელავიდგან. დიმ. ორბელიანმა ტფილი-
სის სახახლე მოაფარდა გვინა, დედოფლის მისაგებებ-
ლად დაფდინა მოქალაქენი და სამლეველოთა დასწი.
ერეკლემ სიმოიყვანა დედა თეისი, მიეგებნენ დედოფლის
ერთა გუნდნი და დედათა ბანაკნი, შეასხეს ქება, და-
უგეს ფინანდაზი, მიატოვეს შექირ-საყნოსელი და მად-
ლობდენ დმერთსა და ამბობდნენ: „ვინ გამოგვიჩინა
ხსნად ჩენდა კირვეულთა და გვიხსნა მტერთაგან
ჩენთა!“ მობრძანდა დედოფლი დიდებით და დაბრ-
ძანდა ტახტსა ზედა. მიეგებნენ დარბაზისელოთა ჯალაბ-
ნი, დაულოცეს ტახტი და დიოწყეს ნადიმი. შეიქნა
შეჯლისი და იყო ლხინი და განკრემა უხომო. შემ-
დეგ თეიმურაზი მეფედ ეკურთხა მცხვთას (1745 წ. 1
ოკტ.), გარნა სიხარული მაღვ გაუშეამდა: დასწრულდა
თამარ დედოფლი, რომლის განსაკურნებლად „შემო-
იყრიბნეს აქიმნი ქადაგით ანუ სადა იყენეს აქიმნი,
უკველნი მოიწვივნეს, გარნა ამთ ეფრა უშველესრა,
და გარდაიცალა სანატრელი თამარ (1746 წ.). მის-
თეის მწარედ იგლოვა უკველმა სულმა და ბნელსა შინა
ჩაჯდა 15 დღე.

აქე შემოგვაქვს ტფილისის აღწერა ვახუშტი პა-
რონიშვილისა, რომედსაც ამ ქალაქის გეგმა შეუდგა-



ნია 1735 წ. თებერვალს, და ტფილისის ოლქობრიუმშემდეგ
ტანია ქართლის გეოგრაფიისა და ისტორიაში 1744 წელს

„ტფილისი არს ხამი ქალაქი: ტფილისი, კალა
და ისნი. ჰყოფს მტკვარი კალას, ტფილის და ისნს.
კალას უდის (მტკვარი) წრდილო-აღმოსავლით, ტფი-
ლისის წრდილოთი და ისნს დასავლით და ხამხრით.
ხოლო კალასა და ტფილისს ჰყოფს სოლალაკის წყალი,
რომელი გამოსდის წავკისა და კოერის მთებსა, ხამხრით
და აღმოსავლით უდის კალას და დასავლით ტფილის.
არამედ პირველ იყო დაბა. 27 მეტის ვარჩა-ბაკურის
უამსა შინა ილაშენა შურის ციხე მცხეთისათვის ერისთავ-
მან სპარსეთაგან. შემდგომ გორგასალმან დადვა საფუძ-
ველი. დაქიმ, 34 მეტემან, ქმნა ქალაქად და ტახტად
მცხეთა, და მურვან-კრეს შემდგომად შემუსრეს ხაზართა
და ილაშენა ამირ ავარიანმან. შემდგომად შემცირებისა
მცხეთისასა და აოხრებისა მისისა, უმეტეს ტახტი იქმნა
ბაგრატოვანთა. ტფილის დის ცხელი წყალი კლდიდამ,
არს მით აბანონი ექვსნი და დიდშენი ავაზანი. მო-
დის მომდინარე ცხელი წყალი. აქ თაბორს ყოფილა
ციხე, არამედ აუ შემუსრევილი არს. აქ დასხნა შახეფიშ
სეიდნი, მისგამო სპარსენი უწოდებენ სეიდაბადს. ყოფი-
ლან ეკულესიანი დიდშენი, არამედ აუ შემუსრევილნი
არიან.

„კალას არს ციხე, ნაშენი მაღალს კლდესა ზედა
და ჩამოზღუდვილი სალალაკის-კევით მტკვარამდე. სა-
ლალაკის-ხევის კარს უწოდებენ განჯის კარიდ. მაღალს
ციხეში არს ეკულესია გუნბათიანი წმიდის ნიკოლა-
ოზისა, და ხასახლე მეფისა, პალატინი დიდ-დიდი და
შეენიერნი. არამედ დაუტევა 89 მეტემან როსტომ,
ჩამოზღუდა კალა ციხიდამ კალას ყურამდე და მისცა
სპარსთა (მიერიდვან უპყრავთ მათ), და თავისა თვისი-

სათეოს სამეფოდ აღაშენა სიონსა და ანისხატის, შემუშავებისახლე, მრკერის გარდა ყიდებით, კიიღლძაშორიშვილის მოლო 94 მეფემან ვახტანგ აღაშენა სახლი შევნიერი, სრულიად სარკისა და მოვეროვილი, დიდ-მხატრობითა, ლაცვარილითა და მარმარილოს კედლითა; შემუსრეს ისმალთა.

„არს კალას ეკულესია გუნბათიანი, დიდი, დიდად შევნიერი, სიონი, წოდებული ღვთის-მშობლისა, რომლისა საფუძველი დასდევა 39 მეფემან გურამ, შემდგომად შეასრულა ქრისტემან ვინმე და მოქალაქეთა, და 41 მთავარმან ადარნასემ, ხოლო აწ დარღვევისა ზედა მიხდილი განახალია და აღაშენა ძირიდამ გუნბათითურთ 94 მეფემან ვახტანგ. ზის ეპისკოპოსი, მწყემსი ტფილნისა სახერით ქციისამდე.

„არს კვალად ეკულესია ჯვარისა, გუნბათიანი, შევნიერი. განაახლა აწ იმერლისშეიღმან.

„არს კვალად ანის-ხატი, დიდი, უგუნბათო, კათალიკოზისა; შემუსრვილი აღაშენა კათალიკოზმან დომენტიმ, ძემან ქაიხოსროსამან.

„არს კვალად ეკულესია ნათლისმცემლისა, რომლის გუნბათი მთარღვია 89 მეფემან როსტომ და სხვით განახლა 94 მეფემან ვახტანგ.

„არს კვალად დაბალს ციხესა შინა ეკულესია გუნბათიანი და აწ ცარიელი, და სხვანი გუნბათიანი არიან, — სამი უპყრავთ სომეხთა; უგუნბათო აღაშენა კარის საყდრად 89 დედოფალმან მარიამ. კვალად აღაშენა 94 მეფემან ვახტანგ ორი უგუნბათო. 90 დედოფალმან როდამ აღაშენა ერთი უგუნბათო, კვალად უგუნბათო თოხი, — აწ უპყრავთ სომეხთა.



„ხოლო ხიდის ყურის აღაშენა მეჩითი შექვებულის;
89 მეფემან როსტომ აღაშენა ციხეს გარეთ ქუჩაზე სახლებია შინა ერთი, და განჯის კართან ერთი. ურუმთ
(ოსმალთ) ქორონიკონსა 1727 აღაშენეს სამი, არამედ
შემუსრინა შაპ-ნადირ.

„ისნის არს, კიდევა ზედა მტკვრისასი, კლდესა
ზედა, ციხესა შინა, ეძელესია მეტები ღვთის-მშობლი-
სი, გუნბათიანი, დიდშევნიერ-ნაშენი, საარქიმანური-
ოო; შემუსრვილი აღაშენა 66 მეფემან დიმიტრიმ;
92 მეფემან ერკეყლემ მისუა სპარსთა, და არს უქმდა.

„აქ განვალის ხიდი კალიდამ ისნის, ციხიდამ ცი-
ხესა. ხოლო ხიდის ყურის სამხრით არს საფლავი წმ.
აბოსი, რომელი იწამა სპარსთავან ტფილის. ხოლო
ისნის ციხე ყოფილ არს დიდი, რომელსა განახლებდნენ
ოსმალნი ქორონიკონსა 1728, და დაშთათ უსრულინი.
ისნის არს ეკელესია ერთი, უგუნბათო, არამედ გუნბა-
თიანი ორი, და უგუნბათო ერთი უპყრავთ სომებთა.
ყოფილან ძევლად მრავალნი ეკელესიანი ტფილისა,
კალასა და ისნის, არამედ აწ შემუსრილნი არიან.

„კალა მოხდუდა მეორემან შაპ-აბაზ, პირველ შე-
მუსრვილი. სამხრით მოავლო სალალავის კლდეზედ,
დასავლით ქმნეს ორი კარი, წრდილოთ ორი კარი.
ზღუდეს გარედ უხმობენ აწ გარეთ-უბანს, სადაცა
არს ასპარეზი. აქა არს ეკელესია გუნბათიანი ორი,
უგუნბათო ორი, უპყრავთ სომებთა, ხოლო უგუნ-
ბათო ორი უპყრავთ ქართველთა. კალას არს რომა-
ელთა ეკელესია ერთი და მონაზონნი. ხოლო აწ უწო-
დებენ თხხოვავ ქალაქთა ტფილისს, და განყოფით: კა-
ლას ტფილისსა, ტფილისს სეიდაბათს და ისნის ავლა-
ბარს, და გარეთუბანი არს ტფილისისა. მსახლობელნი



არიან: ციხესა და სეიდაბაღს სპარსინი მაპშატრანნი, სოლო ციხეს გარედ უფრო სომებნი და მცირედ ჭირო თველნი, ქცევა-ზნით ქართულითა. სახლნი ნაშენნი არიან ქვა-ტალახითა და გალესილი გაჯითა, ზოგთა სპარსთ ჩიგისა, ზოგთა ქართული. არამედ ციხე, ეკ-კლესიანი და ზღუდენი ქვითკირისანი არიან. ჰავითა არს შშენი და შიარული, ერნი შშენიერნი და შშვი-ლნი, ქალნი ფრიად კეკლუცნი. გარემო ქალაჭისა წალ-კოტნი და სავარდენი მრავალნი, ყოვლის ხილითა და ყვაებილითა სავსე, განა ქალაჭი ვიწრო, ფოლორცნი უშვერნი. ზაფხულს ცხელი და არა გაუძლისი, ზამ-თარ ციკი; გაზაფხულ-შემოდგომა შშენი და სატრფო. სანადირონი მრავალნი მოლოს, ფრანველთა და ნა-დირთა.

„ხოლო კვალიად დასავლით, იშიტუტრუჭის კლდე-სა შინა, არს შონასტერი შთა-წმიდისა, და ოწ ცალი-ერი.

„ხოლო ტფილისის სამხრა-ოლმოსავლით არს ნათ-ლები. მუნ დის ნაეთი, კიდესა მტკვრისახა, არამედ წყლის სიახლოეთ ნიავალი არ აიღების.

„აღმოსავლით ტფილისისა არს ლილო: არა არს მუნ ენაზნი და ხილნი მთობისაგან, და არს უმდინა-რო წყაროებითა, და ნაყოფიერებს მთურიად. ტბანი არიან მცირენი და უთვევსონი, შყურით (ბაყაყით) საც-სე. სხდების წერო და ბატი მრავალი.

„ტფილისის ჩრდილოთ არს შინდორი დიდ-უბისა, რომელსა პირველ ეწოდა ცხენის-ტერფი. ტფილისიდამ მცხეოამდე უწყლო, არამედ მოსავლიანი.

„კვალიად ტფილისის ჩრდილოთ არს ლურჯ-მონას-ტერი, დკელესია წმ. გიორგისა, უგუნბათო, დიდი, ოწ



ხუცის სამარ. ვერეთა ზედა არსხიდი დიდი ძროტულუბა
სა; განა ვერე წყნეთამდე წალკოტითა შემცირებული და მდგრად
შჩაფალნი. მის სამხრით არს ველი საბურთალისა. ამას
შინა ყოფილი რუ ვერიდამ მოტანილი და აწ უმისოდ
უნაყოფო არს. მას ზეით არს ტბა ლისისა და მის და-
სავლით მთა სხალ-დიდისა, კეთილი აგარაკი და შევნი-
ერი ყოვლითა. ამის სამხრით ხეობა დიღმისა... არს წო-
დორეთამდე ვენახოვან-ხილიანი და მას ზეით მთებრი.
სამხრით არს ველი დიდი დიღმისა, უნაყოფო, არამედ
ბალახოვანი და ზამთარს იზრდების ცხვართა და ზრო-
ხათა სიმრავლენი. ნაქულბაქევს ზეით არს დევის-ნამუ-
ხლარი, — კლდე გაჭრილი გზად. მას ზეით მუხად-
გვერდი. ვერე, რომელსაც წინად ერქვა სკვირეთის
მდინარე, ვამოდის დიდგორის მთას. იგი ერთვის
მტკვარს ჩრდილოთ კერძ ტფილისისა და მის შესარ-
თავს ზედა არს ლურჯმონასტერი. ეს სკვირეთის მდი-
ნარე არს კოდრის ჩრდილოთ კერძ. ციხე აზეულისი
და აწ კოერისა არს თხემსა ზედა კლდისისახა. ამ ციხის
სამხრით არს სასახლე მეფისა კოდრი; აღაშენა 89
მეფემან როსტომ, უმეტეს 91 მეფემან გორგომ და 94
მეფემან ვანტანგ. დგებოდნენ ზაფხულს მეფენი.

„ტფილისის სამხრით არს კრწანისის გორა და მის
გაღმართ ლოჭინის ხევი (ომანის ხევი), გამოლმართ
თელეთები, კუმისი და სხ. კუმისი არს დაბა დიდი,
ვერახოვანი, ლელვიანი, ბრონეულიანი, ხილიანი. ამის
მინდორსა შინა მოვალს ყოველნი თესლნი, ბრინჯ-
ბანბის გარდა; კანაჭი უმუშავოდ სცენდების. მტკვრის
კიდეზედ არს ჭალა ყურკუთა (აწ სოლანლულად წო-
დებული), ნაყოფიერი ყოვლითავე“...



ზევით შევნიშნეთ, რომ მეცე თეიმურაზე შეადგინდა
მთელმა მისმა სამეფომ თამარ დედოფლისათვის მისკულის მიერა
ვეს თხუთმეტი დღეო. ეს ორი კვირა რომ გავიდა,
შეცემ განიძარცვა სამეფო ვიარო ძაბა და შეირთო ცო-
ლად ანახანუმი, ქვრივი ქაიხოსრო ციცი შეილისა,
ასული ბევრ იოთამის შვილისა, ნათესავი ანტონი
პატრიარქისა, რომლის სასახლეშიაც იმყოფებოდა იგი.
მემატიანე ამბობს: „მიბრძანდა მეცე, ეითა ქორწილის
წესი იყო, და წამოიყვანა პატრიარქის სახლით სახლსა
დალიკოვანსა; ჰერეს ქოჭა, ნაღარათა და სპილენძ-
კურთა, მორთვნეს ქალაქნი (ტფილისი) და უმეტეს
სამყოფი მეფისა მოფარდაგნეს ოქსინოთა ოქრო ქსო-
ვილითა და მოაბრწყინვეს ყოველი ლამპრითა საბრწ-
ყინვალოთა, ისხდნენ მეოსანნი და აქებდენ მეცეთ
მეცეს თეიმურაზეს; იყო ლხინი და განცხრომა რვასა
დღესა და იყვნენ ქართველნი მწად ქართულთა ლხინ-
თა გამოჩენისათვის; იყვნეს ყიზილბაშნიცა წვეულნი:
ხანები, ათასითავანი და მოხელენი ხელმწიფისანი (ყავ-
ნისა), და მოსწონდათ ყოველი რიგი და ლხინი ქარ-
თლისა. განსრულდა ქორწილი აგვისტოს (1746 წ.).
ყაენშა გამოუგზავნა თეიმურაზეს ქორწილის შემოსაწევ-
რად ოქრო, ვერცხლი ანუ ლარი ურიცხვი (1746 წ.)

ამავე წელს ყაენშა დაიბარა ტფილისში მყოფი
ყიზილბაშის ჯარი და მისდა სანაცვლოდ გამოგზავნა
1000 ავღანი და თეიმურაზეს შემოუთვალია: „ეს ავღან-
ნი, როგორც ქართლის ჯარი, ეგრე იმსახურეო“. (პა-
პუნა, გვ. 392—393).

ამავე წელს ყაენშა ნადირშამ ქართლ-კახეთს შე-
მოაწერა ხარკად (არბაბი) 200,000 თუმანი და თანაც
მეცენებს მოსწერა: „ეს თეთრი (ვერცხლის ფული) მზათ



დაიჭირეთ 300,000 ყიზილბაშისონამ⁴. რეფერატის ვალ მმებისა და უხომო ხარკების ძლევით მისამართებული ლო გადატაკებულიყო და ამ ფულის გამოტანი შეფერებს არ შეეძლოთ, ამიტომ ნადირშის უარი შეუთვალეს და თვითონ კი იყარენ და ქალაქიდან ანანურ-მთიულეთს გადასახლდენ, რაღაც ყავნის შემოსევის მოვლოდნენ, ხოლო მის შიშით ირყეოდა მთელი ქვეყნა⁵. მეფების ვაჟუნენ პატრიარქი, ეპისკოპოსნი, უფერენი სამღვდელო დახნი, ქართველნი უფერენი, რომელნიც „ქალაქის შინა სახლეულიდ იდგნენ“; ქალაქის შელიქი აღაც იყარა სახლით; ავრეცე მოქალაქება, რომელსა შეეძლო, უფროსი იყარა და წავიდნენ ანანურს და უფერენი თავადნი და მოქალაქენი თეომურაზეს ეხლნენ და მხსონ დადგნენ (1747 წ.).

ეს ამბავი რომ მიუკიდა ყაენს, მჩვავედ გაჯარდა, ჯარები გამოუია, გარნა გამარჯვების იმედი არა ჰქონდა, იმიტომ ლაშქარი უკანვე დააბრუნა, მეფების მოსწრერა მიპატიებით არბაზით, ქალაქს დაბრუნდით და ქვეყანას მოუარეთო, და ერეკლე მეფეც გამომიგზავნე, და რასაც მავის პირით შემომითვლი, შევისრულებო. უფერენი თავ-თავის ბინას დაბრუნდნენ. (პაპუნა, 83-395—397) და შემდეგ შვილის მაგიდრ თვითონ თეომურაზი წავიდა სპარსეთს (10 მაისს 1747 წ.). მეფე ცილრე ყაზბინს ჩავიდოდა, სპარსეთში არეულობა მოხდა და ნადირშა მოქალა მისმავე ძმის წულშია აღილშამ, რომელიც თეომურაზის სიძე იყო. თეომურაზი ახალს ყაენს აღილშას ეწვია (1747 წ.).

ამ არეულობაპისაგამო თეომურაზის ამბავი დიდხანს არ მოიდა, ზოგს ეკონა იგი დაიღუპო. ეს იყო მიზეზი, რომ ვახტანგის VI-ის ძმის იგეს შვილმა აბდუ-

ლა ბეგმა გამოაცხადა: უთუ თეიმურაზი აღარ დაბრუნ
 და, ქართლის შეფონბა ჩემიაოუ” და მიმმრიც მოვალეობა
 ქართველობა და აგრეთვე ხანები და დიდალის ჯარით
 გამოვიდა თავის საბრძანებლოდან (სამშვილდიდგან), მო-
 ვიდა კოდას. ქალაქის ციხის თავიც აღარ მიენდო
 ერეკლეს, დაჯდა ციხეში და აღარ ჩამოვიდა ქალაქში
 (პატუნა, გვ. 405). აბდულაბეგმა თავისი ძმაც უსეინ-
 ბეგი წამოიყვანა და მოადგა ტფილის. ქალაქში ომის
 მზადებას შეუდგნენ. ანტონი პატრიარქმა მოელის სამ-
 ლვალელოთა დასით მოილოცა ქალაქის უცხლა ეკკლე-
 სიანი, პარაკლისი გადაიხადა, მეფე ერეკლე ჯარი-
 თურთ აკურთხა. ამის შემდეგ ერეკლეს ჯარის ერთი
 ნაწილით აფიდა თაბორს და მეორე ნაწილი ერეკლეს
 წინამძღოლობით აფიდა წავეისს. მტრის ჯარში იყო
 ლეკის ჯარი, ავლანთა ჯარი, ყაზახისა და სხვა სახა-
 ნოების ჯარები. ქალაქის ციხეს რომ მოადგნენ მტრე-
 ბი, ქართველები ორივე მხრიდგან მიესივნენ, შეიქმნა
 ომი ფიცხელი და სასტიკი, ასე რომ „თოფის ხმისაგან
 აღარ ისმოდა რა და კოშლისაგან ჯარი აღარ ჩნდა”.
 მალე მტრები დაშარცხდა, გაბრუნდა, გაიჭა, ქართვე-
 ლებშა კაფვით სდიდს მათ, დახოცეს მრავალი, დააუ-
 რევინეს დროშები, ბარკი-ბარხანა (1748 წ. ლაზარო-
 ბის წინა დღეს პარასკევს).

ამ ოშა და აბდულაბეგს ასე აგვიწერს ზეპირ-გარ-
 დმოცემა:

ზამბეულა შეაქმაზა თამატათა და ჭანჭადათა:
 უნდა ქალაქშა მაფაშებე, ამიაფხიატო შამშიდრათა:



ეს რომ ერეკლებ გააგო, გადაბრუნვიდა საცავებით და საცავები ერეკლებ ხმადას გააგონა, სხვერებია მათმაცხადებული მორი მაგ ჩასა მაგ ჩასა მარჯვე ბატქია, ესროვდა ჩქარა-ჩქარა; ზარბაზნებია დაბრეგნა, ოხებია და დაღვებია;

შარშან შემძრალი ჩარგვებაში დღესაც არ გამომძრა-
ლა.

თუმცა აბდულაბეგმა ვეღარ გაბედა ქალაქზე გამო-
ლაშქრება, გარნა იგი კაცითა და სურსათით შეეწია
ამირ ალანხანსა და ყაენის უფროს ძმას იბრეიმხანს,
რომელნიც უკუუდგნენ აღილშას და მოინდომეს ქარ-
თლისათვის თვისი უმობა დაეკისრებინათ და რომელ-
თაც ტფილისის ციხისთავისათვის მოეწერათ: „ვინც
წვენი ერთგული ყმა არ იქნება, ციხეს ნუ მიანდობ-
თო“. ამ ამბავზე ციხიდან შექმნეს ზარბაზანთა სროლია,
შეიქმნა „შადლუხი“, ციხის კარებიც დაკეტეს, გაამაგ-
რეს მეტების ციხეც, ციხის მეიდანთან მტკვრიდან
კლდის უბნამდის სულ გააკრეს და საფრები შეჰქრეს.
ციხეშივე ცარსთ გარდა იყვნენ ბორჩალუსი და ბაიდრის
სულთნები, აბდულაბეგის შეილი აღასი, ყაზახისა და
ბორჩალუს ქოთხუდები ცოლ-შვილით.

ერეკლე ამ დროს სამშილდე-ბირთვისის ასალებად
წასულიყო და ეომებოდა აბდულაბეგს. შეიტყო-რა
ტფილისის განდეომა, ქალაქს ჩამოვიდა, ფიცხლავ
გაარიგა საფრის კაცნი, ჯარი გუნდ-გუნდად გააწყო და
შეება მტერს. ცალკე ციხიდგან და ცალკე ქალაქიდგან
შეიქმნა ისეთი საზარელი სროლი „ყუმბარა-ზარბაზან-
თა“, რომ კომლისაგან ციხე აღარ ჩანდა, ხმისა და
ხრიალისაგან ქალაქი ირყეოდა. აბდულაბეგი სამშვილ-
დედან უგზავნიდა მეციხოვნეთ პურსა და ღვინოს. ომი
გაგრძელდა დიდხანს. ამ გავირებულ დროს ერეკლეს
უღალატა ქალაქის მელიქმაც: „შეეწამეს ქალაქის მე-



ლიქს აღას ლალატი და ციხელების ლაპარაკი, ურამიშვილი
რა იგი მეფემ, პატიმარებულ ცოლ-შვილით ცეკვილის,
წართვა მელიქობა და 1000 თუმანი ჯარიში, გარნა
ანტონი პატრიარქის შუამავლობით ისევ განათვავისუფ-
ლა პატიმრობისაგან, და მელიქობა უბობა პაპის. (პა-
პუნა, გვ. 409).

ომი თან-და-თან მწვავდებოდა: „ზარბაზანი და
ყუნბარა ასე მოდიოდის ქალაქზე, ვითა ცეცხლი წვიმ-
სო“; მეტების ზარბაზანს ესროდნენ მეფის სახახლებაც,
გარნა ვერას „ავნებდიან მყოფთა ქალაქისათა“.

მეფემ გორიდამ მოატანინა დიდი ზარბაზანი (2000
ლიტრის წონით), რომლის გასატენად უნდებოდა
10 ლიტრა ტყვია და ამის შესაფერი წამალი. ეს ზარ-
ბაზანი მოუმართეს მეტებისა და თაბორის ციხეებს,
მისი ყუნბარა, რასაც მოჰვდებოდა, აქცევდა და მუს-
რავდა, მის ხმიხაგან ქალაქი ირყეოდა. თუმცა ამ ზარ-
ბაზანმა დიდად შეაძრწუნა ციხელები და დიდი ზარა-
ლიც მისცა, გარნა იგინი ისევ მეღგრად იბრძოდნენ.
ამიტომ ეს ზარბაზანი მეფემ წაალებინა სოდანლულს,
მტკვარში გამოატანინა, თელეოზე შემოატარა და
თაბორის მთაზე ამოატანინა. იქიდგან მოუმართეს იგი
თაბორის ციხეს, იქრიში ჯარიც მოამზადეს, დაიწყეს
სროლა და შემდეგ იქრიშით მიესივნენ ციხეს, „გადა-
ფრინდნენ“ მასში და ოლეს, მტკრი შემუსრეს, მისი
საქონელი იავარ-ჭყვეს. მეფემ დაასაჩუქრა თეისნი გმირ-
ნი, ხოლო ქალაქის ციხეში ჩააყენა თეისი ჯარი, ხო-
ლო ციხეს და ქალაქს შორისი კელელი დაანგრია (1748 წ.).

ა ესრე განთავისუფლდა ეს ციხე და მასთან ქალაქი
ტფილისიც სპარსთა დიდი ხნის ბატონობისაგან: 1616

წლიდან 1748 წლამდე ტფილისის ციხეშიარაგვის
სპარსთა მეციხოვნენი და ამ დროს განმისყვანისშემად
მთლიან 12 წელიწადს (1723 წლიდან 1735 წლამდე)
აქ უფლობრივ ისმალნი.

თავისუფლებით სტკაბებოდა ტფილისი 1748 წლი-
დან 1795 წლამდე, ე. ი. აღამაშვილხანის შემოსე-
ვამდე.

ამ 47 წლის თავისუფლების ეპის (1748—1795)
ტფილისი ისევ მოშენდა, გაიზარდა, გადიდდა, შოეწ-
ყო. ქალაქი გამშვენდა სასახლეებითა და ბალვენახე-
ბითა. გაიმართა აქ სასულიერო სემინარია, სამრევლო
სკოლები, სტამბა, თეატრი, საფლურე (ზარაფხანა),
ხაზინა, ჯაბახანა, ყუშბარა-ზარბაზნების ჩამოსახსმელი
ქარხანა, სიძველეთა დასაცავი სახლი, ქარვასლები,
საყდრები და სხ.

«ქვე ვურთავთ იოსებ დელაპორტის მიერ შეკრე-
ბილ ცნობებს *) შესახებ ტფილისისა, სადაც იგი იყო იუ-
1768 წ.

„ტფილისი არა ვრცელი, გარნა ლამაზი ქალაქია.
მასში ძალიან კარგი სახლებია—საერთო სადგურები და
მკვიდრთა სახლები, და, შემიძლიან დავუმატო, პა-
ლატები. უკეთესნი კი უკილობლად ისინი არიან,
რომელნიც მეფეს ეკუთვნიან. შეფის სასახლეები გაწ-
ყობილია მრავალის დარბაზებით, რომელთა ფანჯრები
აქვთ მდინარის მხრივა და ვრცელ ბალების მხრივ.
სავაჭრო მოედნები ქვით ნაშენია და სუფთად ინახება.
საფრანგეთში, პირიქით, სავაჭრო მოედნები აუშნოე-

*) იხ. ქ. ტფილისის სახელეთ-დწერა, მდ. იოსები-
ანისა, (რუსეთ.) გვ. 274—275.

ბენ უკეთეს და უმოაცრეს ქალაქებს. აბანოები ბევრი არ არის და მათ სატურებებს ამჯობინებენ. ეს სატურებები რები კამარიანებია და აშენებულია ქვით. სინათლე მათში ჩადის ზემოდგან. საბანელი, რომლებშიაც ჩაწვებიან ხოლმე იდამიანნი, გაკეთებულია თლილის ქვით. ქართველთა სახლებში ხაკათო სისუფთავეა. აქ არის ეკელესიები: 13 მართლ-მაღიდებელთა, 7 ხომ-ხისა და 1 კათოლიკეთა. ხაქართველო ისეთი ქვეყანაა, სადაც სცხოვროსუნ უმეტესის სიამოენებით და მცირე ხარჯით. ხაქართველოში უხვად არის პური, ბალ-ბოსტნის მოსავალი და ხილი. პური და ხორცი ფრიად გემრიელია და მეტადრეკი ნადირის ხორცი. კასპიის ზღვა და მტკვარი, რომელიც მთელს ამ მხარეზე მიმდინარეობს, მოჭარბებით იძლევიან ზღვისა და მდინარის თევზეულობას. აქაური ღორის ხორცი ძალიან გემრიელია. ტახიც ბევრია; მათი ხორცი ლორის ხორცებაც უფრო გემრიელია. ღვინო მეტად კარგია და ხილში არ იქნება, რომ ქართველზე მეტს ღვინოს სვამდეს.

„აქაურ დედაკაცებზე უმშვენიერები არა იქნება. განუცვიფრებლად მე ვერ ვუყურებდი მათ. ამ ქვეყანას შეიძლება ეწოდოს სიმშვენიერის სადგური. აქ შეიძლება შეხვდეთ ულამაზო დედა-კაცს ისევე, ვითარცა სხვა ქვეყნებში სრულს ტურფის. ამისთანებს აქ უოველს ნაბიჯზე შეხვდებით. მე, რასაკვირველია, არ ვაზვიადებ. მნელია წარმოიდგინოთ ისეთი შნოიანი მოყვანილობა, სწორე ტანკეანობა, უაღმატებულესად საამური ქცევა და მიხრა-მოხრა, რომელიც მიშნიკებიათ ქართველ ქალებს. თქმულებაა, აქაურ ქალის ხაოცარი სილამაზე საფრხვედ გაუხდათ მაშშალს, რომ იგი

აქ მოსულიყო. ეს მშვენიერი ქართველი ქალები, თი-
თქოს, იმიტომ ყოფილიყვნენ გა'ენილები, უკუმაშების
ვარონ სხვებს და სიყვარული აღუგზნონ მათ. ძნელია
უცქირო მათ და არ იკრძნო ვნება, როდესაც შეეწყე-
ვი მათს მორთულობას. საქართველოში არსებობს თა-
ვისუფალი მსჯელობა შესახებ რჯულისა. აქ არიან
სომები, ბერძენი, ურიანი, ოსმალნი, სპარსნი, ინ-
დოელნი, თათარნი, რუსნი და სხ. ეკროპიელნი, ვარნა
სომები ყველაზე მეტნი არიან. ქართველთა და სო-
მეთ შორის სუფეც სიმძულვარე, რომელიც წარმოს-
დგება მათის ზნეთა და ჩვეულებათა განსხვავებისა
გამო.

„ტფილისში ასამენ ზორბაზნებს, ზამპურაკებს და
ყუმბარებს, გარნა ესენი თსმალურზე მდარეა. ამზადე-
ბენ თოფის წამალსაც, გარნა ცუდს. უკეთესი ლვინო
ქართველთა არის კახური, რომელიც არ ჩამოუვარდება
„პონტაკს“.

დელაპორტი, როგორც ზემორე ითქვა, ძალიან
აქებს მეფის ხასახლებს. აი ამ სასახლის აღწერა პლა-
ტონ იოსელიანის სიტყვით. ერეკლე მეორის ხასახლე
ამშვენებდა ქალაქს მის გაოხრებამდე აღამაშალხანის-
მიერ (1795 წლამდე).

პლატონ იოსელიანი სწერს: *) „სახახლეს სახელ-
ლობრივ ჰქონდა სიგრძე 65 ხევენი. მისი საფუძველი
აღმოყვანილი იყო მდინარის კლდიან ნაპირიდან აგუ-
რის სქელ კვდლებად. პირველი, ბნელი ხართული,
დამყარებული კლდეზე, მთლად აგურის კამარა-გადავ-

*) ქ. ტფილის საძეგვდებადწერა, გვ. 246—247.

ლებული იყო და ითვლებოდა სახახლის სარდაფიადა და
საყინულედ. მეორე სართულიც აგრეთვე იყო თაღის მიერ მისამართისა და მისი კუდლები გამშევნებულ იყო ლო-
კოკინებითა, ქვებითა, სარკეებითა და ხეების დაზარულ
რტოებითა. ამაში ინახებოდა სახახლის საუნჯე, ხალი-
ჩები და სხ. და ერქვა მას ხალარო. მესამე და უმთავ-
რები სართული დანიშნული იყო საცხოვრებლად მფ-
ფისა, დედოფლისა და მათის შეილებისა. ამაში დარ-
ბაზები და ოთახები იყვნენ 82. ერთს ამ დარ-
ბაზთაგანს ათბობდა პუხარი. დარბაზებს, რომელნიც
გადასცემოდნენ მტკვარს, ჰქონდათ მაღალი ფანჯრე-
ბი. ამ საღვურის აქეთ-იქით მხარეს მიღდგმული იყო
ორი სახლი, ორილ სართულიანი და სარდაფიანი.
ყოველი ამათგანი შესდგებოდა 20 ოთახისაგან და მათ-
ში სახოვრობდნენ დედათა და მამათა ამილა მეფისა
და დედოფლისა. მეფის საჯინიბო მიღდგმული იყო
სრდილოეთ კედლის ბოლოს, რომელიც მიძღვნილი
იყო მდინარის კლდოვან ნაპირზე.

„სახახლის წინ, მოედნის შუაში, ამოუყვანილი
იყო შადრევანი მარმარილოს ქვით. წყალი მოტრინილი
იყო მილით წავკისის მთებიდან. წყალი ამოუსწებებ-
და მარმარილოსაგან გაკეთებულ ორის ლოშის პირით
და მით მოირწყოდა სახახლის ბალები. თეთ ბალში,
არა დიდს შენობაში, იყო აბანო გოგირდიანის წყლი-
სა. ამ აბანოს წყალი მოდიოდა უმთავრეს ბაზარზე და
სიონის ქუჩაზე თიხის მილებით ტფილისის მინერალურ
წყლების საგროვებელიდან. აბანოს მთელი იატაკი
მარმარილოს ქვებით იყო დაგებული.

„სასახლის სამზრეულოთ, რაოდენიმე საეკვის სიშორებები რეზედ, იყო ფულის საკრელი სახლი, რომელიც მდგრადად სის ფანჯრებით მდინარეს გადაჰყურებდა. იგი მთლად კამაროვან-თაღებიანი იყო და კამარებში ჰქონდა სარკმელები.

„ფულის საკრელ სასახლის დასავლეთით იყო ძელინდელი ეკელესია, გუმბათიანი, წმ. ოთანე ნათლის-მცემლისა. იგი დანგრეულ იქნა 1824 წ. მისი აღგილი დღეს უკირავს სინოდის კანტორის სახლის ჩრდილოეთ ნაწილს. ამ ტაძრის გვერდით იყო ათ-ოთახიანი სასტამბო სახლი, სადაც 1709 წლიდგან იბეჭდებოდა ქართული თხზულებები,—სასულიერო და საერო, ხუცურადა და მხედრულად.

„მეფის სასახლის სამხრით აღმართული იყო სხვა სასახლე მეფის ვახტანგ VI, მარმარილოს კედლებიანი, მოვარაყებული, ლაგვარადოვანი და მოსარკვევებული. ეს სასახლე დაანგრიეს ოსმალთ 1725 წ.

„კიდევ იქნა სამხრეთისკენ მდინარის ნაპირის იყო შენობები—ქსენონნი უცხოეთიდან მოსულ სტუმართა მისაღებად, და სხვა საოჯახო სახლები. სასახლის ახლოს აშენებული იყო მეჩითი გამამადიონ ებულ მეფეთათვის. აქ ინახდოდა ყოველი აღგილობრივი სამუსიკო იარალი.

„სასახლის წინ, მოვდანზედ, იყო საყდარი უფლის კვართის საოხად. იგი დანგრეულ იქნა 1804 წ.

„ალაგი, რომელიც ეჭირა სასახლესა და მისა პირდაპირ მზრუნველობაში მყოფ შენობებს, მტკვრის პირ-პირ იყო სიგრძით, დაახლოებით, 160 საჯენი“.

აქ აღწერილი სასახლე ის სასახლეა, რომელშია დიდი დიდი დიდებით შემოვიდა აღამალომელხანი 1795 წ., დიდად მოიწონა და, გაკირვებულმა მისის სიმშვენიე-



რით, სთვა: „სპარსეთის ხელმწიფო ვარ და ომიურანისა და სასახლე მეც არა მაქვხო“. *)

ტფილისში იყო აგრეთვე რამდენიმე სხვა სასახლეც, სახელდობრ სეიდაბათისა, მეფე იქსესი, მეფის ძე დავითისა, მეფის ძე სეიმონისა, დარია დედოფლისა, გურია-სამეგრელოს მთავრებისა და სხ.

სკოდაბათის სასახლე იყო კალას ძირში, მაღლობზე; დელაპორტის სიტყვით (1768 წ.) „საამო იყო მისი გარემოცა და შიგნითი მორთულობაც. მთელი მისი მაღლობი დაყოფილი იყო ფოლორცებად, სადაც გადმოსტეფდენ ნაკადულები და გადიოდნენ პილები. ¹⁾ იგი დაანგრიეს სპარსებმა 1795 წ. და ეხლა იმ ადგილას პოტანიური ბალია ²⁾.

აქვე მეფის სასახლე იყო აშენებული ძველს ნანგრევებზე, იქ, სადაც ეხლა ორბელიანთა სახლებია (ზოხევის ხილთან) და მათ წინ აღეჭქსან დაქა ბალი. იქ სეს სასახლეს ეკუთხნოდა ის ბალიც, რომელსაც ეხლა ჰქვიან „საინჯინერო ბალი“. ამავე ბალში შეარჩიო თეით იესე მეფეც. ³⁾

მეფის ძის სკომონის სასახლე (1718 წ.) წმ. გომიგის ეკულესითურთ გაოხრებულ იქმნა 1795 წ.; იგი განახლა გიორგი მეფემ. ამავე სასახლეში მარიამ დედოფალმა მოპერა ლაზარევი და აქვე შეიძყრეს იგი

*) პ. ჭ.-თრნევანია, „შოაშენ“ 1895 წ., № VIII, გვ. 161.

1) პ. იოსევეგანია, ქ. ტფილისის სამეცნიერო-აღწერა, გვერდი 250.

2) იქვე, გვ. 250

3) იქვე, გვ. 251.



და წარგზავნეს რუსეთს. *) წმ. გიორგის უკიკლებობა
("კარის ეკკლესია" არქიეპის მოვდანთან) დღესაც არ-
სებობს.

არია დედოფლის სასახლე იყო აელაბარში, რომე-
ლიც შემდეგში შეისყიდა მიტროპოლიტმა თეოფილაკ-
ტემ და მასში მოათავსა სემინარია და სასულიერო
სამრევლო სკოლები. 1821 წელს აქ დაარსეს ფერის-
უკალების მონასტერი.

გარნა ყველა ეს სახისხლენი და თვით ტფილისიც
გაოხრებულ იქნა ყაენის ოლამაშმალხანისაგან 1795 წ.

უმთავრესი მიჩეჭი ტფილისის ოხრებისა სპარს-
თავის ის იყო, რომ ერტკლე მეფემ უკუაგდო ყაენის
"ვალიობა" და რუსთა ხელმწიფის მფარველობა თავს
იდვა. ზევითაც შევნიშნეთ, რომ ოსმალთა სულთანშა
და ყაენმა მოელი საქართველო თვის შორის გაიყვე-
სო (1636 წ.) და ყაენს ხელა ამერეთით და სულთანს
იმერეთი და სამცნე. მას აქეთ ყაენები ნიშნიანენ
ამერეთის მეფეებს, გარნა ეს მეფენი ხშირად ეურჩე-
ბოდნენ ყაენებს და რუსეთის ხელმწიფეს სახოვლენენ
მფარველობასა. და დახმარებას. თვით ვახტანგ VI ხომ
თვისის სახლობითურთ რუსეთში გარდაიხვეწა. შემდეგ
გამეფედა თემიურიაზ II და იგიც მფარველობის სათხოვ-
ნელიად პეტერბურლის წავილა და აშტარხანს მოკედა.
ერეკლემაც დიდი მეფიბრობა გამოუცხადა რუსებს და
ერთხანად მათი მხედრობა, რომელსაც ძლიერ უფრთ-
ხოდნენ ყველა ყაენები, გადმოიყენა საქართველოში
(1769 წ.) და მანვე დასდო რუსეთთან ხელშეკრულობა
(1783 წ. 24 ივლ.) და რუსის ხელმწიფის მფარველობა

*) იქნა, გვ. 251.

იტვირთა. იმ ხელშეკრულობამ ფრიად დააღონიშ სპარსეთი და
ნი, რომელნიც ძველი დგანევე თვის დამზმხობელი მუსუ-თავა
რებას მოელოდნენ კავკასიონის ჩრდილოეთ მხრიდამ,
გარნა იმ დროს სპარსეთი სუსტი იყო შინაურ ამპო-
ნებათა გამო. ხოლო ეს ამბოხება რომ მოისპო, სპარ-
სეთი დაწყნარდა და ყაენების ტახტი დაიკირა აღა-
მიმაღხანშა, სპარსთა ელჩები გამოეცხადნენ ერეკლე
მეფეს და სთხოვეს „რუსეთზე ხელი იღეთ“. *) გარნა ეს
ელჩები რუსეთის ერთმორჩმუნეობისა და ძლიერების
მოიმედე, მეფემ უიმედოდ გაისტუმრა. **) ყაენშა დიდ-
ალი ჯარი შეჭკრიბა და ისევ ელჩების პირით შემო-
უთვალი ერეკლეს: ***) „რუსეთის ერთგულობაზე ხელი
იღეთ“. რუსების ერთმორჩმუნეობისა და მფარველობა-
ზე დაიმედებულმა მეფემ ყაენის ელჩებს მოახსენა: „არამც
თუ მარტო აღამაშებულან თავის ჯარითა, — მოელი იზი-
ის ჯარები რომ მოეიღნენ ჩენებე, მაშინაც ხელს ვერ
ამაღებინებენ რუსეთის ერთგულობაზედ“. ****) ყაენშა თვი-
სი ლაშქარი არეზე გადმოიყვანა და მესამედ გამოუგ-
ზავნა ერეკლეს ელჩი და მოახსენა: „ეს არის არეზში
გამოველ და კიდევ ელჩი გამოუგზავნე და მეც თან მოვ-
დევ ელჩის. კარგი მეფე ხარ და შენი წახლენა არ მინ-
და, ოღონდ ის ჩემი სურვილი აღმისრულე და ამის და-
სარწმუნებლად ერთ-ერთი შენი შეიღლი და ერთი შენი
შეიღლი შვილი გამომიგზავნე მძევლად, მაშინვე გავტრი-
ალდები და წავალ“. მეფემ პატიოსანი პირობა და ერთ

*) ა. ჯ.-ორბელიანი „მოამბე“ 1895 წ. № VIII, გვ. 127.

**) იქვე, გვ. 127.

***) იქვე, გვ. 132.

****) იქვე, 132.

მორწმუნეობა არჩია, ელჩი დააჭირინა და ოფიციალურად
გამოვზავნა. *) ყაენი სწრაფის ნაბიჯით ტფრისგზის შეკულევა
წამოვიდა.

რის იმედი ჰქონდა ერეკლე მეფეს, რომ უპასუხოდ
სტოვებდა ძლიერის ყაენის შემოთვლილობას და აპა-
ტიმრებდა მისს ელჩს?

ქვეყნისათვის თავგადადებულისა, რაინდა და ლვითის-
მოყვარე მეფეს, რომელიც უკვე 77 წლისა იყო, ეგო-
ნა, რომ მისნი მფარველნი უიმედოდ არ დასტოვებენ
და მოაშველებენ 3,000 მეომარს, **) აგრეთვე მოვლენ
25,000 ჰარელნი, რომელნიც ის-ის იყო მეფეს შეუ-
რიგლენენ და შემწეობა აღუთქვეს, 16,000 ქიზიუელნი,
10,000 იმერეთიდგან, 10,000 ქართლიდგან, 10,000
ყაზახ-ბორჩალოდგან; ***) ამას გარდა 40,000 მეომარი
მეფის ბრძანებით უნდა გამოსულიყო ფშავ-ხევსურეთი-
დამ. *) გარნა ეს ასრე არ მოხდა. ერეკლეს მოეშველა
მხოლოდ იმერეთის მეფე სოლომონი 2,000 მეომრით
და სხვა ირავინ.

რა იყო ამის მიზეზი და რად გაუცრუდა დამსახუ-
რებულება და მისი იმედები ღირსეულ მეფეს?

მეფებ თვის დამარცხებამდის არ იცოდა ანუ, უკედ

*) იქვე, 134. ბეტკოვი (ტომი მეორე, გვ. 137) ამბობს:
„არეშე გამოსაცილდა რა, ყავნმა ერეკლეს შემოთვეალა ჩემს მეურ-
ელობაში დარჩიო, თორემ საქართველოს ჩემოვესევიო, დამემორ-
ჩილე და ფიცით აღმითქვე, რომ მომცემ იმოდენა ზარქს, რაოდენ-
საც ქართველის მეფები აძლევდნენ ყაენებს. გარნა ასრეთი შემოთვ-
ლილობა ერეკლემ უპასუხოდ დასტოვაო².

**) იქვე, გვ. 335.

***) ა. ჯ.-ორბელიანი, „მოამბე“, 1895 წ. გვ. 131.

*) „მოამბე“ 1895 წ., საქართველოს ისტორია გვ. 472.



ցետքառ, առ ցշըրքնութ, հռմ մու զարյմութիւննութ, Ա
լուս և եղա-եցա իր յ յանդուանա յապէօնա; Եալուա
ամ ռանձու զա որգուլ յապէն, հռմյլութ լմյրու
վիամդատ զա ոմու մուրքու-յո ոչչեցն, մալո յրյուլու
մյուգուծու այց մուցյունա, մյույմ-յո, հռցուր լուտքուտ,
առ ուրութ յսա յալույնու զառնիրքամծու.

համ լումեաթ ամ յ յանդուանա յապէօնութիւննութ—») Ցուրմա, զայրանլունիւթ զա մուրքուծու մասու մուրու լու
նունուրութ յանդուան զայրիւրուտյուն լունիւթ զա սանցյլմյունու
սահցըբլունիւթ յայցիւրութ մատ մոյր, հռմյլունու սամ-
մարտցուլու սակյուն մուրքու տելուս ուղցնեն լու ծ) Մուրս-
ցան յուպարքութ յանդուան յրյուլուսամ, հռմյլունու ցըր ամինց-
դա, անց, սայց լուտքուտ, ամինց ան, զարնա չյրուցան
յուրաւութ առ սպայց ան, ուր զարնեց մուրնո, մուսւ-
մո մյցունիւթ մյշունիւնուն, հռցուր ստերութ մաս
սամարց.

Յանցիւնց VI հռմ հուսցութ զա լասելութ, յարտլուս
բաժրու գույնուրա. տցումունան II, յանցուս ծօցրաւուոնու
սամցու լունասիրուամ, տումուա-լո յս բաժրու յուլուտնութ
Յանցիւնցուս մյմյցութ յայցարս լու մուսւն ալյցիւնց-
րց, հռմյլուսաւ հուսուս մեցունիւթ լուցու անամցունու-
ծա յյուրա. ամ ալյցիւնցութ յարտլութ մյցանդա մրացա-
լու մոմերյ լու մատ մուրու ցոյր (մաչյուլունան) մուլուս-
յարու, ծագունութ յանցութ ամացութ յանցութ ու ս. տցու
ալյցիւնցութ բարուալութ լու մուլուսանսա, ալունիմյցիւնսա,
սանցութ լու մուլուսանսա, ալունիմյցիւնսա, սանցութ բաժ-
րու լու մուլուսանսա. յրյուլուս յանցութ յանցութ յանցութ լու
արացուս յրյուլուսանսա, հռմյլունու յրյուլուս լու ամեռ լու
մուտ յուրու յանցութ մունայրու մուրքու. յուլուս յանցութ յանցութ
ամինցիւնցութ յանցութ լու մուլուսանսա, ամինցիւնցութ յանցութ



და საშიშროებაში ავღებდნენ მას. ცველა იქნის მუწერებული
დაფმატა ისიც, რომ მოხუცებულმა ერეკლეს ზაოგნს
1794 წელს მთელი სამეცნ საბატონიშვილოებად და-
ჰყო და თავის შეიღებს ჩააბარა. ცალკე საბატონიშვი-
ლოებად შეიქმნენ ქიზიყი, კახეთი, თიანეთი, დუშეთ-
მთიულეთი, ქსანი, გორი, სურამი, ყაზახ-ბორისლი და
სხ. ცველა ბატონიშვილმა გაი'ინა თავისი ამაღლა და
მიმდევი და მეფეურად მოეწყო. ხერთო სამეცნზე ზრუნ-
ვა ცველამ დაივიწყა. მათ მიხედვით და მათ მიერვე გა-
ყოფილ-განაწილებული თავაღ-აზნაურობა იგრეთვე
აღარ ზრუნავდა ხერთო სამშობლოსთვის, მას მხოლოდ
აწუხებდა საკუთარი კერძი და კუნძული. დარია დე-
ლოფალი, რომელიც, ბუტკოვის სიტყვით, *) განაგებ-
და საქართველოს, სცდილობდა ტახტის კანონიერი მე-
მკვიდრე (გიორგი ერეკლეს ძე) გადაეცენებინა და მე-
მკვიდრეობა დაემტკიცებინა თავის შეილის იულონის-
თვის. და ამიტომაც დარია დელოფალი არა თუ არ
უფრთხოდა აღამაშმადხანის შემოსევის, ორამედ იმედიც
პქონდა, რომ თუ საქართველო ყაენის უფლობას და-
ემთარჩილებოდა, გიორგი ბატონიშვილის მემკვიდრეო-
ბა იულონზე გადაიდოდა. ხოლო თვით აღამაშმადხანის
ჯაშუშებიც, რომელნიც ტფილისში იყვნენ, სცდილობ-
დნენ გაეძლიერებინათ მტულვარება ბატონიშვილთა შო-
რის და თავის მხრივ შემწეობასა და ტახტს აღუთქვამ-
დენ იმსა, რომელიც უფრო ცხადად დაამტკიცებდა თა-
ვის მემკვიდრეობის კანონიერობას. ²⁾

ცველა ასა ზედ დაფმატა იგრეთვე აქაური მოწი-

*) ბუტკოვი, ტ. II, გვ. 336.

²⁾ იქვე, გვ. 337.

ნავე სომხების ლალატიც. ამათი მოთხევე იყო არღუთაშვილი, რომელიც რაუსერთში იყო (და შემდეგ შეიქმნა ენიმიაწინის კათალიკოსად). ალექსანდრე ბატონიშვილის შემდეგ საქართველოს უმთავრეს მტრიდ შეიქმნა ეს იოსებ არღუთაშვილი, რომელსაც ტფილისის სომებთა შორის ჰყავინდა ჩუმი დასი და აგენტები. ამათ კარგიდ იცოდნენ საქართველოს ავი და კარგი და სამეფო სახლის ვითარება და ბეჯითად, გარნა საიდუმლოდ, მოქმედებდნენ უკელაბან, სატა საჭირო იყო. ოსეფა არღუთაშვილის უმთავრეს ჯაშუშად ითვლებოდა არტემ არარაციკი (არარაციკიანი) და მას პუკელოდნენ მიმბაში სოლომონ (ოსეფა არღუთაშვილის ძმისწული), მისკარბაში იოსებ ბებუთაშვილი, ქალაქის მელიქი დარჩია ბებუთაშვილი, მილობენვარი იოსეფა ყორლიანიშვილი, მილიანბეგი სულხან თუშანიშვილი, ამის ძმა მანუქარ და სულხანის შეიძლი შიომშ, იოსებ და ავეტიქა შალბათაშეილები^{*)}). ამათხევე განზრახვას და მისწრაფებას ემსახურებოდა მაშინდელი ენიმიაწინის კათალიკოსი ლუკა, რომელმაც აღამამადხანს, საქართველოსკენ გამოილა შქრებულს, მიართვა 100,000 მანათი სამხედრო სახაზოდ^{**)} და აგრეთვე ყარაბაღის სომებთა შელიქები მეჯნუნი და აპო. ამ შელიქებს რომ დიდი კივშირი ჰქონდათ იოსეფა არღუთაშვილთან, ეს სრანს იქიდგან, რომ ამ უკანასკნელმა შეაღება ამ შელიქების ისტორია და წარუდგინა რუსის მთავრობას 1790 წ., ***). ე. ი. ორის წლის იმის შემდეგ, როც მეჯნუნმა და აპომ

^{*)} ა. ჯ.-ოჩბელიანი, მთამბე, 1895 წ., VIII, გვ. 122—123.

^{**) ბეტაოვა, ტ. II, გვ. 337.}

^{***) აქვთ, ტ. III, გვ. 220.}




თვისი გარემოება შეატყობინეს გენერალი, რომელიც
ლის. იგინი სწერენ გენერალს, რომ რუსების დროული
ველთა გამოლაშქრებამ განჯაზედ წევნში იმედები გა-
ნაღებია, გარნა ბურნაშოების დაპროცენტამ რუსეთს უკი-
დურებს მდგომარეობაში ჩაგვყარაო. თუმცა ჩვენ ძლიერ
გამოვახსიერ და თავსაფარი ვიპოვეთ ტფილისში (1788 წ.), გარნა ჩვენი ცოლ-შეილი იქვე ყარაბაღში
დაგვრჩია ჩვენის მძვინვარე მტრის იბრეიმხანის ხელშით.*)
თუ ეს სულმდაბალი და გაიძვერა მეჯნუნი, რომელიც
ერევანის შემოფენა 1788 წელს და მის ფერხთა მტვრა-
დაც არ მიაჩნდა თავი თვისი, ახლა, 1795 წელს ვენ-
კენისთვეს, იგი მოუძლოდა აღაშამშადხანის მოწინავე
ლაშქარს, რომელსაც შეეფერა დავით ბატონიშვილი
გიორგის ძე) და მოუკლი სარდალი.**))

შეფერ არა იცოდა-რა ამისთანა დიდის შეთქმულო-
ბისა და დაიმედებული, რომ დაბარებული ლაშქარი
დროზედ მოვა და იზრუნავს ქალაქის გამაგრებისათვის, 7000 შეომრით წავიდა სოლინლულს. გადიოდა დღეები
და მეშველი ჯარი არსად იყო. იულონი გორს იყო და
დაუჯდომელს არ იშორებდა, გიორგი ბატონიშვილი
სილნაღში იჯდა თავის 4,000 გაწურთნულის ჯარით.
მაგრამ ეს ცოტა კიდევ. სოლინლულში მყოფ შეფერს აც-
ნობდეს, რომ ქალაქის მცხოვრებთა ნახევარი უკვე აი-
ყარაო; შეფერ ძლიერ დალონდა, გარნა მისი დალონება
უფრო გაორკეცდა, როდესაც მეორე დღეს ნახა. რომ
მასთან მყოფი ქიზიყის სარდალი ზაქარია ანდრონიკა-
შვილი თავისის 2000 შეომრით ლამე გაპარულიყო, და-

(*) აქტე, გვ. 212.

**) აქტე, გვ. 259.



ეტაცა სამი ფართა ცხვარი და ქიზიყს წასულიყო. * შემდეგ
უშედავად ამისა მეფე ძლიერად შეება მტრის მითჭირავება
ჯარს და სახელოვანად დაამარცხა იგი და დიდი ზიანი
მისცა. ერეკლეს ძლევამოსილებამ ისე გააოცა ყაენი,
რომ მან წარმოსთვეა: „როგორიც ქართველების ვაშ-
კაცობა გამეცონა, იმაზედ უკეთესნი ყოფილანო“. ასრე-
ვე ძლიერად დაამარცხეს მტრები ქართველებმა შეორე
და მესამე დღესაც. ყაენი შეშინდა და თადარიგი ნახა,
რომ აიყაროს და სპარსეთს წავიდეს.

უცხელა ეს ამბები მოხდა პარასკევისა, შაბათისა, კვი-
რასა და ორშაბათს. ამავე ორშაბათ დამეს არტემ არა-
რაციანში ქალაქიდგან გააპარა ყაენის ელჩი, რომელიც
ერეკლეს ჩაებარებინა შელიქის დარჩინა ბებუთაშვილის-
თვეს თელეოთებზე გადიყვანა, მთაცილა უინის ბანაკემ-
დე და თვითონ ისევ შემოიპარა ქალაქში. ელჩიმა უამ-
ბო ტფილისის უნუგეშო მდგომარეობა, ერეკლეს ჯა-
რის სიმცირე და ქალაქის გაუმაგრებლობა. ისაყრელი-
და დასაბრუნებლად გამზადებული ყაენი შემოტ-
რიალდა და ქალაქისკენ წაშოვიდა (11 ენკენისთვეს.)
ერეკლემაც გამოსწია ქალაქისკენ და კრწანისის ვიწ-
როები ჩაახერგინა. დღე იყო ნისლიანი. ქალაქში მო-
ვიდა ამბავი, ერეკლე მეფე საშინლად დაამარცხესო.
სოლომონ მეფე, რომელიც ერეკლეს წინადლესვე ვა-
მოეგზავნა ტფილისს, აიყარა და იმერეთისკენ წა-
ვიდა. დავით ბატონიშვილი, რომელიც ცფილისის გორებზე,
სოლოლაკის თავს, ტაბახმელისკენ, იდგა 400 კაცითა
და 4 ზარბაზნით, აგრეთვე აიყარა და კახეთისკენ წა-
ვიდა. ყიზილბაშის ერთშა დასტამ ტაბახმელისკენ ვა-

მოსწია, რომ გზა შეუკრას მეფეს. კრწანისის დაწერულება
ში ქართველები დაეტივნენ ყიჩილბაშებს, დამოკლება
მრავალი და თვითონაც ზედ შეაკედნენ მათ. მეფეს დარ-
ჩი მხოლოდ 300 კაცი. აბანოებთან რომ ჩამოვიდნენ
მეფე და მისი 300 მეომარი, აბანოებისავე მაღლობზე
გამონდნენ სპარსთა დასტები, რომელთაც შემოტევა
უნდოდათ, მაგრამ ციხილგან ზარბაზნები დაუშინეს და
შეაყენეს იგინი. მეფემ გამოახწია მტრებს, და ქალაქის-
კენ გამოსწია. გარნა იფი ერთგულმა ყმებმა შეაყენეს
ავლაბრის ხილთან და საგურამოსკენ წასვლა ურჩისეს.
მეფემ გაქუსლა ცხენი, გარნა, ხილის შუას რომ მიაღ-
წია, შემოატრიალა ცხენი უკანვე და დაიძრა: „ნეტა
სად მივდივარ? წავალ და მეც წერ შეილებთან მოვკვ-
დები ამ ქალაქის ხალხში და იმათ ვნებას მე ვერა ენა-
ხავ“. მაგრამ ივანე მუხრანბატონშა ცხენის ჯილაკეს ხე-
ლი უტაცა, გამოატრიალა, იქით-აქედგანაც მივარდნენ
ბატონიშვილები ალმასხან და ივანე, ცხენსაც ქიჩიყის
მოურავმა მათრახი დაუკრი და საქართოდ გაარბენი-
ნეს გულმოკლული ერეკლე მეფე. მაზითხს ძირში რომ
მივიღა მეფე, ქალაქიდგან, რომელიც უკავ აედო შე 
აუსა. (12 ენკენ.), დიდის ვაების ხში მიესმა. მეფემ შე-
აყენა ცხენი და მწარედ მოთქმა იწყო:

ომ ღმერთო, რახა ვხედავ და ან რა მესმის... ნაცვ-
ლად თქვენის სიხარულისა, დღეს საშინელება ტრია-
ლებს თქვენზე, ნაცვლად თქვენის უჯავრელის სიმღე-
რისა, დღეს თქვენი მწარე ტირილი ზეცაში ღალადებს,



ნაცელად თქვენის მხიარულის საკრავებისა, ჟოზენიშვილის
დის კალოს ხმა მესმის თქვენსედ მოსული; რამთვინი
თმა-გაწეწილი დედანი და ქალნი წივიან და კივიან
ქხლა, ის ხმა შენ არ გეხმის, ღმერთო! რამდენი
კაცნი ყელ-გამოკრილი ეყრებიან ქხლა, ამაებს ვერა ხე-
დავ, ღმერთო? ჩემო ძმებო, ჩემო შეილებო, ჩემო მე-
გობრებო, ჩემო ამხანავებო, ჩემო საყვარლებო და ჩე-
მო სასურველნო! მე თქვენთვის უნდა მომკედარვიყავ
და თქვენ ჩემთვის იხოცებით. აბა რილას მეფე ვარ,
რით დაგიფარეთ?

მეფე რომ ასე მოსთქვაშა, დანარჩენნი ჭართველები
უკან უდგნენ და ცრემლით ილვრებულნენ. ივანე მუხ-
რან-ბატონი ეხვეწებოდა მეფეს დაწუმებულიყო, გარნა
იგი კვლავ მოსთქვამდა:

— რაც განძრახვა მქონდა, იმ დაწყობილებით რომ
დაემარცხებულიყავით, ვიტყოდით, ღმერთმა არ ინებაო
და ასე შეაწუხებელი ოღარ იქნებოდა. რატომ ღმერთ-
მა გუშინვე ჩემი თავი თმში არ მოაკვლევინა და ეს
საშინელი უბედურება მავენა? რა კარგი ბედნიერი
სიკვდილი იქნებოდა ჩემთვის! არ ვაცი, ეს ამისთანა
უსვინილისო ღალატი საიდგან რა უნდა იყოს, ვფიქ-
რობ და ვერა ვამიგია-რა?

მეფე იმ ლამეს საგურამოში დარჩა და მეორე დღეს
ავიდა ანანურს და იქიდვან ბატატანთკარს, საცა დედო-
ფალი დარია იყო შეხინული. მეორე დღეს აქედვან
აიყარნენ და ბურდალიანთ კარს ავიდნენ.

აღამაშმად-ხანმა პირველად მეფის სასახლე ნახა, გა-
უკვირდა, რომ ქართველთა მეფეს ეს როგორი მშენი-
ერი სახლი შეონაო. შემდეგ გაძარცვა იგი და დააწევ-
ვინა. თვითონ კი წავიდა და „სამშაბათის აბანოში“



იბანა, გამოეიდა და სოლ-ნლულს წავიდა. ულმირეფებია: ჩა
ყაენში გაანალგურებინა და გააძარცეინა ქართველი, ტურქი
ატუცევებინა და ანუ გააელეტინა ხალხი. შემდეგ ბრძა-
ნა: საქართველოზედ თარეში წავიდეს. ყიშილბაში
შეესივნენ ქართლს, იარეს ტირიფონიმდის, აიკლეს და
მიგოხ მოგოხეს სოფლები, რომელთა შევიღრნი მთებში
შეხინულიყვნენ. შემდეგ დაბრუნდნენ და მივიღნენ
სოლანლულს. კახეთი გადარ'ა. სპარსენი ლილოს არ
გასცილებიან. ქვეყანა არბირეს ცხრა დღეს და შემდეგ
ყაენი აიყარა, რაღაც ერეკლეს შიში ჰქონდა, და წა-
ვიდა სპარსეთს.

ერეკლემ თვისი სახლობა თელავს გადიყვანა და
ტფილის ჩამოვიდა. შემოფანტული ხალხი შემოჰკრიბა,
დააბანაკა და ნუგეშეცა. მალე ქალაქი მოჯობინდა,
ტყვევები გამოსყიდულ იქმნენ.*)

ტყილისის აღმაა

(მესტერული ლექსი)

ნებარ ქაბა როგორ აოქმის ამ თანადას ქადაქისა;
ზამთანი არის პრიდასი, ზაფხული ზერმეხტისა;
გარს ახვევა ბადება, ჩარხა უბრუნავს წელისათ,
შიბ წაქვადება უბრუნავს, გარ-შემთუედის წელია;

*) იბ. ა) ა. ჯ.-ორბელიანი, „მომბე“, 1895 წ., № VIII;
ბერკოვი, ტ. II და III; არქოვრავიულ კომისიის აქტები, ტ. I
და II; თემურაზ ბატონიშვილი, „ივერია“ (1891 წ., №№ ები 51—
55), „საქართველოს ისტორია“ მ. ჯანაშვილისა, გვ. 470—472;
პ. იოსელიანი, „Оши-апие ქართული თემი. თიფლისა, გვ. 21—22.



ქადაქში აბათები ბადალი სმელეთისათ,
 მარილაშ აშენებული აუზები არს ქვისათ,
 შაღლადაშ გადაჭიდილი წითელი აკურისათ,
 ბეჭედილაშ ფანჯარაები სახათურია შზისათ,
 ვანტ შევა აგრეგე გასძის, როგორც თოვლია შთისათ,
 ქადა და რძალი გამოდის, ვათა უვალი ნისათ;
 ღუქები ბეჭრი დაშაროეს, სასხლიში ბაედებისათ,
 შეეშ ქუქები დაატანეს, სარბენი არა გზისათ,
 წინ ნათხარი თომოები, ნაგები სარდაფისათ;
 ხოის დაანი ბეჭრია და ფარჩი ბეზირგნისათ,
 საედარიც ბეჭრი ააგეს ამ თეთრი ქვათვარისათ,
 სატი და ჭვარი შაგ არის, საღოცებები ღვთისათ,
 ბერი და მდვდელი ამდენია, როგორც რომ წვიმა წედისათ;
 ხაზინაები აწევია, მოჭრილი თამაზ სხისათ; *)
 ერეპლე ბატონი იჭდა, ბადალი სმელეთისათ,
 ასტირდა ცა და ქვეენა: მისთვის არ მოდის დარია,
 ხოჭახანი **) წამოვიდა, თერნილაშ მომავალია,
 ამდენი ჭარი მოუდის, არ გადასწედება თვალია,
 შაგ და შაგ სარდალი მასცა, მან-კა აართო შხარია;
 შეშას სან წიგნი დასწერა, ერეპლეს გაუბზავნეა,
 თავაღები დაერჩივენ, ერთად მოაბან შხარია;
 საედრილაშ გამთანებენეს ას ღიდა ქვარია,
 ზოგი მოუკლავს ტევასია, ზოგი შაწას შეუქმია,
 ურფელის სედში ნე ნაცვერი, ისევ შენ მოგვეხმარეა,
 წინ ერეპლეს გამოუსძენენ, ვათომ ირქმი ხარია,
 ასე მოჭჭონდა დაპლაშა, ვათ საომარი ხმალია,
 თუშეთში რომ შემოვადა, ცხენს მთაცოკებს ნელათ,

*) თამახანი, იყივე ნადირშა.

**) ხოჯახანი, იყივე აღაშავმალჩანი.



დაფდა და წაგნი დასწერა . . .
„ეს რუს ხელმწიფების მიმიროვით, მან გადიკითხის ხელის, მარა
უხოჭახანი ჩამოვადა, ქადაქა შეამტკერათ,
შე აქეთგენ მომაქცია, ისევ მიშველე შენათ“.
გადიკითხა რუს ხელმწიფები, შებძზედ დაიდა ხელია;
„ვაი შენ თბილის ქადაქო, რა მნედა საქმე ჰქმნაა,
საზიანები დაჭერებე და თქროები ბევრია.
აანარღებს დამიახეთ, ჭარი შევეაროთ ბევრია,
ზოგი ბოლოზედ წავადეთ, დაუმონათ შტერია,
ზოგი დარბაზზედ გავიდეთ, ორად ბავაწუთ ბემია,
სოფახანი დავიწიროთ, ძაღლივათ დავსჭრათ ველია,
ქადაქა დავამორჩილოთ, სედ საქართველო წვენაა“.
ეს ამისი გამომოქმედა სიტევების ჩამომოვლელია,
უკედანი კრიად დაგდოტოსთ, რაზ შევეანაზედ დადელია,
მასი მადლი შეგმითხოს მცენას რომ ხატა სუნა.

ბრძოლი თბილის კრწანისში

(ლექსიდამ ბედი ქროლის).

...ბატონის თვას ჭარი კრწანისის შინდვნად
დაებახაკა სპარსეთან საომრად;
შატარა ქახი აღამაჭადხანის
უბირებს შემძის ძღიერს, რასხვანს.

ამ დრის კამინნდა სამხრით შტერა...
დაჭვრეს ხადარა, გუდნი შეზარა,
და შტერთ საომრად ჭარნა შექურა.
სმა ხადარისა, ეს სმა ბრძოლისა
ვით არ აღგანთებს, გმირთ ქართლისა!
მხდალის განამხნევს, მხენეს განადვიძებს
და მაჯნულისა სუდს შეუშფოთებს!



შექმნათ შწარე, ქლიური თმია:
გათა ნადირისა მშერია დომი,
მპეტნენ სხარსთა იყერთ მსედარნია
და მტბვასა შერთეს სასხლისა ღვარნია!
თრნია აბრძგაან გაშწარებულნია,
თრნია თმებში ბაქეზებულნია;
თამაზ ენისედთ, მოურავის ქე
და ათანენ კასთ-აბაშიძე
განუმტკაცებდენ მკდართა ქართველთა;
მეფის ირკვლის ღვაწლა კოველთა
შთაუდგამს სულის კასტაციასას,—
მაანტ ვერ ჰქედენ ბოდის ბრძოლასას.
რა ნახეს ქართველთ გატირდა საქმე,
მეფის ნააგებეს ჭყდები თურმე,
ხომალის ხელი იკრეს მამა-პამურად
და დაერაგნენ თავისექმურად.

ბინდმა გაჩერა შებრძოლნი მტერნია;
გამარჯვებულნა დარჩენენ იყერნია;
მატრამ რა მეტე გარსა უქურების,
მას გამარჯვება არღა ასარების;
ძვირად დაუფდა არა ირაკლის!
მრავალთ უმაწვად-კაცო, ნუკემთა ქართლის,
დახდებეს აქ თავი მამულისათვის ..

შეფეშ უბრძნა თვისთა მოხედეთ:
უბეითამბხ, რომ ახდავ ქაღაქს მავაქცეთ
და ციხე წყენა მუსწრავდ გაგამაკრთო,
თურმე ხელ საშხნაო გერა გავაწეოთ;
აღამაჭადხან რა აქა გვნახავს,
ხომ იციო, ჭარი დიდ-მაღი ახდავს,
და, იქნება, რომ ციხეში დაგხვდეთ,



ნების ქადას ფიქრი მარტო... .

კავა ეთანხმა ამაში მეტეს,

ქადაქს მიაქცნენ იმავე ღამეს

და მეტრაველ ზღვდენი ხარავადის

ექმნათ საჭურავ ჭარია ქართველის!

გათენდა დიდა შზის აღმოსვლად,

მაგრამ შნათობმან შექისა ხაცვლად

ხნედი *) მოჰვანა ტფილისის აეს.

აღამაჭადისნ მოადგა ცახეს;

სამი დღე და ღამ ადგა მას ჭარია,

მაგრამ კერა-რა აენო კერსათ,

დადონდა სპარსთა შეტე ბორცვილია

და, თურმე, კოფლით იმედ შინდილი

ქართლიდგან წასკლას ლაპარებდა...

მაგრამ იუდა ფამს ეძალდა!

აქა შან იკა აწ მოიხედოა

და მექთადისა ანგართა სედოა

აჭარეს მამედის სიმტკიცის ბეჭნა.

შან შტერო უშსხევრსლა თეისნია მომშენა!

სცნა რა ირაჭლამ ესე მექთდობა,

მოუმეთა თვისთა ესდენ დამტრობა,

მეისვე აღწითა სედმწავე ბეჭლი,

შტერზედ ამავად გამზადებულია!

მაგრამ ცუდ იუთ უოველა დონე:

აღამაჭადისნ, კვლავ თაფ-მომწონე,

შემოუპარა ციხისა კართა

და მოეკლინა მსწრაველ ქართველი ჭარია...

*) მოლრუბლული და ნისლიანი დლე იუთ 11 სექტემბერს,



მაგრამ ირაკლი უკეთ გაქცელა.

საქართველოს
კულტურის მინისტრი

მთიულეთისკენ თავისი ცხენი.

(აღა-მამად ხანის დაბრუნების შემდეგ ერეკლე თელავიდვან გამოვიდა და გამოემგზავრა ტფილის).

რა მთახდოვდა ქადაქს მეფე,
დიდისნის უკერეტდა ცრუმდთა აღმიქეული.
შადატნი შასნი გარდმთნგრეულან,
სახლნი სამშობლო დანაცრებულან,
შიდაშო ჭიედავს უპატრონობას,
აღისრებას და ნატამდობას,
ღუმილი ჰესვევს მის არე-მარე,
მხოლოდ ბუტბუტებს მტკვარი მწესარე...
ადაყსო ქვალად ერმან ტფალისი,
რა შობრძანება ჭიცნა ირაკლისი;
ქადაქი ისევ ჩქარად აშენდა,
თუშეცა ადრინდელს მრავალი აკლდა!...*)

*) თემუა ბუტკოვი სწერს (ტ. III, გვ. 177 და 260, რომ ტფილისში 1783 წლამდის იყო 61,000 მცენობრი და ამათგან 1795 წლის შემდეგ დარჩა მშობლოდ 35,000, გარნა ეს შეცდომაა. ამდენ ხალხს ცერ დაიტყედა მაშინდელი ტფილისი, რომელშიც ტურნე-ფარის დროს (1701 წ.) იყო 20,000 ხელი მცხოვრები. ეს 61,000 მცენობრი უნდა ყოველივე მოედს სამეფოში, რის საბუთსაც გვაძლევს თეთ ბუტკოვი თავის მეორე ტომში (იხ. გვ. 340), სადაც იგი ამშობს, რომ 1783 წლამდის საქართველოში ამერიკში) იყო



ერეკლემ ამის შემდეგაც საქიროდ არა მაცნეფას არა
მხედრო სამართლით გაესამართლებინა ქვეყნის ორგულ-
ნი და მოღალატენი! ასეთი წინ-დაუხედაობა ხელმწი-
ფე კაცისა სწორედ გასაოცარია! ნუ თუ არარატიანის-
თანა ვერაგი კაცები კიდევ საცოცხლებელნი იყვნენ,
და ისიც მისთვის, რომ ეწერათ ყალბი ისტორიები
და მათივე შემნიღებელი მეფე გამოეყვანათ ქვეყნის მო-
ღალატედ, რომ ამ სულგრძელ მეფისათვის წამოესხათ
ცხერის ტყაპუჭი და ინანურის ტაძარში მასთან დაეს-
კუპებინათ მისი ღვაწლმოსილი ამაღა კი არა, არამედ
იგივე გაიძვერა და მატყუარა არტემა!....

განისვენა ერეკლემ (11 იანვ. 1798 წ.) და მის
შეილების ქიშპობაშ ბოლო მოუღო საქართველოს. ამე-
რეთი შეუერთდა რუსეთს (18 ნოემბ. 1800 წ.)...

61,000 მეტამეტიო, ხოლო აღა მაპმაღ-ხანის მიერ ქალაქის გაოხრე-
ბის შემდევ კი დარჩა მთლიან 35,000 მეტამეტამდეო, ხოლო და-
ვით ბატონიშვილის თქმით სპარსთა წაასხეს ტყველ 10,000 სელით
და ქალაქებში დარჩა 3,000. ქალაქის აოხრებამდის აქ იყო 4,000
სახლი, 1803 წელს კი 2,700—3,000-მდევ და მათში 30,000
სელით.



ვიღრე მოვიყეანდეთ ცნობას ახალ შმართველობის და დაფუძნის შესახებ, საჭიროა გვიკროთ იმ დროსინზე ამ შინაური ყოფა-მდგომარეობა მოელის ქვეყნისა და ტურისტისა.

1801 წელს ლაზარევი თავის მოხსენებაში ამბობს, რომ ამერეთში (ქართლსა და კახეთში) იყო 40,000 მეტამური და თითო კომლი შესდგებოდა 6 სულისაგანო¹⁾. მაშასადამე ამ დროს ამერეთში უნდა ყოფილიყო 240,000 სული. 1783 წელს კი ბურტკოვის ანგარიშით (ტ. II გვ. 340, ტ. III, გვ. 177, 260) ამერეთში იყო 61,000 მეტამური. თუ ყოველი კომლი ისევ 6 სულიდ ჩავაგდეთ, გამოვა, რომ 1783 წელს ამერეთში ყოფილა 366,000 სული.

ერთ იყოფებოდა შემდეგ წოდებად: სამეფო სახლი (50 სული), თავად აზნაურობა, მეფის აზნაურობა, თავადთა აზნაურობა, ვაჟარნი, მოქალაქენი, სამღედელოება, გლეხობა²⁾.

თავადთ პქონდათ უფლება მიეღოთ უპირველესი თანამდებობა სახელმწიფოს გამგეობაში მემკვიდრეობით და პყოლოდათ საკუთარი აზნაურები. მეფის აზნაურობა მის ამბობას შეადგენდა და მათ ეძლეოდათ ათასისთავობა და ასისთაობა. თავადის აზნაურები შეადგენდენ თავადის ამალის და ლაშქრობის დროს მის ხელქვეშ იყვნენ.³⁾ ვაჭრებს პქონდათ უფლება მიეღოთ თანამდებობა მეფის სასახლეში, იგინი და მეფის აზნაურნი თანასწორნი იყრნენ. ვაჟარნი და მოქალაქე უშერეს ნაწილად სომეხნი იყვნენ

1) Сიօნи. матер. діл 10 опис. Тиф. გვ. 9. 15.

2) იქვე გვ. 9.

3) იქვე გვ. 10.



სასულიერო წოდებაში შესელის ნება ჰქონდა უკულისაურის
სასულიერო წოდებაში შერიცხილ თავალ-აზნაურის ამას-
თინავე რჩებოდა ის უფლებაც, რომელიც ჰქონდა საერო
წოდებაში მყოფობის დროს. უკელა მონასტერს ჰქონდა
თეოსი სოფლები და ჰყანდა თეოსი ქვეშევრდომნი. ხე-
ლოსნები დაყოფილიყვნენ ამტებად და ჰქონდათ ნება
დასახლებულიყვნენ ჭალაქებში. გლეხები ყმებად ითვლე-
ბოდნენ და როგორც ვაზტანგ შეფის სამართალი ამბობს,
გლეხის „სულის გარდა, უკელა ეკუთვნოდა ბატონს“.

1801 წელს მოხდენილ ანგარიშით მეფის ყოველ-
წლიური შემოსავალი იყო: თათრებზე დადგენილი „მახ-
ტა“ 3,500 მან., „მახტა“ ტფილისიდამ 4,000 მან., ამას
გარდა ტფილისი და გორის ვაკარნი, მოქალაქენი და
ხელოსანნი ხდილობდნენ: კოლოსანნი 1 მ. და 20 კა.
და უცოლონი 60 კა., ხიზანთაგან, რომელიც განპნე-
ულ იყვნენ სხვა და სხვა სოფლებში, იკრიბებოდა ნ ფუ-
თი ხორბალი ყოველ შეკომურისაგან; დამნაშავეებს, ცემა-
ტყების მაგიერ, მეფე ამდევინებდა ჯარიშის. „სურსათი“
თათართაგან 8,250 მ. და თავალთა და სამღვდელოთა
სოფელთაგან 6 ფუთი ხორბალი მეკომურისაგან; ოჯახი
რომ იყრებოდა, მეფეს აძლევდა $1/20$ ნაწილს თავის ქო-
ნებისას.

უკანასკნელ წლების შემოსავალი: შემოტანილ საქონ-
ლიდამ საპალნობით ციხისთავისათვის 100 მან., გორიდამ გა-
ტანილ და გორში შე შემოტანილ საქონლიდამ (მარილზე,
თევზზე, სასწორზე, ღვინოზე, არაუზე და ყასბებზე) 1,100
მან., კახეთიდამ იმავე საგნებზე 1900 მან.; ერთდროული
მახტა პურითა და ფულით, რომელსაც ხდილობდნენ ტფი-
ლისი და თათრები, 35000 მან.; სურსათი ყაზახიდამ, შამ-
შადილიდამ, ბორჩალოდამ, ბაშაკიდამ, შულავრიდამ 8,350



შან.; ტუილისიდამ 13,200 მან., ბაეთ თამბაქოზეც მოვარდი
ამერიკაში 5000 გ., ტუილისში ნაქართვ პაშის ტილოზედ
დამტკის დასასმელი 3,850 გ., ტუილისში მჩუანილ თვეშა
და ხიზილალაზედ 1,050 გ., ტუილისში სასწორი 700 გ.
ტუილისში მოტანილ ლეინო-არაუზე 3,300 გ., ტუილისის
ყაბებზე 3,100 გ., სპილენძის მაღნები 10,050 გ., ენდრო
2,300 გ., ტუილისში მჩუანილ ტივზე 120 გ., დუქნებზე
აფეილის ბაეთ 120 გ., აფე ლებზე, რომელიც ეკუთვნილ
ნენ ციხეს და რომელზედაც დასახლებულ იყვნენ მცხოვ-
რებნი 120 მან.*)

ამას გარდა ცალკე შემოსავალი ჰქონდათ თავადებსა,
ბატონიშვილთა და ლელიანულებს.

როგორც უკვე ცნობილი, 1801 წელს ამერიკაში იყო
50 სული, რომელიც ეკუთვნილნენ მეფის გვარეულობის.
უკვე ესენი სცხოვრობდნენ თავისის ყმებისაგან აღებულ
შემოსავით, და ამას გარდა ჰქონდათ სამატონიშვილო-
ები. 1803 წლის ცნობილ დარიალებით ჰყონდა 299
მეკომური (1311 სული) ყმა, რომელთაგან შემოსდიოდა
ყოველ წლივ 1495 მან.; მარიამ ლელიანულს ჰყონდა 295
მეკომური (1556 სული) ყმა და შემოსდიოდა 3,366 გ.,
ვანტანგ ერეკლეს ძეს 2061 მეკომური (12815 სული) და

*.) 1784 წელს საქართველოში მოვარდის უზანეთა მო-
გზაურის, რომელთაც ჰშეელთა ნემეცი იკობ რეინექსი. იგი მა-
ხურებდა ერეკლე მეფესთან. ეს ფრანგთა მოვარდის ერეკლეს შე-
მოსავალს ანგარიშობენ 26,950 გირვანქა სტერლინგად, ხოლო
რეინექსის ჩვენებით ერეკლეს შემოსდიოდა: ხარებდამ (ცოველს მე-
კომურზე) 610,000 მან., უცნო ქვეყნების მოვაჭრეთა საქონლის ბა-
ვარდამ 25,000 მან., მაღნებილამ ყოველ წლივ 60,000 მან. ვერც-
ლი, მაღნებილამ ოქრო -3,200 მან., ხარებ ერევნილამ 15,000 გ
და სულ 713,000 მან. (იბ. იივ., იბივ., № 3072).

შემოსდიოდა 5,252 მ. და 85 კაპ., ითანე გიორგის მის 953 მეცომური (6297 ს.) და შემოსდიოდა 1571 მან., მეტკვილრეს დავით გიორგის ძეს 391 მეცომური (1564 ს.) და შემოსდიოდა 3520 მ., ბაგრატ გიორგის ძეს 295 მეცომური (1510 ს.) და შემოსავალი 1892 მან., ითანეს 295 მეცომური (1743 ს.) და შემოსავალი 916 მან., ალექსანდრე ერეკლეს ძეს 214 მეცომური (1084 ს.) და შემოსავალი 1630 მან., ფარნაოზს 18 მეცომური (196 ს.) და 230 მან. შემოსავალი, თეიმურაზ გიორგის ძეს 41 მეცომური (229 ს.) და 300 მან. შემოსავალი, და კიდევ დავით გიორგის ძეს 21 მეცომური (296 ს.) და 248 მან. შემოსავალი; და საერთოდ ყველას 4883 მეცომური (28,408 ს.) და შემოსავალი 20,351 მან., მაშასადამე ყოველი მეცომური ხდილობდა 4 მ. და 17 კაპ., ხოლო ყოველი სული 72 კაპ.*)

20 ივნისს 1811 წელს იმპერატორ ალექსანდრეს მიერ ხელმოწერილ სინოდის მოხსენებიდამ**) სჩანს, რომ საქართველოში (ამერეთში) არის 13 ეპარქია, 799 ეპელესია, 746 მღვდელი, 146 მთავარი, 661 დიაკონი, 6 არქიმანდრიტი, 75 ბერი, 2,218 მეცომური ეკკლესიის კუთვნილი გლეხობა და ამას გარდა 9 საარქიმანდრიტო კუთვნილი გლეხობა 637 მეცომური, საეკლესიო აზნაურობის კუთვნილი გლეხობა—470 ოჯახი, და უკანასკნელ 470 ოჯახ გლეხობის გარდა დანაშთებ მოუმეთავან ეკკლესიას დაახლოებით შემოსდის (სურათი, ლალა, მახტა და კუ-

*) ი. ი. Сборн. матер. для опис. Тифл. губ. ვ. 13—14.

**) ი. Всеводданійшій докладъ Синода Великому Государю, Императору и Самодержцу Всероссийскому (Рим.-японізованій ბიბლიოთ. № 36).



ლუხი): ეპარქიებს — 96,360 მან. და საარქიმინისტროს — 13,224 მ. და სულ 39,584 მ.

8 მაისს 1802 წელს შეუდგნენ ახალის პთაფრთბის განწესებას საქართველოზე *) (მეტეთში), რომელიც მიღერიდგან უნდა წოდებულიყო „საქართველოს გუბერნიად“ და გაყოფილიყო მაზრებად: გორის, დუშეთისა, ლორისა, თელავისა და სიღნალისა. დანიშნულ იქნენ მთავარ მიზანთებელი და შმართველი, საქართველოს უმაღლესი შმართველობა, რომლის ადგილ-სამყოფად გახდა ტფილისი.

საქართველოს უმაღლესი შმართველობა შესდგა 4 ექსპედიციისაგან: აღმასრულებელ საქმეთა, სახელმწიფო და სამეცნიერო საქმეთა, სასისხლო საქმეთა და სამოქადაჭი საქმეთა. ყველა ამ დაწესებულებაში დანიშნულ იქნენ რუსთა და ქართველთა მოხელენი, ხოლო თავმჯდომარეობა ყველგან რუსებს ერგოთ.

7 მაისს 1802 წელს დიდის ზეიმით, ნაღარისა და საკრავების კვრით გამოტაცებულ იქნა ტფილისში, რომ მეორე დღეს 8 საათზე გაიხსნება ახალი შმართველობა და დანიშნულ ადგილისა და ესმს უნდა გამოტაცებულენ მოხელენი, ბატონიშვილნი, თავაღნი და საპატიო აზნაურნი.

8 მაისს, დილის 7 საათზე სამჯერ გაისროლეს ზარბაზანი და ავრეთვე კიდევ $8\frac{1}{2}$ საათზე და შემდევ ამისა ყველა ეკელესიებში დაიწყეს ზარების რეյა წირვის გადასახდელიად. შეიკრიბნენ ყველანი და ავრეთვე საქართველოს შმართველი კოვალენსკი, რომელმაც ორის რუსის მოხელისა და ორის ქართველთა პირით შეუთვალი მთავარმართებელს კნორინგს ყოველივე მხად არისო. კნორინგი დიდის ზეიმით გამობრძანდა, მას წინ უძლოდნენ რუ-

*) იხ. Сборн. матер. для опис. Тифл. губ., ვ. 23—30.



სის მოხელენი, ქართველთა თავადნი, გენერალის მიმღება
ინახულა შემოკრებილნი და დადგა მაგიდასთან და მიშმართა
ხალხს ზემოს შესაფერი სიტყვით, რომელზედაც უპასუხა
საქართველოს უოფილ მთავრობის უბირველეს მოხელემ—
ითანე თარბელიანმა. შემდეგ წაკითხულ იქმნა სია ყველია
ახალ მოხელეთა და მერე უველანი ერთად გაემგზავრნენ
სიონის საკრებულო ტაძარში: წინ მიღიოდა ტფილისის
თავი პოლიციის უფროსითურთ და პოლიციის მოხელე-
ებითურთ; მათ შემდეგ 12 თავადნი წყვილ-წყვილად; მერე
მთავარმართებელი თვისის ამაღითა და გენარლებით; შემ-
დეგ საქართველოს მმართველი ექსპედიციების მოხელეე-
ბითა, და გარეშემო მიჰყებოდნენ ბატონიშვილნი, თავადნი,
აზნაურნი; ჯარის ერთი ჩაწილი წინ უძღვდა და მეორე
კი უკან მიჰყებოდა. სიონის კარებზე გამოეგებნენ თრნი
არქიელნი საკრელის კვევით. სწირავდა ტფილისის მიტრო-
პოლიტი არსენი. წირეის შემდეგ ქართულადა და რუსულად
წაკითხულ იქმნა ახალი დადგენილობა და ამისთანავე
მოხელენი დაფიცებულ იქმნენ. შემდეგ უწმინდესშა კა-
თალიკოს ანტონიმ გარდაიხადა სამაღლობელი პარაკ-
ლისი, წავიდნენ იმ სახლში, რომელიც დანიშნულ იყო
სამმართველო სადგურიად. აქ რომ მთვიდნენ, კათალი-
კოსმა იკართხა წყალი, წმ. წყლით ასხურა პალატნი,
საცა იმავე დღეს შესდგა საქართველოს უმაღლესის
საბჭოს პირველი სხდომა. ამის შემდეგ კათალიკოსი,
უპირველესი სამდვდელოება, მოხელენი, ბატონიშვილ-
ნი და სხვ. მიწვეულ იქმნენ სადილად მთავარმართე-
ბელთან. სადილის უამს უკრავდნენ მუსიკა და სული-
ლნენ ზარბაზანს.

ახალ მოხელეთა შესანახად გადადებულ იქმნა
80,939 მან. ყოველ წლივ.

იმავე დღეს დაწესებულ იქმნა პოლიციარიანული ლარია ანუ საბჭო ქალაქის პოლიციისა. საბჭოში თავ-მჯდომარეობდა ციხის თავი, რომელსაც მებჭედ ჰყვან-და პოლიციის უფროსი. საბჭო მოვალე იყო გაერჩია მოქალაქეთა თხოვნები, საქიცრები, დაეცვა შევიღობიანობა და სიწმინდავე მმართლმადიდებელ ეკულესისა, ამას-თანავე მას უნდა თვალური დაეჭირა, რომ კვირა-უქმე დღეებში საწინააღმდევო არა მომზღარიყო-რა.

ყაზახისა, ბორჩალოსა და ბამბაკის მოურავებად და-ნიშნულ იქმნენ ქართველთა თავადნი და მათ თანა-შემწედ რუსნი. ყარაბაღის სომებნი დაშონენ გამგეო-ბასა ქვეშე მელიქებისა. გამოცხადებულ იქმნა სურვი-ლი, რომ ორივე დედოფლები და ყველა ბატონიშვილი, უმეტესად უფრო მოუსვენარნი მათგან, გადასახ-ლებულიყვნენ რუსეთს, საკა მათ მიეცემოდათ საკმაო ულუფა. (ბუტკოვი, ტ II, გვ. 500).

მანიფესტის გამოცხადების შემდეგ შესახებ ქართ-ლის შეერთებისა რუსეთთან და შემდეგ იმისა, რომ ახალს მმართველობაში არც ერთი ბატონიშვილი არ იქმნა დანიშნული, *) ქა უკანასკნელნი გულწავლუ-ლად დარ ნენ. ესენი სცდილობდნენ ამბოხება და არე-ულობა მოეხდინათ საქართველოსა და ტფილისში. მა-ლე გაერცელდა ხმები, რომ რუსებს პსურთ ყველა ქა-რთველნი რუსეთში გადაისახლონ, საქართველოში კი ყაზახები დასახლონ, თრი წლის ხარკი ერთბაშად

*) პირველ მდივანბეჭებად განწესებულ იქმნენ: შაალ ბარათა-შეილი, ითანე ჩოლაკშეილი, ევნატე და სულხან თუმანიშეილი და ტფილისის ობერ-პოლიციერსტერი დარჩო ბებუთაშეილი (ც. ტ. ესტ. ი ჩავაკავშ., VI, გვ. 300).

აილონი და სხ. ამ ხმებმა შეარყია მყუდროება, 1802 წელს შეთქმულო განიზრახეს ავლაბრის ხილის და მათ ნავთი წასცეს ხილის სვეტებს და წაუკიდეს ცეცხლი, მაგრამ პოლიციამ დროზედ შეიტყო და ხილი გადაარჩინა გადაწვას. ეს საქმე სხვას არავის მოეწმებოდა, თუ არა დარია დედოფალს, რომელიც სცხოვრებდა ავლაბრის სასალეში. ამისა გამო ავლაბარში დააყენეს ერთი დასი ჯარი (ბუტეოვი, ტ. II, გვ. 535, შენ. 2).

ეს იყო მიზეზი, რომ ყველა დედოფალი და ბატონიშვილნი, გარდა ალექსანდრე ერეკლეს ძისა და ლევან იულონის ძისა, გარდასახლებულ იქმნენ რუსეთს...

რუსის მთავრობის დადგენის შემდეგ ტფილისში მთავარმართოებელმა კნორინგმა შეადგინა საპოლიციო წესდება ტფილისისათვის.

ამ წესდების *) ძალით ტფილისი, საცა მაშინ იყო 2,000 ხახლი და მისი უბანი ავლაბარი, საცა იყო 300-ზე მეტი ხახლი, გაყოფილ იქმნა 4 ნაწილად და ყოველი ნაწილი 2 უბნად, ნაწილის გამგედ დანიშნულ იქმნა თითო იახაული, ხოლო უბნისა — თითო ასისთავი და 3 ათისთავი; უბნის ქუჩების თავსა და ბოლოს ღამ-ღამობით უნდა მდგარიყვნენ გუშაგნი, რიგ-რიგობისად გამოყენილნი ყველა მცხოვრებობან; ქალაქი და შეტადრე უმთავრესი ქუჩები უნდა განათებულ ყოფილიყო ღამპრებით; ტფილისში დაარსდა პოლიციის კანცელარია ანუ გამგეობა, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა ერისთავი და მებჭედ პოლიციის უფროსი.

*) Сборн. матер. для опис. Тифл. 4, გვ. 301.

აშავე წელს (1801 წ.) ტფილისში იწყებს მრავალი გადაცემა და განვითარება ხაზინა.

სიმარტონის

2 სექტემბერს 1802 წ. კნორინგი და კოვალენსკი, რომელთაც უჩიოდნენ აქაურები უმაღლეს კარის წინაშე, გაწვეულ იქმნენ რუსეთს და მთავარმართებლად დანიშნულ იქმნა თავადი ციციანოვი. ახალი მთავარმართებელი მოვიდა ტფილისში 1 თებერვალს 1803 წ. იმან მოსპო ამბოხება, შეიძყრო დედოფალი, ბატონიშვილი დავითი, ვახტანგი და ბაგრატი და გადაახახლა რუსეთს; 4 ივნისს 1803 წ. მოახდინა პირველი სათავად-აზნაურო ყრილობა და ამ ყრილობამ პირველ მარშლად ამოირინა გარსევან ჟავეჭავაძე. ²⁾

იმავე წელს მოხდა ოფიციალური აღწერა ტფილისისა და ამ აღწერამ აღმოაჩინა შემდეგი: ³⁾

ა) ქალაქის პირველ ნახევარს არტყია გარეშემოქითების გაღავანი, მის შუაში ციხეა ასრულე გამაგრებული.

ბ) ქალაქის ნახევარს პქუიან აელიაბარი, რომელსც არტყია ქინითების გაღავანი და შას აქვს სიმაგრე—მეტები.

გ) ქალაქის ორივე შარე გაყოფილია 4 ნაწილად:—მუხრანისა, წავკისისა, მთისა და ავლაბრისა; მათში 3,000 სამლია, 20,000-მდე მცხოვრები სხვა-დასხვა ხარწმუნობებისა. ეკულესიანი ქართველთა არის 15, სომებთა 24, ბერძენთა 1, კათოლიკეთა 1 და მერითი 1; დუქნები ფარნეცულობისა 85, საწვრიმალო 63, ხა-

²⁾ იქვე, გვ. 302.

³⁾ იქვე, გვ. 302.

148



ხელოსნო 310, სახანოვაგეო 76 და ლეინის სარდა
ფი 40.

გარნა ამ აღწერას წინ უძლოდა დიდი დაბრკო-
ლებანი და ამიტომ შეკრებილი ცნობები არ შეიძლება
ჩავთვალოთ იმად, რაც ნამდვილად იყო ტფილისში.
ციხისთვის, თავადი სააკადე სწერს ციციანოვს, რომ
ცნობების შემცერებელთ სახლებში არ უშვებდნენ და
თვითონ სახლის პატრონები იმის მავიერ, რომ მართა-
ლი ცნობები მოეცათ, წყვილ-მუქარით ეგებებოდნენ
აღმწერებლთ. და ამიტომ ცნობები შეიკრიბა მხოლოდ
შემთხვევით და ფარულად.

იმავე წლის 3 მარტს ციციანოვმა უბრძანა ციხის-
თვის სააკადეს: *) სასტიკად დაცულ იქმნეს ტფილისში
სისუფთავე, ვის სახლის წინაც შეინიშნება უწმინდუ-
რობა, იმავე სახლის პატრონს დაუვალოს მისი გაწმენ-
და; ყველა დუქნები დაიკეტოს ხოლმე სალამოს 7 სა-
ათწე; ქალაქის გარედ გაიმართოს საყისძო და აღკრძა-
ლულ იქმნეს ხოცვა საქონლისა შიგ ქალაქში; საყის-
ბოდგან შემოტანილი ხორცი გახვეულ იქმნეს ტილო-
ში, რომ არ მოეცხოს მას მტვერი; ტყავების გამო-
საქნელი ქარხნები გატანილ იქმნეს ქალაქის განაპი-
რას. ქალაქის სახლები აშენებულია უწესოდა და ქუჩე-
ბის შეკრიოებით, აღკრძალოთ ამის შემდეგ შენო-
ბათა ატება ჩემ მიერ ნებადაურთველიდ.

ბუტკოვი ამჰობს (ტ. II, გვ. 453): „უნდა ვიცო-
დეთ, რომ ტფილისი თუმცა ვიწრო არ არის, გარნა
მცხოვრებნი არ ბინავდებოდნენ მისის გალავნის გა-
რეთ, შიშისა გამო ლეკთა თავსდასხმისა, მიუხედავად

*) იქვე, გვ. 303.

იმისა, რომ ტფილისში ერთი ოთხ-კუთხე აღიაბი სამო-
სახლო აღაგი ჯერ კიდევ 1805 წელსაც ისყიდვებოდა
40 მან. ვერცხლად".

იმავე 1803 წელს ციციანოვმა გამოუქადა ქალა-
ქის მცხოვრებთ; საჭირო ქალაქში იყოს ჯარი, მოლო-
ლაშქარი ვერ იცხოვრებს ქუჩებში, მისთვის უნდა გა-
კეთდეს სადგური; თუ ქალაქელი არა სურთ სახლებ-
ში ჩაიყენონ ჯარის კაცნი, უნდა გამოიღონ 15,000
მან. სადგურის ასაშენებლად. ეს ხარჯი დაეკისრება ყვე-
ლას ერთნაირად—მდიდარ ვაჭარსა და ისე ღარიბსაც
და უპირველეს თვეადსაც, რომელსაც სახლი აქვს ქა-
ლაქში. *)

22 სექტემბერს 1802 წელს გახსნილი ორ კლასია-
ნი სასწავლებელი საქართველოს კეთილშობილთა ყრმა-
თათვის ოთხ-კლასიანად გარდაკეთებულ იქმნა 1803
წელს. ²⁾

იმავე წლის დამდეგს ქალაქში დაარსდა სამკურ-
ნალო უწყება, ხოლო 1804 წ. ზარაფხანა და 1805 წ.
ფოსტის უწყება და იმავე წელს შეუდგნენ საქართვე-
ლოს სამხედრო გზის კეთებას. ³⁾

იმავე 1803 წ. ტფილისში გაჩნდა ეამი და ქალა-
ქის მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი და ქართველთა სა-
მლვდლელოება ტფილისიდამ გაიხიზნა. 17 ნოემბერს ქა-
ლაქში გაჩნდა დიდი ცეცხლი, რომელმაც 150,000
მან. ზარალი მისცა მცხოვრებთ, და ცეცხლისაგან და-
ზიანდა იგრეთვე სიონის ტაძარი, რომელსაც დაეწვა
10 დუქანი.

*) იქვე, გვ. 304.

²⁾ იქვე, გვ. 303.

³⁾ იქვე, გვ. 303.

1811 წელს გაუქმებული იქმნა საქართველოს შპრ
თალიკუოსობა, ანტონი მ გილადახანლეს პრიუნის იმდრა
საქართველოს ექსარხოსად დანიშნეს ციხელაამ ერის-
თავის. დასტურებული არის მათ მიზანის და მიზანის და
მათ გარემონტისა და მთავრებარებულის ტორჩისო-
ფის მოხსენებისამებრ უწმინდეს სინოდში დააღვინა და
ხელმწიფე იმპერატორმა აღექსანდრემ დაამტკიცა*)
(30 თებერვალი 1811 წ.):

ა) 13 ეპარქიის მაგიერ საქართველოში (ამერეთში)
იყოს შპრლოდ არი ეპარქია—შესეთის, ქართლის, აღა-
ვერდისა და კახეთის, 9 საარქიშანლრიტო შემცირდეს
5-ად.

ბ) მამალმთავარი საქართველოს სამლელელობისა
იწოდოს შიტროშოლიტად შექეთისა და ქართლისა, წევ-
რიად უუწის სინოდისა და ექსარხოსად საქართველოისა.

გ) დაწესდეს დიკასტერია გამგეობასა ქვეშე სა-
ქართველოის სამლელელობის შამალმთავრისა და მის
წევრებად—ელია და მერმეც—დანიშნულ იქმნენ სკე-
მისანი და სამლელელონი.

დ) სასულიერო წოდების შეილთა აღსაზრდელად
გიმნაზიის მაგიერ გაიხსნას სემინარია და აგრეთვე სა-
სულიერო სასწავლებელი.

ე) არქიელთა, არქიმანდრიტთა, დიკასტერიისა და
სემინარიისა და აგრეთვე სასულიერო მოსამსახურეთა
ქვრივ-ობლების შესაწევნელად ფული გადადებულ იქმ-
ნეს საეკლესიო ყმათა ხორკიდამ.

*) ა. Всепод. докл. Синода, Держав. Велик. Госуда-
рию Импер. и Самодержцу Всероссийскому, ხელმოწერილი
იმპერ. აღექსანდრეს მიერ 20 ივნის 1811 წ. (წერა კითხვის ბიბ.
ლითოვები № 36.)



ვ) ხაეკულესით მიწები, რომელიც ტუსის მარენისადა
ბის დაღვენის შემდეგ განაწილებულ იქმნა, ისეუ უკულტ-
სიას დაუბრუნდეს.

ამავე მოხსენებიდამ მოგვყავს ვარღლამის-მიერ შედ-
ვენილი წემდევი საყურადღებო ხარჯთ-აღრიცხვა: *)

საქართველოს სამადლელობის მამალმთავარს, მცხ-
ოსა და ქართლის ორქიელს, თანაშემწევებითურთ და-
ენიშნოს 5,000 მ.; წილქნის მთავარ-ეპისკოპოსს გერვა-
სის, გორში მცხოვრებს 1,000 მ., მთავარ-ეპისკოპოსს
იოანე ბოდბელს ალავერდის ეპარქიისა 2,500 მ.; დი-
ქასტერიას 1,500 მან.; სასულიერო გიმნაზიას 3,400
მან.; სასულიერო საწაფელებელთ 2,000 მან.; ეკკლე-
სიათა შესაკეთებლად 3,300 მან. ყოველ წლის; სამად-
ლო სახლთ 2,000 მ.; გორისა და მარტყოფის ეკკლე-
სიათა შესანახადა და გასამშვენებლად 1,000 მ.; 5 არ-
ქიელს ულუფა 3,800 მ.; ეკკლესიათა შესანახად 2,860
მ.; ლვის ხაონი სადგური 1,000 მ.; 6 ორქიმანდრიტა
6,100 მ.; მონასტერთა ეკკლესიებს 700 მ. და სხვ.,
და სულ 39,584 მან.

28 დეკ. 1818 წ. უმაღლესის ბრძანებისამებრ სა-
ქართველოში დაწესებულ იქმნა ერთი ეპარქია—ქართლ-
კახეთისა და ექვათენის თანაშემწედ დანიშნულ იქმნა
ქორ-ეპისკოპოსი გორისა. 1. იან. 1825 წ. საქართ-
ველოში იყო: საკრებულო ტაძარი 11, ზრატის სა-
მრევლო ეკკლესიები 311 და ხაეკულესიო გლეხთაგან
შემოღიოდა 57,500 მანათიდან 58,000 მანათამდე. *)

*) იქვე, გვ. 4—5.

) ი. წიგნი ისტორ. ეკარქია. მოსკვა, ციпод.
ტიპოგრ., 1886 წ., გვ. 25, 26, 27. 1811 წელს (ი. ზევით)
საქართველოში იყო: 799 ეკკლესია, 746 მღედელი, 146 მთავარი,
661 დიაკონი, 6 ორქიმანდრიტი, 75 ბერი და ეკკლესის შემოსა-
ჭალი შემნდა 39,584 მან.



შენიშვნა. სინოდის მიერ გამოცემულს იმრექ წმინდაში
ში სწერია, *) რომ საქართველოდ იწოდება ქართლი,
კახეთი, იმერეთი, სამეგრელო და გურია, ხოლო მთელს
საქართველოში არის ოთხი ეპარქია: ქართლ-კახეთისა,
იმერეთისა, სამეგრელოსი და გურიისა. 1819 წლაშ-
დის იმერეთში იყო 4 ეპარქია: ქუთაისისა, გელათისა,
ხონისა და რაჭისა, ხოლო შემდეგ ეს ეპარქიები ერთ
ეპარქიად ჩაითვალნენ და მამალმთავრად დანიშნულ
იქმნა სოფრონი (წულუკიძე), რომელიც 1821 წელს
იწერება, რომ იმერეთში არის 15 მონასტერი, 2 სა-
კრებულო ტაძარი, 618 სამრევლო ეკკლესია, 1,808
მცენმური საეკლესიო გლეხი, ერთი სამაზრო სკოლა
ქუთაისში და 1 სამრევლო სკოლა ნიკორწმინდის (რა-
პაში). — 1819 წ. სამეგრელოში იყო 3 ეპარქია: კუნ-
დილისა, ცაგერისა და ცაიშისა, და მათში 233-მდე
გეკლესია, 2 არქიმანდრიტი, 49 ბერი. — გურიის ეკ-
კლესიას შემართავდა ჯუმათელი (და მის შესახებ ჯერ
ცნობა არ იყო შეკრებილი).

და, მაშასადამე, მთელს საქართველოში იყო ეპარ-
ქიები:

ა) იმერეთში: სამთავრო (მცხეთას), ტფილედი, სა-
მთავედი, მრთველი, წილქნედი, უბნედი, ნიქოზედი,
აღავერდედი, ნინოწმინდედი, სარქაშნედი, ქერამედი, კაწ-
რედი, რუსთავედი, ნეკრესედი, ბოდბედი, ბოდნედი, მანგ-
დედი, (და ძევლად: ქურმუხედი, გიშედი).

ბ) სამცხეში (ძევლად): მაწვერედი, გუმურდოდედი,
იშხნედი, ანჩედი, მტბევარი, წურწუაშედი, წუართავედი,

*; იქვე, გვ. 25.



ერუშნელა, ვაღაშერტელი, ანელი, კარელა, ბანკორა—სამართლებრივი ნელი. *)

გ) საკუთარ იმერეთში: ქუთათელა, ბენათელი, ვაშელი (ხონის ეპისკოპოსი), ნიკორწმინდელი.

დ) სამეგრელოში: ჭეონდიდელი, ცაბერელი, ცანელი.

ე) გურიაში: ჭუშათელი. და სულ 40.

ტფილისის სიწმანდენი და წმიდანი.

ა) ნინოს ჭვარი.

ცოტაა ქალაქი, საცა არის იმისთანა და იმდენი სიწმიდე, როგორიც და რაოდენიც აქვს ჩვენს დედა-ქალაქს ტფილისს. უპირველესი ამ სიწმიდეთაგან არის წმ. ნინოს ჯვარი. ჭეშმარიტად ეს ჯვარი არის ჩვენი სახოება, ქართველთა ერის სიმბოლო, მისი მეონება ხანგრძლივისა და გმირულ ცხოვრების განმავლო-

*) ამ ეპარქიათა სია შედგენილია შე XI—XII საუკუნეში (იხ. ბაქრაძისა Arхеол. ყუთშ. შო ერის ადგარი), და ზოგიერთი მათგან არ იყო გაუქმებული თვით ისმალთა მფლობელობის გამ. საც. მაგ. 1556 წ. მტბევრად იყო ხაზულარი წყმედიძე საბა; 1637 წ. მტბევრად იყო გელეონ საფრიძე, რომელსაც 1650 წელს ხელთანხმა უბოის წოდება იშნებისა და მაწყვერელის. (იხ. თაყაიშვილის წიგნი „Matser. და ისთორის ერა“, გვ. 7, 11). წერნ ხელთ გვაქს ავრეთვე სოფელები ზომიერ კუმუნიდოւელისა, იმანვე ლასურიძისა კუმუნიდოւელისა, გერასიმე კუმუნიდოւელისა და ზოგიერთ სხვა ეპისკოპოსებთა, რომელიც მამალმაცერობდა სამტებში შე-XIV—XVI საუკ.

ბაში. ეს ის ჯვარია, რომელსაც ეამბორებოდნენ! შეუძლია
ნი პირველნი მამანი და დედანი, ეს ის ჯვარია, რომ-
ლისთვის თავი თვისი შესწირა წმ. აბომ, ტფილისის
სამეუფო პატრიონმა, წმ. შუშანიკემა, რომელიც ასაუ-
ლავია ტფილისის შეტეხის ტაძარში, წმ. ევსტათი მცხე-
თელმა, წმ. არჩილმა, წმ. გობრონმა, წმ. დავითმა და
ქასტან ტინქმ, დიმიტრი თავიდებულმა, წმ. ქეთევან დე-
დოფალმა, წმ. ბიძინამ, შალვა დ ელიზეარმა და სხ., მის-
თვისვე და მასევ მთელი თვისი ცხოვრება შესწირა ყო-
ველმა ქართველმაც, და, ბოლოს, ეს ის ჯვარია, რო-
მელიც გააკეთა სუსტის მცნარისაგან სუსტმა ქალწულ-
მა და გადმოსცა მკლავ-მაგარ ქართველობას, რომელ-
საც ვერავითარმა საშიშროებამა და მძინვარებამ ვერ
გაავდებინა იგი ხელიდგან, და დღეს ჩვენ, ნეტარ-
სენებულ მამა-პაპათა შთამოშვალნი, მსასოებელნი ვა-
ზის ჯვარისა, იმედით ვუჭვრეტი მომავალს...

თუმცა ძეველი გადმოუყემი გვეუბნება, რომ ჯვარი
ვაზისა წმ. ნინოს ჩაბარა ყოვლად წმიდა ღვთისმშო-
ბელმა მარიამმათ, გარნა უკუცველესს ჩვენს მატიანეში
(„მოჭუდვად ქართლისაც“) სწერია ესრეთ: „მოვიდა
(ნინო), მდინარესა მტკუარსა მოჰყა და მოვიდა მცხე-
თად, ქალაქსა დიდსა, მეფეთა საჯდომელსა, და იყო
სამ წელ ეგრეთ, ილოცვიდა ფარულად ადგილსა ერთ-
სა, შებურევილსა ბრძამლითა მაყულისაცთა; და შექმნა
სასტ ჭურასად ნასხლევისად და მუნ დაადგრა“.

ამავე მატიანის სხეა ადგილის თვით წმ. ნინო ამ-
ბობს: არმაზით „წამოვედ წინაკერძო დასასრულსა მის
კლისასა, სადა ძუელ ქალაქი ყოფილიყო, და მას ად-
გილსა ყოფილარს ციხს, და მუნ დგა ხი მშუენიერი
ბრინჯისად, მაღალი და რტო. მაღალი, მოვედ ძუეში



ხესა მას და კაშთვინაში ნიშა იგი ქრისტეს ჰუკინისამაც და ვილოცევდი მუნ ექუს დღეს".

სჩანს, წმ. ნინოს კარგად სცოდნია დიდი მნიშვნელობა ვაზის ნახელევისა, რომ მისგან გაუკეთებია ჯვარი ქართველთა მოსაქცევადა და სათაყეონოდ. ქრისტე ამბობს: „მე ვარ ვენახი (ვაზი) ქეშმარიტი და მამა ჩემი შევენახე; მე ვარ ვენახი (ვაზი) და ოქვენ რტონი; ვითარცა იგი ნახელევა ვერ ხელეწიფების ნაყოფისა გამოლებად თავით თეისით—უკეთუ არა ეგოს ვენახსა (ვაზსა) ზედა, ეგრეთვე არც თქუნ, უკეთუ არა დაადგრეთ ჩემთანა; რომელი დაადგრეს ჩემთანა და მე მასთანა, ამან მოილოს ნაყოფი მრავალი; უკეთუ ვინშე არა დაადგრეს ჩემთანა, განვარდეს გარე, ვითარცა ნახელევი, და განპამეს, და შეკრიბონ იგი და ცეცხლსა დაასხან, და დაიწუას". (იოანე, თ. 15, 1—7).

ეს ადგილი სახარებისა წმ. ნინოს მიუკერძებია საქართველოსათვის, ხოლო ეს ქვეყანა იმ თავითვე ითვლებოდა სამშობლოდ ვაზისა, რომლის ნაყოფის წვენს (ლვინოს) ამასთანავე აქვს საღვთო მნიშვნელობა და ქრისტეს დროიდგან ისმარება წმ. საიდუმლოში.

ვაზის ჯვარის თავგარდასავალი ისეთივეა, როგორიც იყო ხვედრი და ბედი ქართველთა. წმ. ნინოს მიძინების შემდეგ ეს ჯვარი ესვენა მცხეთის სამთარო ტაძარში. ცეკლა-თაყვანისშემცელთა შიშისაგამო წმ. შუშანიკი იგი გადაატანინა ტაოს, აქელგან რამდენიმე სწის შემდეგ წაასვენეს სპერს, მერე ჰქონდათ კაპოეტის ციხეში, ვანანდსა, ყარსსა და ინს. (მცხეთაში ესვენა 175 წლის განმავლობაში, კაპოეტის ციხესა და ვანანდაში 459 წ., ყარსში 164 წ., ანზი 142 წ.). მონაცემებში, რომ ანი აიღეს (1239 წ.), ვაზის ჯვარი

რუსუდან დედოფლის განკარგულებით ეპისკოპოსის
მა მოსვენეს მცხეთას. შემდეგ, საქართველოში მიმდინარე
შიშიანობა შეიქმნა, იგი დამალეს მთიულეთს სამების
ტაძარში (ყაზბეგს), მერე ანანურში და არშის ციხეს.

თქმულება არის, რომ, ვითომ, ეს ჯვარი საიდუმ-
ლოდ წაიღო რუსეთს საქართველოს მიტრაპოლიტმა
რომანოზმა (1749 წ.) და გადასცა ბაქარ ვახტანგის ძეს,
რომელიც სცხოვრებდა სოფ ლისკოვოში. გარნა ბუტ-
კოვი სწერს (ტ. II, გვ. 510), რომ ჯვარი ვაზისა რუ-
სეთში წალებულ იქმნა მეფე ვახტანგ VI ს მიერ 1724
წ. და მისმა ერთმა შვილის-შვილთაგანმა იგი უძღვნა
იმპერატორს ალექსანდრეს (1801 წ.), ხოლო ამან და-
უბრუნა ეს სიწმინდე საქართველოს 1802 წელს. ამ
ჯვარის დასახვედრად (როდესაც მოსვენებდენ საქართ-
ველოში) შეიკრიბა დიდმალი ქართველობა დარიალიდ-
გან მოკიდებული ტფილისამდის. თვით კათალიკოსი
ანტონი და უმაღლესი სამღვდელოება მცხეთას მიე-
გებნენ ჯვარს, რომელიც მოჰქონდა შმართველს კო-
ვალენსკის. კათალიკოსმა გამოართო ჯვარი და დიდის
კრძალვით, შემოსილ სამღვდელოებასთან ერთად, მოი-
ტანა ქალაქს და სიონში შეასვენა.

ჯვარი ვაზისა, რომელიც შეკრულია წმ. ნინოს
ომებით, სიგრძით არის $1\frac{1}{4}$ ალაბი და სიგრძით $\frac{3}{4}$.
მისთვის გაკეთებულია ძვირფასი გვალრუცი. თაყვანის-
საცემლიად მას გამოასვენებენ ხოლმე ტაძარში 14 იან-
ვარს, გ. ი. წმ. ნინოს მიძინების დღეს. თვით გვად-
რუცხედ შემდეგი წარწერაა: „დედაო ნინო, დედისა
ლეთისა ნიკებულსა ჯვარსა გიმკობ მეფე ვახტანგი,—
რომლითა გრნანათლე ქუეყანა ქართლისა“.

ჯვარი ვაჲისა.



(ნაწყვეტი ვ. ორბელიანის ლექსიდამ „ჯვარი ვაზისა“).

შედის ასედი *)... ხელს უსერთა ჭვარი ფაზისა,

დედა წმინდას წილებდოშავს ქვეყანას შიდის.

ვინ ხარ, ასეული, მათ მოხეკდი, რა აზრი მოგაქვს?
რაც ხელს გიბურია, მნიშვნელობა, გვათხარი, რა აქვს?..
იყერის ერთ, უამბორეთ წმინდას ფერსთ შტვერსა;
თქვენში ადაგზებს ქრისტეს ხათლის წმინდა დამპარსა!
არა! ვერ იგრძნით წმინდას სიტევა ერმა ფელურმა,
არ განაცხოვდა მასი გული სიტევამ ციურმა!
წმინდაშ ცრემლითა ცას შემართა, ხელში შექურა:
ერთ ვეღური, კერთო შესახური, ღმერთს შევეღრა.

იეჟა ცამან, იჟექა ცამან,
გვინესათ ხმა შისცა დაბლა ქვეყანაშ;
შეირეა შიწა, შეირეა ზენა,
ბნელმა შითიტეა ცა და ქვეყანა...
აღდგა გრგეინეთა მრასხანე ქარი,
აენთა ცეცხლით ბნელი ცისკარი,
შეუსვენებლად ცა სწერს და ეღავს,
ჭავრი ცეცხლით და ადამ დედავს,
სეტევა და შეხი მიწის შირს სტემუნ,
მრისხანე ქარნი ხეთ ძარით ჰერეჭენ,

*) ლექსიში აწერილია მოციქულთა სწორის წმ. ნინოს მოსვლა საქართველოში.



ცეცხლის ისრთა ცა შიწას ესვრის, ერთოვეული
ირუება მიწა, ბუნება გვნესის...
ცაშ მთაკრიაფა, რაც ჭქონდა ძალი
და მიწას დასცა ცეცხლი და აღია:
მთანი და პარნი დასქდნენ, დაიუგნენ,
კერძო შისხურთ დმერთინა ქვესკნელს ჩაინთქნენ...
თვის შრისხანთა ცაშ შეავენა,
მზემ უხვის სხივით მთართო ძველანა.
წმინდის ფერთ წინა დაქმთ ერთ,
წმინდაშ მას ჯვარით დასწერა ჯვარი!

არა, სუნჯე დაზი რამ დაგვიჩა:
ჯვარი ფაზის!.. მადლი იმ ჯვარის
ჩვენს სამშობლაზედ, ჩვენს ერზედ არის!

ბ) წმ. შუშანიკა

ის ეს ნინოს ჯვარი წმ. შუშანიკე, თავის წამე
ბის რაოდენიმე ხნის წინად, მცხეთის ტაძრიდამ გამო-
ასვენა და ჰაზარუვანქის მონასტერში დასვენა.*). შუ-
შანიკი იყო ცურტავის პიტაშის მეულლე და ასული
სომხეთის მხედართმთავრის ვარდან მამიკონიანისა (ეს
ვარდანი ცეცხლის თაყვანისმცემლებმა აწიმეს 451 წ.
2 ივნისს). ვასქენი და მისი ერთ მართლმადიდებელნი
იყვნენ. მშევნიერის შუშანიკისაგან მას ჰყვანდა სამი
ვაერ და ერთი ასული. იმ დროს სპარსეთის ყაენი იყო,
თაყვანისმცემელი ცეცხლისა და მოძულე ჭრისტიანო-
ბისა. საქართველოსა და სომხეთში, რომელიც მაშინ

*) ჰაქრაძის სატორია, გვ. 177.

მართლმადიდებლობას იღიარებდა, ყავნმა გამოსტავნის და
თავის რჯულის მქადაგებელნი და ლაშქარიც. ვასტენის
ულალატა სამშობლოსა და ქრისტიანობას, ეხლა ყავნს,
ცეცხლ თაყეანისმცემლობა იჩქმუნა და რანისა და ცურ-
ტაეთის მრჩეპანად შეიქმნა. მისი განდგომა რომ შე-
იტყო შუშანიკმა, სასახლე დასტოვა და თავის შვილე-
ბით შევიდა ეკალესიაში, მწერის ფამი მოისმინა, შვი-
ლები შეავეღრა ღმერთს და მერე დაბინავდა ერთს
მცირე სახლში, რომელიც იქვე ეკალესიასთან იყო.
ვასტენი ცურტაეთს რომ მოეიდა, ძლიერ იწყინა, და-
იბარა შუშანიკი და იგი არ გამოცხადდა. მაგრამ შემ-
დეგ იძულებით მიიყვანა სასახლეში, ბევრი ს ცემა,
სტანჯა და საპყრობილები შეამწყვდია. დატყვევებულს
დედოფალს წინ ესვენა ნინოს ჯვარი და განუწყვეტ-
ლიად ლუკულობდა. მისი შვილები ვასტენის ძალმომ-
რეობით ცეცხლ-მსახურებად შეიქმნენ. ფრიად სწუხდა
შუშანიკი და მოელოდა თვისის აღსასრულის დღეს.
ექვსი წლის განმავლობაში იგი იტანჯებოდა საპყრო-
ბილები. მის სანახევად ქართლიდგან მოდიოდნენ კა-
თალიკოზი სამოელ, აზნაურნი, დიდ-დიდნი სეფე ქალნი,
დედანი, აზნაურნი და უაზნონი. მემატიანე იტყვის:
„დიდ არს დასაბამი ტანჯუათა მათ წმიდისა შუშანიკი-
სათა თუმა აპანისასა *) შერვესა, დღესა ოთხშაბათსა და
მეორედ გვემა მისი აღვესებისა ზატიკესა და კვალიად
ტანჯვაცა ვარდობის თთუმა ათუხრამეტსა და აღსრუ-
ლებად მისი თთუმა აკლონბერსა ათშვდმეტსა“. (458 წ.)

წმ. შუშანიკის გვამი დასაფლავებულ იქმნა იქვე
ცურტაეთის ტაძარში, სიიდგან იგი მოასვენა ტფილისს

*) აპანი · მანვარი.

|| კითხოვთ კურიოსის და დაკარგებლის მეტების წარმოება
ში. მის სხეულის ქართველთა ეცელესია დღესასწაუ-
ლობს 28 ავგვისტოს.

გ) წმ. ჩხა.

პრო—ქართველი განმშევნების, რეზალისა ემზების.

ნიკოლოზ ტფილელი.

აბო შითამომავლობით იყო არაბი და სტერეოობ-
და შე-VIII საუკუნეში. მაშინ საქართველოში მცირებ-
არებდენ არაბი. აქებურ არაბებში თავის ქალაქების ამი-
რა მუშალ აბდილის ჭინაშე დაასმინეს საქართველოს
ერისთავთა ერისთავი ნერსე, რე ადარნასე კურატპალა-
ტისა. აბდილამ დაბარი ნერსე და საპურიშილეში შე-
ამწყედია. ამის შემდეგ გაეიდა ვ წელიწადი, აბდილა
მოკუდა და ამირაბი მიიღო მისმა შეილმა მაჰლიშ, რო-
მელმაც გაანთვეის უფლა ნერსე და გამოისტუმრა. მას
გამოცეცა 18 წლის კაბუკი აბო, რომელიც იყო „შე-
ლოვანი და კეთილად შემშავებელი სუნელთა და საკუ-
ხებელთა და სწავლულ იყო მწივნობრობით სარკინო-
თათა“. იგი რომ მოკიდა საქართველოში, გულშოდე-
ნედ შეისწავლა ენი ქართველი, ძეელი და ანილი ალ-
თქმის წიგნები და შეიყვარა ქრისტე და მისი მსახურე-
ბა. გარნა აქებურ სარკინოზთა შიშისაგამო აშეარად
ვერ ალიარებდა თავის ქრისტიანობას. ეს არაბი კვლავ
გადაეკიდნენ ნერსე მთავარს, რომელიც იმულებულ
იქმნა თევზი სახლობა და ესინა აფხაზეთს და თევითო-
ნაც გაეცეულ იყო 300 კაცით ოსეთსა და ხაზარეთს.
მის ამაღლაში იყო აგრეთვე აბოც, ხაზარეთში მაშინ



საქმიოდ გავრცელებულიყო ქრისტიანობა და უძვირდებოდა მივიღნენ, აბო გაქრისტიანდა. ხაზარეთიდან ნერსე გადავიდა აფხაზეთს, საკა აბო მხურვალედ მარხულობდა და ლოცულობდა. ექ დაპყვეს მათ სამი თვე, მეტე შეიტყვეს, რომ ამირა მაჰდოს საქართველოს ერისთავთერისთავად დაუნიშნავს ნერსეს დისწული სტეფანოს გურგენის ძე. ნერსეს ფრიად გაურისდა და დაბრუნდა ხამშობლოში. აბოც მოვიდა ტფილისს და 3 წელიწადი დაპყო ჭალაქში „განცხადებულად ქრისტიანედ“. შემდეგ იგი შეასმინეს ტფილისს ყადს. აბო დაიბარეს ს.მ. ჯავროში და ჰეითხეს: „შენ შთამომავლო ბით არაბი ხარ და რად ქრისტი ნობ? აბომ მოასხენა, რომ ქრისტეს სჯული ჰეშჩა-იტია. ყადმა შეაგდო საპყრობილები (27. დკ. 785 წ.). აბო უფრო ფიცხლად შეუდგა ქრისტი ნულ წესების ალსრულებასა, უმატა ლოცვასა და მარხვას. ყადმა ეს რომ შეუტყო, განრისხდა და ჯალიათებს უბრძანა თავი გაავდებინეთო ჯალიათებმაც წარმკევეთე, თავი აბოს ყადისაც ეზოში და შემდეგ მისნი ნაშთნი ტომარაში ალაგე, შიორიანეს ავლაბრის ხიდის ყურთან, ადგილსა სავოდებელსა, საკა იყო სასაფლაო, და დასწვეს (786 წ. 6 იანვარს).

აბო შეირაცხა წმიდათა შორის და მისს სახელობაზე მეტების კლდეში გამოკვეთილ იქმნა მცირე საბლოცველო. *)

*) წმ. აბოს ცხოვრება შედგენილი საბანისის მიერ მეტრე საუკუნის დამდეგს, შეტანილია მე-IX საუკ. ხელნაწერებში (საკულ. მეს. №№-ები 19 და 95).

დ) წმ. დავით გარევალი.

საბულონის ეპარქია

ქალაქ ტფილისში მოღვაწეობდა აგრეთვე ერთი ათცამეტთა კაბადოკიელ მამათაგანი—წმ. დავითი, რომელსაც სენაკი ჰქონდა იმ კლდეებში, საცა ახლა ცნობილი მთაწმინდის ტაძარია. ქალაქში მოღვაწეობას იყი გაეცალა მისთვის, რომ მას ცილი დასწამეს. ცილის დამწამებელი, როგორც თქმულება გაღმოგვცემს, იყო ერთი დედაკაცი, რომელიც სცხოვრებდა იქ, საცა ახლა ქვაშვეთის ეკკლესიაა. ამ დედაკაცს ქმარი არა ჰყვანდა და დაორსულდა კი. მას რომ მხილება დაუწყეს, სთქვა: „დავორსულდი დავითისაგანო“. სამსჯავროში იირუნდა დავითი ჩვენების ჩამოსართმევად. დავითი რომ მოვიდა, ის დედაკაციც იქვე იყო. დავითმა ოვისი არგანი შეახო ორსულ დედაკაცის მუცელს და წარმოსთქვა: „ყრმაო, მე ვარა მამა შენი?“ ყრმამ ხმა მოსცა მუცლიდგან: „არა! მამა ჩემი შეკედელია“. დამსწრეთ ძლიერ გაუკვირდათ და მათი გაკვირვება გაორკეცდა, როდესაც მცირე ხნის შემდეგ ორსული დაწვა და შობა ქვა, რის გამო იმ ადგილს დაერქვა ქვაშვეთი. ხოლო დავითმა აღარ მოინდომა დარწიმე იმ ქალაქში, საცა მას ცილი დასწამეს, აღგა და წავიდა გარესჯის უდაბნოში და იქ იშეკრ მუშაკობა და მოღვაწეობა. იმისაგამო დავით მთაწმინდელი შეიქმნა დავით გარესჯელად.

პ. ტაძარნი.

ტფილისის ტაძართა შორის ყველაზე უძველესი არის სიონისა და მეტების ტაძრები. მათი საძირკველი ჩიყარა და ბალავერი მოშენდა მაშინ, როდესაც მეფე ვახტანგ გორგასალმა დააფუძნა ქალაქი ტფილისი, მანამდე ციხედა და სოფლად ყოფილი.. მას შემდეგ ტფილისში აშენდა მრავალი ეკკლესიები, რომელთა მოქალე აღწერას ვურთავთ აქვე მათის დაარსების დროამის მიხედვით.

1. მეტების დვაის შშობლის ტაძრის შენება დასრულებულ იქნა ვახტანგ გორგასლის დროსვე. იგი დაიდგა მეტების ციხის შუაგულს, ბეგობზე, საიდანაც შშვენიერად მოსჩანს ტფილისის არქმარე. მოელი ბეგობი მოლიანი კონცხია და ამასთანავე მიუდგომელი და მაგარი, რის გამო დარქმევია მას თვისი სახელიც.*.) თვით ტაძარი ძეველადგანვე ყოფილია სასახლის კარის ეკკლესიად. მასში არა ერთგზის მოუსმენია წირვა-ლოცვა თამარ წმინდას, რომელიც მისვე ახლოს, ისნის სასახლეში გარდაიცვალა. გაახლებულია მხოლოდ ტაძრის გუმბათი, ხოლო დანაშენი ისევ ვახტანგის დროისაა. ქვის გუმბათი გაახლა

*.) სწერენ, ვათომ, მეტები იქნა ბერძნული მეტოხის (Metochos), გარსა ჩექნ ბგერნია, რომ იგი წარმომდგარა სიტვიდამ ტეხა (შერის ტეხა, შტრის გატეხა და ს.), რომ-დისაგან დაშენდა ტეხება (ფ. გ-ჭანიძე, გვ. 112), მტეხა (=მეტები).

დიმიტრი თავდადებულმა (1289 წ.); მეფე ქართველმა გრამატი სათოფ-წამლედ აქცია (1661 წ.), ხლალ შეტე ერეკლე I (ნაზარ-ალი-ხან) გადასცა იგი ყიზილბაშებს ციხითურთ; ერეკლე II გამშვენა ტაძარი, გარნა 1795 წ. დაზიანეს იგი ყიზილბაშებმა. მის აღმოსავლეთის კედელზე, გარედან სწერია:

მეფე ერეკლემ ეს ციხე შეტერთა წაართო შავადღი;
აიღო ჭერი ქრისტესი, წინ მააძღვარა ფარადღი;
დაისნა ეკკლესიანი, ახლა აქვთ სისლის კრადღი;
დევთის მოუფარესა ხელმწიფეს ესე სტირს ამას გუარადღი.
დევთის სადადებლად, მეოხედ მეფის ერეკლესია.

1795 წელს, ყიზილბაშების შემოსევის ეჭმი, დაიკარგა ტაძრის ზატი, რომლის სამზეიერო გამოვზავნა პეტერბურლიდან ბატონიშვილმა სალომემ, ოულონის მეუღლემ. ეკკლესიისავე ეკუდერში, როგორც ვსოდეთ, არის საფლავი წმ. შემანიკია.

2. საონის ღვთას-მშობლის ტაძარი, დედა ეკკლესიაა და სიონად წოდებულია პალესტინის სიონის მიხედვით. ეს სიტყვა (სიონი), რომელიც ნიშნავს კლდეს, ძველი დანვე შეითვისეს ქართველებმა და სიონი უწოდეს აგრეთვე მრავალს ეკლესიებს. *) როგორც ზემოთაც ვსოდეთ,

*) საონის სამშვადდისა (აშენდა 410—434 წ.), საონია ბოდნისისა (408—410 წ.), საონი ერწოისა (668—718 წ.), საონი კავკასიონისა (კაზაბეგთან, დარაედის ხეობაში), საონი ატენისა (მას ქედებზე დ. ბაქრაძემ ამთავითხა: „თვეეს აკვისტოსა ხუთსა დღესა შაბათსა ქსა თბ (853 წ.) ზედა წელს სარგანოზისა ტფილისა დატევევა ბუდამ და შე-



სიონის საფუძველი ჩამყარა მეფე ვახტანგ გორგაშავალები
ხოლო მის ოშენების მოუნდნენ მეფენი დაირ, ჰერთამის ქურე
ადარნასე (619—639 წ.). ძველი მატიანე სიონის შე-
ნობის დასრულების შესახებ შენიშნავს, რომ იმ დიღს ეკ-
კლესიას ოშენებდნენ: მეფე გურამის დროს—ნახევარსა
ყოველი ერი და ნახევარსა ერთსთავნი; ხოლო ადარნასეს
დროს (622—628 წ.)—ნახევარსა ოშენებდა ყოველი ერი
და ნახევარსა ერთი ვინმე დედა-კაცი, და 628 წელს
სიონი განისრულეს მკვიდრთა ქალაქისათა.* სიონი იგე-
ბულიყო ივლით, გარნა თლილის ქვით (ალგეთის ქვა)
გაახლებულ იქმნა შემდეგს საუკუნეობში. ამ მოკლე
ნუსხა სიონის თავებიდასავლისა: მე-XIII საუკუნეში სიო-
ნის გუმბათი ჩამოაგდო ჯალალ-ედინ სულთანმა, ტახ-
ტად დაიდგა და მისხე მჯდომარე სიამოუნებდა ქართველ-
თა აღწყვეტის ხილვით. მე-XIV საუკ. ტფილისი შემუსრა
და სიონი გააოხრა ლანგოვემურმა. 1518 წ. შავ-ისმისილმა
აიღო ტფილისი, დაანგრია მისნი ტაძარი და სიონის
ლეთისშობელი მტკვარში ჩაიგდო. 1795 წ. იღა-მაჭ-
მაღ-ხანმა გადასწვა სიონის კანკელი და აღზნებულ ცე-
ცხლის ბოლომა შემურა ძველი მხატვრობა; ყიზილბაშებმა
ამავე დროს შეიძყრეს ტფილელი მიტროპოლიტი დო-
სიონეოზი და მტკვარში ჩაახრის. სიონს ძველიც ჰქონდა

იშერა, ამართ სააკა შოკდა და მასევ თვეეს აგვისტოსა კვა-
რთავისა დღესა შაბათსა გეზიარი შეაშერა კასაშ და შე მისი
თარხუნა*), სიონი უწერისა, სიონი გარევისა (VI საუკ.),
სიონი წმინდა ანუ ხანოწმინდა (ქომულევიში), სიონი შადგა-
სა (დაანგრა XI საუკ.), სიონი ჭარისა (ააშენა დეან მეფემ
1536 წ.).

*) ე. თავაიშვილი. საში ქრისტიან. 34, 36, 45.

ერთი ეკუდერი—პეტრე-პავლესი, რომელიც 1804 წელი
მთავარმართებლის ციციანოვის სურვილით აღნიშვნილიყო
ნეველისად შექმნეს, ხოლო 1818 წ. სალაროდ; მის
მაგიერ ექსარხოსმა თეოფილაქტემ სხვა ეკუდერი მიუ-
შენა სიონს სამხრეთის მხრით. სიონის ძელი კანკელი,
როგორც საზოგადოდ ყველა ძელი ეკულებითა, ქვისა
იყო და დაბალი. შაპაბაზის შემდეგ († 1628 წ.) ქვის კანკე-
ლის მაგიერ გაუკეთეს ხისა, რომელიც როგორც ვსთვით,
გადასწვეს ყიზილბაშებმა 1795 წ. ახლანდელი მისი კან-
კელი ანდრიატისაა (თაბაშირისა) და როგორც კანკე-
ლი და ისე ტაძრის ყველა მხატვრობა, დაბატულია თავა-
ლის გაგარინის-მიქრ. იატავი სიონისა დაგებულია მარ-
მარილოს ქვით. ძელიდ სიონს სამრეკლო პეტრიდა ჩრდი-
ლოეთის მხრივ და ორ-სართულიანი, აგებული 1495
წ. ზემო სართული მოაგდებინეს ყიზილბაშებმა 1795
წ. ახალი სამრეკლო, აშენებული 1816 წ., დგას სიო-
ნის წინ, სამხრეთის მხრით.

სიონს ძექს ძეირფასი და წმინდა საუნჯეები; მათ
შორის ყველაზე შესანიშნავია ა) ნინოს გაზის ჭვარი,
რომელიც უკვე ავსწერეთ, ბ) ტაძრის სარი—ღვთის-მშობე-
და; სიონის ძელი ხატი 1522 წ. ყიზილბაშებმა ჩაგდეს
მტკვარში, გარნა იგი გამორიყა წყალმა ნაეთლუსს, საი-
დანაც, სპარსელების წასელის შემდეგ, ისევ მოიტანეს
და სიონშივე დაასკენდეს. 1724 წ., ომალოთ შემოსევის
ეამს, ხსენებული ხატი დაიკარგა. მის მაგიერ ბატონი-
შვილმა გიორგი ვახტანგის (VI-ის) ძემ შესწირა (1762 წ.)
სიონს ახალი ხატი ღვთის-მშობლისა, მორთული და მო-
ჰედილი დიდითა და ძეირფასის თვლებით (200-მდე ლალია,
70 ალმასი, 160 იავუნდი, 90 ზურმუხტი, 70 ფირუზი,
600 მარგალიტი და სხ.); გ) კახეთის ნინოწმინდის ხა-



ეპისკოპოსო ტაძრის ხატი წმ. ნინოსი, გაღმოყვანილუადა
სიონის ტაძარში 1825 წელს. ამ ხატის ქვემოთ შემოწმება
ინახება წმ. ნაწილები, იგი მოკედილია ოქროთი და აქვს
37 მწვანე ზურმუხტი, 28 მარგალიტი, 29 წითელი ლალი,
რომლისგან თრი ფრიად დიდია, და ერთი ოთხკუთხოა
ვანი დიდი იაგუნდი. მოკედილობის ზემოდ არის წარ-
წერა, რომლილგანაც სანს, რომ ეს ხატი ნინოწმინდის
ტაძრისათვის შეუწირავს მეფე არჩილს; დ) აქვე ინახებო-
და ის ხატი, რომელიც დაიკარგა სპარსთა შემოსევის
დროს 1795 წ. ეს ხატი იყო პირი ძველი ხატისა, რო-
მელიც შაპაბაზმა სხვა საუნჯეებთან ერთად წაილო სპარ-
სეთს (XVI საუკ.), გარნა 1620 წლის უახლოეს ზანს შე-
იძინა იგი (ხატი) რუსის ვაჭარმა სტეფანემ და წაილო
კრასნოგორის მონასტერში (არხანგელის გუბერნია),
ხაცა დაშთა აქამიდე. ამ ხატს რუსები „ქართველთა
ხატს“ ეძინიან და მის საოხად აშენებულია ტაძარი მოს-
კოვს (ნიკიტისკოვი); ამას გარდა საყურადღებოა აგრეთ-
ვე ძვირფასი ნივთები: საპატრიკარქო გვირგვინი, რო-
მელიც ლირდა 7,000 პ. და რომლისაგან 1830 წ. გა-
აკეთეს მიტრა; თრი მიტრა ალავერდის ტაძრისა, მოტა-
ნილი ტფილის—ერთი 1818 წელსა და მეორე 1820 წ.
(ალავერდის საეპისკოპოსოს გაუქმების წელიწადია);
მიტრა მროველ ეპისკოპოსისა; მიტრა მანგლელისა (რუ-
სულანის დროისა), რომელიც იხლა ინახება მოსკოვის
მიძინების ტაძარში; მიტრა ხამთავროს მთავარეპისკოპო-
სისა; ქათალიკოსთა ფოსტლები, რომელსაც იგინი იც-
ვამდნენ წირეის დროს.—სიონის ტაძარში ქმარხიან:
სიონის მაშენებელი კურატპალატი გურამ († 600 წ.),
რომლის დროს დასრულდა ამ ტაძრის შენობა, იმანა
მხარგრძელი, თამარ-დედოფლის სპასალარი, მთავარმარ-

თებელი პავლე დიმ. ციციანოვი († 8 თებ. 1806 წელს)
ი. პ. ლაზარევი, რომელიც მოჰკული მარიამ ჭულოვადა
მა 19 აპრ. 1803 წ. და სხ.

სათნაის ეშასქმდოსნა:*) იასე (496 წ.?), ანტონი
თაულახე, მანვლელ ყოფილი (1047 წ.), გრიგორი I
(1258 წ.), იოანე I (1413 წ.), იოანე II (1434 წ.),
მანგლელ-ტფილელი, წოდებული, დავით (1429 წ.),
გრიგორი II (1442 წ.), მანგლელ-ტფილელი, ბართლომე
(1444 წ.), ქრისტო (1445 წ.), ნიკოლოზ I (1460 წ.),
რომელიც მოხსენებული პაპის მიერ ბურგუნდის ლერუა
გისადმი წარგზავნის წერილში, იოანე III (1462 წ.), აბრამ
(1486 წ.), ფრიად განათლებული კაცი, სიმეონ (1507 წ.),
იოანე IV (1518 წ.), დომენტი I (1520 წ.), იოანე V
(1541 წ.), ტფილელ-მანგლელი, დანიელი (1577 წ.),
ბარნაბა (1592 წ.), იოსებ I (1698 წ.), ნიკოლოზ II
(1619 წ.), დომენტი II (1690 წ.), დომენიხ (1621 წ.),
ელის საგინაშვილი (1628 წ.), განთქმული მწერალი და
ათონის მოხახილივად წასული (1640 წ.), კირიაკი, ბარ-
ნაბა II, ძოსებ საკაძე 1662 წ.), წასული მოსკოვს,
რუსთა პატრიარქის ნიკონის ვასიმართლებლად შეყრილს
კრებაზე დახასწრებლად და მოკლული ბაზალეთის ომში
(1688 წ.), სიმეონ II (1700 წ.), დომენტი III, ორბე-
ლიანი (1701 წ.), ტფილელ-ბოლნელი, ფრიად განათლე-
ბული მღვდელ-მთავარი, ნიკოლოზ III (1703 წ.), ლვითის-
მერცვალი, საკულტერი საგალოობელით მწერალი და უმ-
თავრესი მებქე მეფე ვახტანგ VI-იხა, პავლე (1705 წ.),
არქენი I (1713 წ.), ევთონე (1718 წ.), ათანასე ამი-
ლახვარი (1749 წ.), რომელიც ვახტანგ მეფეს წამყვა

*) Древн. Тифл. გვ. 169.

რუსეთს, აშტარხანს არქიმანდრიტობა მიიღო, 1733 წელი
მროველობა, 1752 წ. ისევ რუსეთში წევიდა და მარტინი შევა
მოსკოვს გააწყო ქართული სტამბა, ქრისტეფორე თუმანი-
შვილი (1762 წ.), ამშენებელი ტფილელების სასახლის
მ.რნისა, რომელსაც აწერია: „ჩვენ თუმანიშვილმან თფი-
ლელ მიტროპოლიტმან ქრისტეფორემან ესე ზედაშისა
მარანი აღუაშენე. ეისაც ამა მარნიდან ან ზედაშე ან
დანო მოგაროუასთ, ან ეს წერილი აღმოიკითხოთ, ცო-
დვისა შენდობა გვძოძეთ, თქვენც თქუენის ცოდვისა
შენდობა გვძოძოსთ. წელსა ჩოხა”; ამავე ქრისტეფორემ
განამშევნი ხევკულესით გალობა; მიქელი (1771 წ.), გერ-
მონე (1784 წ.), რომლის დროს მოღვაწეობდა მღვდელ-
მოძღვარი და განთქმული მქადაგებელი და მთარგმნელი
ითანე ისეშვილი, ეფრემ (1786 წ.), „სირი, ფსალმუნთა
შეტკინი”, დოსითეოზი (1787 წ.), დარია დეჭოფულის
მოძღვარი და მტკვარში ჩხერჩობილი სპარსთა მიერ 12
ენკ. (1795 წ.), ორსენ II ნაიბაძე, ბატონიშვილის აბდუ-
ლა-ბეგის შვილი, იგი სასულეურო სამართალში მის-
ცეს 1810 წელს და გადააყენებს. მოკვდა 30 ნოემბ.
1812 წ. და ამ დღიდან მოიხსოვ ტფილელობაც.

3. საედარი წმ. ჯვრისა, აშენებული იმავე დროს,
რა დროსაც დაიდა საფუძველი ქ. ტფილისისა, გაოხ-
რებულ იქმნა ლანგოთმურისაგან. იხალი ტაძარი ქველის
საძარკველზე აგებულია მე-XV საუკუნეში. იგი ძველიად-
განვე ითვლება სადგურიდ იქრისალიმში მყოფ ქართ-
ველთა მონასტრების ბერებისა—წმ. ჯვრის მონასტრისა
(IV—V საუკ.), წმ. მოციქულის იაკობისა, ძმისა უფ-
ლისა და წმ. წინასწარმეტყველის ილიასი (განამღებუ-
ლი დადიანის მიერ მე-XIII საუკ.). ამ ტაძარს მეფე
სციმონმა († 1611 წ.) შესწირა სამღებრო სოფ. დიაბას



და სხვა მეფეთაგანაც შეწირული ჰქონდა სოფლუბრები კუმები და ულუფა, ხოლო მისი წინამძღვარი შეწირული უკვე უგზავნილი იქრუსალიმის ქართველთა ტაძარს, უფლის საფლავის ტაძრად წოდებულის. ამრი ამ შეწირულობათა და თვით საღვურის დაარსება ტფილისში ის იყო, რომ ამ საღვურის მეოხებით საქართველოს ჰქონდა მუღმივი კავშირი პალესტინასთან. წმ. ჯვრის წინამძღვართაგან ცნობილნი: ა) ნიკიფორე (1635 წ.), რომელიც შემდეგ შეიქმნა მთავარ-ეპისკოპოსად კვიპროსის კიკევის მონასტრისა და მოციქულად წარიგზავნა რუსეთის წინაშე მიხეილ თეოდოროვიჩისა და პატრიარქის ფილარეტისა, ბ) პართენი (1678 წ.), რომელიც გაჰყვა რუსეთს არჩილ მეფეს, გ) ათანასე, თანამედროვე ერეკლე II-ისა და შემდეგ პატრიარქი იქრუსალიმისა, დ) პენედიკოტე, ბერძული-დამ ქართულად მთარგმნელი წიგნისა „თეალტონ“ და შემდეგ მიტროპოლიტი ბეთლემისა, ე) თადეოზი, ვ) იაკობი, ზ) იქროთეოზი, ვ) კესარიონისი, თ) დანიელი († 1859 წ.), ი) პროკოპი, განმახლებელი ეკკლესიისა 1861 წელს და სხვ. ამავე ტაძარში დასწერდს თვისი მოგზაურობა საქართველოში პატრიარქებმა: ინტიოქიისამ დოსითეოსმა (1520 წლის ახლოხანს) და იქრუსალიმისამ პაისიოსმა (1658 წ.) და დოსითეოსმა 1689 წ.

4. მთაწმინდა არის ფრიიად დიდი სათაყვანო აღვილი ქალაქის უკელა მცხოვრებთათვის. მთაწმინდის ტაძარი აღმართულია მთის ფერდობზე და ამ მთასაც ჰქვიან მთაწმინდა. ტაძრიდგან შშვენიერი სახილველია მთელი ქალაქი, იქიდგანვე მოსჩინს ზედაზნისა, მახათისა და სამცორის მთები და იგრეთვე შეინერი. როგორც ზევითაც ვსთქვით, იქ მოღვაწეობდა მამა დავითი (შემდეგ „გარეჯელად“ წოდებული) და მას ჰქონდა მცირე ეკკლესია,

რომელიც შე-X საუკ. გააღიდეს და მონასტრად აღმოჩენებული
ეს უკანასკნელიც განახლებული იქმნა 1592 წელის დასაბუძებით
და ნიკოლოზ გაბაშვილთა მიერ. გარნა ესეც მოოხრდა
და განახლებული იქმნა 1809 წ. ქვაშვეთის მღვდლის თო-
მა გრიგორიევისაგან. ეს განახლებული ტაძრი კათალი-
კოს ანტონის ბრძანებით აკურთხა არქიმ. ტრიფილემ
1810 წელს. 1817 წ. გაუკეთდა ვრცელი გზა. ბოლოს
გრიგორიევის მიერ აგებული ტაძარიც დაანგრიეს და მის
მაგიერ ააგეს აწინდელი ტაძარი. ერს დიდად სწამს ეს სიწ-
მინდე, რომლის მოსალოცად თავს იყრის ერთ ყოველ
ხუთშაბათს. დღეობა ტაძრისა მოდის ამაღლების სწორზე.
ტაძრის ეზო-ყურეში ჰმარხიან: ა) დავით († 1824 წ.),
ბ) ტომარი თელავის სეჩენარიისა, მეტად განათლებული
მოღვაწე შე-XVIII საუკ. დასასრულისა, ბ) დიმიტრი ყი-
ფიანი, გ) რუსის გამოქვერილი მწერალი გრიბოედოვი,
დ) მისი მეუღლე ნინო, ასული ჭავჭავაძისა და სხ. ტაძ-
რის გვერდზედ მცირე მაღაროა, რომელშიაც გროვდება
მთიდგან ნაყინვი წყალი. მთელი მთაწმინდა უტყეო იყო
და ტყის გაშენებისთვის მხოლოდ ეხლა ზრუნვენ. მთა-
წმინდის აღწერას ესასრულება ნ. ბარათაშვილის ლექსით:

შემოღამება მთაწმინდაზე

„პოვ მთაწმინდავ, მთათ წმიდავ, ადგილი შენნი,
დამატიერებული, ეტანანი და უდაბურნი,
კითარ აშვენონ, როს მონამენ ცვარნი ციურნი,
ოდეს საღამოს დავშვენ, ამოს, ციავნი ნელნი!

ფითარი მაშინ იდუმალობა დაისადგურებს შენს არე-მარეს!
რა სანახავი წარუტყეოს თვალთა მაშინ შენს ტურეას სერზედ მდგო-
მარეს!
ძირს გაშლილს, ლამაზს, კელსა ყვავილნი მოპდენენ, ვითა ტაბლას
წმიდასა!
და, ვით გურდრუქსა სამაღლობელსა, შენდა აკმევენ სუნელებასა!

მახსოვეს იგი დრო, სამით დრო, როს ნაღვლიანი, ერთიანული
კლავი ბენდივანი, შენს ბილიკად მიმოეტოდი, გირდანისა
და წყნარს საღამოს, ვით მეცობაზე შემოვდიტეთდი,
რომ ჩემებრ იგიც იყო მწერარ და სკვილიანი!

ოჲ, ვით ყოველი ბენებაც მაშინ იყო ლამაზი, მინაზებული!
ჟე, ცაო, ცაო, ზატობა შენი ვერ კიდევ გრძელებ მაქას დაჩინეული!
აწერა რა თვალი ლაქებრდს გიხილვენ, მყის ფიჭანი შენდა მოსი-
მაგრამ შენამდინ ვერ მოაწევენ და პატივე განიბნევიან!

ჟე, შემსა მკერეტელს მავიწყდების საწუთოება!
გულისოქმა ჩემი შემს იქითა... ეძიებს საღვურს,
ზენართ სამყოფს, რომ დაპიროს აქ ამოვება...
მაგრამ ვერ სცნობენ, გლახ, მოკვდავნი განგებას ციცას!

დაფიქტებული ვიდე სერწედა და, ცათა მიმართ მხირიალს
ტრიფიბითა, შემომერტყმოლდა მაისის მწერი, აღმვიები ნაპრალთ მდემარებითა;
ხანდისან ნელად მქროლი ნიავი ლელვთა შორის ალმოკნესადენ,
და ზოგჯერ ჩემი შემოვარენი ამით ჩემს გულსა ეთანმებოდენ!

მთავ ცხოველო, ხან მექნარო, ხან ცრემლიანო,
უნ მოვიხილოს, რომელ მყისვე თვისხა ფრქით შევება
არა იპოვნოს და არ დაპიროს გულსა ვება, გომის მარტო
გულდახურელთა მეცობარო, მთავ ღრუბლიან!

ჰედუმდა კოველი მენ არე მარე; ბინდო გადავრა ცასა კამარას;
მოსდევს მთავარეს, ვითა მიჯნერი, ვარსკვლავი მარტო მისა ავარას.
გინახავთ სული, ჯერეთ უმანეს, მხტრვალედაც ვით მოქანულია!—
მას ჟავედა მოვარე, ნახად მოარე, დასკო გადახრით შექ-მიბინ-
დული!

ამ გვარი იყო მთაწმიდახედ შემოღმება!
მი ადგილნა, მახსოვეს, მახსოვეს, რასაც ვუკერობდი
მე თქვენთა შორის და ან რასაც აღმოვიტყოდი!

მაოლოდ გული ჰერმნობს, თუ ეითარი სიძვენით მას შევება!

ფი საღამოვ, მყულროვ, სამოვ, შენ დაშთიაჩემებდა სანუეშებლად!
როს მკმენერება შემომესევის, შენდა მოვილტვი განსაჭარვებლად!
მწერი გულისა — სევდა გულისა — ნეგეშსა ამას შენგან მიიღებს,
რომ გამონდება დილა მშიანი და ყოველი ბინდსა ის განახოლებს!

მთაწმინდა დიალიკ რომ „აღუშეფოთებს“ სულის ყვავები ველს ქართველს! მთაწმინდა ორის მრავალ-საუკუნეობის მოწამე იმისი, თუ ვითარ ბედმან სასტიკან „სიმრეველე ციხა ჩვენთვის რისხვით წამოვგრევნა“, თუ რაოდენ გზის აოხრდა ტფილისი ულმობელ მრერთვები, რაოდენი მართალი სული დაიკლა, რაოდენი ხისხლი დაიღვარა!

მთაწმინდა ის წმინდა აღგილია, საცა დავით მეფე (1505—1524 წ.), ბერად აღეცეცილი, მოლვაწეობდა და ზენარს ავედრებდა თავის ხიმწყსოს, და აქვე აღსრულა და აქვე შთაიფლა.

მთაწმინდა ის ნუგეშის საცემლოა, საცა მეფე ერეკლე II დაბინავდა დროებით და მიეცა ვლოვასა და მწუხარებას თავისის შეილის სოლომონის გრძაცეა. ლეპისა გამო.

მთაწმინდა ის ძლიერი და საპატიონო აღგილია, რომელსაც ვერ მიეკარნენ აღა-შავმად-ხანის მეომარნი 1795 წელს და რომლის ძლიერებამ გადაარჩინა უწყალო სიკედილიხავან 50 მოქალაქენი, აჭ შეფარებულინი.

მთაწმინდა მთაა წმინდა, მთა ძლიერი და მის სალს კლდეზედ დამყარებულია ბედი ქართველისა!

ა. ანისისარი ავებულია მტკერის ნიპირა კლდეზედ კათალიკოზის ბაბილეს მიერ ადარნასეს დროს (614—639 წ.)—სახეად ლეთისმშობლის შარიიამის შობისა. ტაძრის კაშარა ფა გუმბათი დამყარებულია სამს სვეტზედ. დასავლეთის შერით მიღვებული აქვს ხამრეკლო, რომელიც ააშენა (1675 წ.) კათალიკოსმი დომენტიმ, მეფე ქახათოსროს ქემ. ტაძრის ეზოში სამხრეთის შერით ქალაქის აოხრებამდე (1795 წ.) იყო სასხლე, საღვარი კათალიკოზის ამაღლისა. აქვე იყო სასხლე საეკლესიო აზ-ნაურების მაღალაშვილებისა, რომელთვიცან აღირჩეოდ-



ნენ ხოლმე კათალიკოზის სახლო-უხუცესნი. ფართუ მფარე
თალიკოზის სასახლე იყო გეკლების ზღუდამ გადატესტება
ტაძრის ჩრდილოეთის მხრით. აღვრილი ანისხატსა და
სიონს შორის ეჭირა მეფის სასახლეს. ანისხატი, მრა-
ვალჯერ გოხხრებული, განაახლა (მე-XVII საუკ. დამ-
ლევს) კათალიკოზმა დომენტიმ, რომელმაც მასში და-
ასვენა მაცხოვრის ხატი, მოტანილი ტფილის ანის
საეპისკოპოსო ტაძრიდამ. მის შემდეგ თვით ამ ტაძარ-
საც დაერქვა ანისხატი.

ანის ხატის სიგრძე $1\frac{1}{2}$ ალაბია და სიგანე 1 ალა-
ბი. მაცხოვრის მარცხენა ხელში სახარებაა და მარჯვე-
ნათი ილოცება. ქრისტეს სახე და მოელი ხატი მოკედი-
ლია ძეირფასად და ძეირფასის თვლებით. ლუსკუმა ხა-
ტისა გადაერულია ოქროთი დაფერილ ვერცხლის ფოთ-
ლებით. ლუსკუმას კარებზედ გამოყვანილია ხატი ხარე-
ბისა, შობისა, მოგვეთა თაყვანის ცემისა და ნათლის დები-
სა. ამ უკანასკნელ ხატის ზემო სწერია: «სულსა ჰატ-
რონისა მანდატურთ უხუცესისა ბექისასა განუსვენე,
ღმერთია; მეორე კარებზე აწერია: სულსა ჰატრონი-
სა მანდატურთ-უხუცესისა და მეუღლისა მისისა მარინას-
სა განუსვენოს ღმერთმან». — მაცხოვარი თვისის ფეხით
ჰმუსრაეს ჯოჯოხეთის კარიბკეს და გამოჰყავს იქიდებან
აღამი და ევა; მაცხოვრის მარჯვნით ჰხატია ითანე ნათლის-
მცემელი, მარცხნით ქალწული მარიამ, ძირს ქრისტეს
საფლავზე დაყენებული დარაჯი და მაღლა (ზემო მხარეს)
ამაღლება. ლუსკუმის კარების ბოლოს აწერია: „ძენი
შათნი მანდატურთ-უხუცესნი ხარების, ყვარყვარე და
შალვა აღიღნეს ღმერთმან“*). ხატის ქვეშ სწერია:

*) ბექა და მისნი შვილნი სტოვრობდუნენ მე-XIV საუკუნე-
ში, იყინო ჰხატიან საფარის ტაძრის კედლებზედ.



„ბრძანებითა და ნაფის ბოძებითა ღვთავ-გვარების მიუღა
ნის დადის ღერთობა-ღერთობისა თაშარისთა შემახატე
ანჩედმან რქნაელმან კედ გვევა საშინელისა ამის ხატის პატა-
ვათა მოქედად; მოყარებ მცველ არს მეფიბისა მათასა აქა და
საუკუნესა. მოაქედა კედათა ბეჭასთა. ქრისტე შეიწავე”.

ღუსტემას ქვეშ აწერა „ადიდენ ღმერთმან კათოლიკუზია
ხატრაარქი, რომელმან განასლა ხატი ესე კადათ-უქმნედი: პარ-
ველ ღერთი — *) და სხვანი ხატ-მბრძოლისა გამოჩნდნენ, მას
უშეს მუნიციპან წარმოქანენათ და დაესკენათ კლარჯეთს, სა-
კამპის დასახლებისა საუდარისა ანნისასა. ბრძანებითა დ ნაფის ბოძები-
თა მეფეთ შეფისს თაშარისთა ითანე ანელს პატიოსნად მოჰქედა,
და თდეს გათათრდა სამცხე, ²⁾ შაშინ ადირედაურ ტფალისას
ვაჭარ და ეკადა ფასითა და მოეხსენებინა ბიძისა ჩვენისა კათო-
ლიკუზ-პატრაარქის დომენტისათვის ³⁾ და მას ძეირ-ფასად ეკად-
ნა და დაესკენა საუდარისა საკათადიკოზოსთა შეფიბასა პაპისა ჩვე-
ნისა მეფის ვატრანგისასა; ⁴⁾ მას აქეთ დიდად დაქვეღებულიურ
ხე და მოქედილობა; ჩვენ მეფეთ შარევანდებმან, უოვლისა საქართველოს
სატრაარქმან დომენტი ⁵⁾ კვალად განვახდეთ და მო-
ჰქედეთ გული და კუბო, და შევმატე თვალი და მარგალიტი,
ქრისტე ღმერთო, შემანდევ უოველი ცოდვანი ჩემია, სატანჭ-
მალისა და უოველთა შტერთა ხილულთა და უხილავთაგან მისენ
და შემრაცხე მარგვენით შენის და დაიცვე მეფე მეფეთა საქართ-
ველოს ბაგრატოვანი ვატრანგ ⁶⁾ და მეუღლე მათი ღერთობალი
რუსებან, ბაქარ, გაორგა და ასელინი მათი უოველინივე, ისენ
განსცდებისაგან. აშინ ქ სს ტობ. ⁷⁾).

*) ლეო ისაფრო 718—741 წ.—²⁾ მე-XVII საუკუნეში. —³⁾
დომენტი II (1160—1675), რომელმაც ანის ხატი და მასთან 9
ხატი სხვა, მოტანილინ კლარჯეთიდან ტფილისის ვაჭრისა ამირჯანისა
და მის ძეთა ზურაბისა, მელქემ სა და დაეცისი მიერ, შეიძინა 2000
მარჩილად —⁴⁾ მეფობდა 1658—1675 წ.—⁵⁾ დომენტი III (1705—
1712 წ.); —⁶⁾ ვატრანგ VI (1703—1724 წ.). —⁷⁾ 1715 წ.



ამ ხატის კარები მოუკედინებიათ (1686წ.). მოუკედინებიათ ამილახვარსა და შის მეუღლეს თამარს, ას ულა შეფის გახტანგ V-ისას, და ძეთა მათთა ანდუყაფარს და დემეტრეს. კარები მოუკედია და გაუკეოებია ოქრომჭერელს ბერუჟა დოლაძეს.

სამრეკლოს პედელს აწერია: „ჩექნ ქრისტეს შაერ კურთ-სეკულმან ბატონი შეიადგინ კათადიაკზმან დომენტი აღვაშენე სამრეკლო ესე და განვაახდე საედარი ესე სედის ჩემის სა-ასად შეფობასა ქართველის შანაგაზისსა. ქ-ნის ტნაგ“ (1675 წ.).

ტაძრის ზარს აწერია^{*)}: „ეს ზარი ბუღდან-ბეგმა ამაღახ-ვარის შეიადგინ ბატონის კათადიაკზმის დომენტის (შევსწარე) და კათადიაკზმა ქაღაქის დვთისმშობელის (შესწარა).“

6. ღურჯი მთხასტერი ვერაზედ ხაოზად ანდრია პირ-ველ-წოდებულისა, აგებული ლურჯის ალგეთის ქვით ძველს დროს. ვახუშტი შას ჭალის წმ. გორგავის ეკკლე-სიად. ამ საუკუნის დასაწყისს ამ ტაძარში ინ-ხავლენ თოფის წამალს. ტაძრის კედლების შიგნითი შხარე მთლად დახატული იყო. აღმოსავლეთის კედლე-ზე არის შემდეგი წარწერა:

„ვინაიდგან ჩემები ბრალეუდთაგან სარწმუნოებითა პეთა-დითა... პეთადად... ქმნადნა... ამისათვის მეცა შეიაღი ჭე შე-რიტისა ეშაზისა სახელით ოდენ ქრისტიანე, ხოდო საქმით ურჩა და კოვდად უშიშო დვთის ბრძანებითა უდირს ბასადი ქართველისა მთავარ-ეპისკოპოს ერთიადი, მე კეთიდ ნაშრომისა ითბისა უნდოთა ამათ შეირეთა ნავთთა შაერ გუდს მოდგინე-ბით შესხვებედი შენა ტექტისა ამას გიმები საედარ-სართულ-სა საშოსასლისა ამას ტაძარსა შენსა უოვდის სიფლისა შო-მნადირებელთა სარწმუნოებასა ზედა შართულის აკერთმეტი თა-

^{*)} ცველა ეს წარწერები და საზოგადოდ ტაძრების პლეირ გადმოვიდეთ პ. ისეკლიანის წიგნიდან: „Древности Тифлиса“.



ვად აღრმიცხელის დასს მოციქულთასა თანამოსაედრეთ, და გამოსაზრის
 (?) ანდრა... ხოლო ვაშენებ ნატყალ საგებელად ზემოქმდება
 საუკარლასა მმისა ჩემისა ე... უ ქართლისა ამირთა ამირისა
 რევასთავისა და შეადთა მთეველედია პატრიონისა ამულ-ასწი-
 სათვის და უპარმისთას მმისა ჩემისა შედის დავათისათვის
 ვადრემდის დაუდგრომდესა ამას და წარმომდინარეს ხოთველს
 შინა ხოლო..... ვიუწერ მშევადმით დაცულ საქადეკო
 ამათ შინა. ქართნიკონისა".

ამ წარწერის მიხედვით პროსე ამტკიცებს, რომ ეს
 ტამარი ავგებულია ან 1505 წელს და 1525 წ. გარდა
 არც პროსესა, არც იოსელიანისა და არც მათ მიმდევარ
 დ. გაქრიცებს, ჩვენის აზრით, ხავმოდ ვერ აუხსნიათ
 წარწერა. ჩვენ ვიცით, რომ თამარ დედოფლის დროს
 ტფილისში სცხოვრობდა ამავე ქალაქის მკვიდროთაგანი
 თავადი აბულასან, რომელი იყო „მეფეთ მეფისაგან წყა-
 ლობა—კელდასხმული ამირად ქართლისა და ტფილი-
 სისა" (ქარ. ცხ., გვ. 284). ამ აბულასანს ჰყანდა ეს
 გუზანი, რომელიც თამარს აემაღლებინა და დაენიშნა
 გამგედ კლარჯეთისა და შავშეთისა. გუზანმა ბოლოს
 უღალატა თამარს და იგი მოჰქონდა მთიბავებმა (ქ. ც. ვა-
 293, 324). ეს აბულასანი, აღმართ იყო გაქრისტიანე-
 ბული ყიბჩილელი ან იხი. მას კარგად უნდა სცხოვრო-
 ბდა ეს ქვეყნები, რაცგან თამარისათვის რომ ირჩევდნენ
 საქმროს, ამან სთქვა: „მე ვიცი შვლი რუსთა ხელმწი-
 ფისა..... რომელი ექსორია ქმნილ დევნილი, გარდ-
 მოიხვეწა და არს იგი ყიშაბუთა მეფისა სფიაჯს ქალაქსა
 „შინა". ვითარცა თამარი იწოდებოდა მეფედ „შეიდო
 სამეფოთა", „შვლთა თემთა", „შეიდო სეეტთა", იხე
 მისი ამირა ანუ ამირთ ამირა, რომელიც ჰელობდა
 ქართლიდგან რუსთავემდის (ყარაია), ჰეადის თავის



თავს პატრონიდ „შეიღთა მთეულელთა“, ე. ი. ერისთავის სა, ოხეთისა, ქართლისა, იანისა, დიდოეთისა, დღისა და მთიულეთისა.

ანდრია პირველწოდებულის ტაძარში პშარხია ცნობილი მოძღვარი ზაქარია გაბაშეილი, დიდი მტერი ანტონი კათალიკოზისა.

7. ვერის ტაძარი საოხად ღვთის მშობლისა, აშენებული ძველი და მიწერილი ანდრია პირველწოდებულის ტაძარზედ. მისგან, პ. იოსელიანის თქმით, დარჩენილია ორი კედელი და იგურის ტრაპეზი. ამ ნანგრევებს ყოველ წლივ, აღდგომის მეორე დღეს მოილოცავდა ხოლმე ერეკლე II-ის ახული ქეოვან, მეუღლე იოანე მუხრან-ბატონისა.

8. წმ. მარინეს ტაძარი ავლაბარში, აგებული ძველს დროს და განახლებული 1824 წ. 1849 წელს. წმ. მოწამეს მარინეს დიდად პატივს ცემენ ქართველნი. მის საოხად ბევრგან აგებულია ტაძარი, მაგ. კახეთში და სხ. მარინეს ასე ამკოდს კათალიკოზი ანტონი I.

სეკტ-მარგრატებს, შემნება ქადწედისა,
ადამს მტკიცობს, განება შეუხები,
შენხობდს კუტლს აკუდინებს, ურმაა ბრძენი მარანა,
სხუა და სხუათა მცნება ქედს იფარდუდებს მახვილს.

9. წმ. ექატერინესი, რომელიც ააშენა დავით აღმაშენებელმა საღვარად სინას ქართველთა მონასტრისა, აგებულია საოხად წმ. ექატერინესი. იგი გაოხრებული იქმნა ლანგოვმურისაგან, ხოლო ალექსანდრე I ისვე აღადგინა 1430 წ.. 1795 წ. ეს ტაძარი დაანგრიეს ყიზილბაშებმა, ხოლო სინას ბერებმა, მის მაგიერ პატარია ეკკლესია ააშენეს, შემდეგ 1861 წ. კიდევ განახლეს. ამ ტაძრის სრგელთაგან სჩანს, რომ მისთვის შეუწირავთ:



სიმონ გურიელს 25 მარტილი ყოველ წლივ (1624 წ.) და
გიორგი გურიელს (1682 წ.) 40 ყურუში, კახუქისა-შუფე
ალექსანდრე I 90 ლიტრა აბრეშუმი, იმერეთის მეფე სი-
მონ I 40 მარტილი, კაცია დადიანს (1783 წ.) 40 მარტილი,
ერეკლე II (1778 წ.) 50 ყურუში (=37 მან. და 50 კ.)
და კაცია 200 ყურუში, მეფე გიორგი XII (1800 წ.)
50 ლიტრა აბრეშუმი და სოფელი მელრევი ქართლს.

10. კალოუბნის წმ. გიორგი აგებულია უუძველეს
დროს და განახლებულია 1850 წ. მღვდლის იოსებ ნა-
მორაძის მეცადინეობით. კალოუბანი იმიტომ ეწოდა ამ
ადგილს, რომ აქ, როკორც გადმოგვეცმს თქმულობა,
ლანგორემურმა გალეჩა კალო, რომელზედაც ძნის მა-
გიერ ყრმები დაალაგებინა.

11. სამებას ტაძარი, აგებული ძველის საფუძველ-
ზედ (1790 წ.) პეტრე აღნიაშვილის მიერ, განახლებულ
იქნა 1863 წ.

12. კვარა-ცხოველი წმ. თომასი უუძველესი ტაძა-
რია. დანგრეული ლანგორემურისაგან, განახლებულ იქნა
XVII საუკ. მთავარეპისკოპოსის ქრისტეფორეს მიერ.

13. კარის ეპარქია წმ. გიორგისა, აგებული ძველის
წმ. მთავარანგელოზების ტაძრის საფუძველზედ. ას ძვე-
ლი ტაძარი შემუშარი ლანგორემურმა 1398 წ.. 1640 წ.
მისის ნაშთისაგან როსტომ შეფერ ააშენა სამი ტაძარი.

14. თანავ ნათლიას-მცემლისა როსტომის სასახლის წინ.

15. სარებისა სამეფო მოედნის შუაგულს და წმ.
გიორგის (კარის ეკკლესია), რომლის შენება დამთავრა
ბარონაშვილმა სიმონ ვახტანგის ძემ 1710 წ. და მის წინ
მოედნის მხარეს, თივთ სასახლე. ეს სასახლე გაადიდა
მეტა გიორგიმ XII-მან. წმ. გიორგის ტაძარი კარის ეკკლე-



სიად შეიქმნა. გიორგი გარდაიცვალა ამავე სტეფანებულები
და მისმა მეუღლემაც აქვე მოჰკლა გენ. ლაზარევის 1840 წელს
წ. ხაზინისაგან ეს სასახლე იყიდა კერძო პირშა, რო-
მელმაც სასახლე გაადიდა და გაამაღლდა ისე, რომ ახალმა
შენობამ სრულიად შეავიწროვა და დარღილა წმ. ტა-
ძარი. ამ ეკკლესიაში არის ფრიად მშვენიერი ხატი
წმ. ნინოსი, მოციქულთა სწორისა და ქართველთა გა-
მანათლებელისა.

16. ქვაშვეთი მთავარ-მოწამის გიორგისა, აგებული
მკელი ეკკლესიის აღვილის 1754 წ. გიგი (შაქული-ხან)
ამილახვრისაგან. ეკკლესიის კარგებეს ზემოდ არის წარ-
წერა: წეტნ ამილახვარმან გავმან, ქემან ანდუქაფან ამაღასო-
რისამან, და თანამეცხედრემან წეტნმან თრბელის ძას ასულმან
ბანგუაშ აღვაშენეთ ეკედესა ესე ღვაწლით-შემოსილისა მთა-
ვარ მთწამისა გიორგისა, ზღვდით, ბურჯით და სისხით, რათა
მეოს გუცელს გამსა სიკუდილისასა. ვინც იხილვიდეთ, შენდო-
ბასა გვიძრძნანებდეთ. აღეგო მეფობასა კეთილმსახურის გურგე-
ნისანის თეიმურაზისასა და ძას მისასა კეთილ-მორწმუნისა
შეფისა ირაკლისასას, სოდოთ მამათ-მთავრობასა ანტონი დავითია-
ნისა, განხორციელებისაგან სიტეს დუთისასა ჩინდ (1754 წ.).

წარწერა კარის-ბჭეთელ: სადადებელად დუთისა დროსა
სრულად როსის იმპერატორისა აღექმანდნე შირველისა და
ექსარხისამას საქართველოის და იმპერეთის სამღვდელოთა
ზედა მცხეთის მატრიატოლის და ტფალისას გარდააშ ქსნის
კრისტი დავითის ძას აღშენდა კარის-ბჭე ესე წელს ქრის-
ტესთ წევა ქორონიკონსა ფდ. (1816 წ.).

ამ ტაძარში ინახება შესანიშნავი ხატები: ა) შემო-
წირული ინდო გაბაშვილისაგან 1713 წ., ბ) წმ. გიორ-
გისა, მოტანილი სოფელ ენაგეთიდგან, გ) ორი ხატი
ლვითისმშობლისა, შემოწირული ზურაბ სახლო ხუცესი-



საგან 1665 წ., დ) ლეთისმშობლის ხატი ბეთანისას მანავანი
სტრისა *) და სხ. ქაშვეთობა მოდის 10 გიორგიშინთვეს.

17. დაღუბის დეთასმშობლისა (მისი აღწერა იხ. ზემოდ).

18. დეთასმშობლის საკრებულო ტაძარი ძევლ ნანგ-
რევებზე აგებულია (1680 წ.) ელენქს მიერ, რომელიც
იყო ასული მეფე ვახტანგ მე-IV-სა. ესეც რომ გაოხრდა,
ხელისხმა კიდევ განახლა (1795 წ.) ერეკლე II-ეს ასულ-
მა მარიამმა. ამ ეკულესის ახლოს იყო სასახლე კათო-
ლიკოსებისა ანის ხატან, რომელშიც სპარსთა ბატო-
ნობის დროს სცხოვრობდნენ მათი ხანები.

19. წმ. არაჟიასა და დარიას მონასტერი მეტეხის
გორაზედ. ამ მონასტრის უმთავრესი ეკულესი და თვით
სასახლე ააგო ერეკლე II-ეს მეუღლემ დარია დედო-
ფალმა, რომელიც აქვე სცხოვრობდა შემდეგ ერეკლეს
გარდაცვალებისა 1803 წლის დასახლების. ხოლო ამ წელიწადს
იყი გარდაასახლეს ჩუხეთს, საცა აღესრულა 8 ნოემბ.
1807 წ. ეს სასახლე მისის ეკულესითურთ შეიძინა
ექსარხოსმა თეოფილაქტემ და აქ გამართა ს.სულიერო
სემენარია და სამრევლო სკოლები. იონა მიტროპო-
ლიტმა (1824 წ. 29 ოქტ.) ტაძარი იყუროთა შაცხოვ-
რის ფერისცვალების მონასტრად. მონასტრის უმთავრეს
ტაძარში ჰმარხიან: ეპისკოპოსი გორისა ნიკიფორე
ჯორჯაძე († 1851 წ.), მთავარეპისკოპოსი დოსითეონი
(† 1829 წ.), რომელსაც 1815 წლიდან ებარა სამწყებ
თელავისა და კავკასიისა, არქიმ. ევგენი († 1832 წ.),
რექტორი სემენარიისა.

20. ტაძარი სახელსა ზედა ეკვდა ურეველთა ნუბეშინი-
შემედიას თაბორის გორაზედ სეიდაბადს კათოლიკოსე-

*) ბეთანის ტაძარი აგებულია თამარ შეუისავან.



ბის საზაფხულო სასახლეში. გაოხრებული ტაძრის გეგმა
ნაახლა და იკურთხა (1836 წ.). საქართველოს ექიმთა
ხოსმა ევგენიმ. 1849 წ. წლიდგან გაუქმდა ეკელესია-
ცა და კათალიკოსების სასახლეც.

21. ტაძარი წმ. ფერის გამოქანის სახედობაზედ კუ-
კიაში აგებული 1815 წ. შემდეგ განახლებულ და გა-
დაკეთებულ იქმნა აწინდელ კუკის წმ. ნიკოლოზის
ტაძრად.

22. ტაძარი წმ. ბართარესი ქვემო ნათლუბში, აგებუ-
ლი ძევლს დროს, დიდი თაყვანის-საცემელია, დღეობას
(4 დეკემბ.) აქ იკრიბება დიდიძალი მლოცველი. წმ.
ბართარეს მოსალოცად აქ მუდამ მოჰყავთ სახადით მორ-
ჩენილი ბავშვები.

23. ტაძარი წმ. ბართარესი ზემო ნათლუბში, აგებუ-
ლი ამ მიმდინარე საუკუნეში.

24. ტაძარი ელია წმინდა, მახათის მთაზე. აწ დან-
გრეული.

ამ საუკუნეში კიდევ აგებულ იქმნა შემდეგი ტაძ-
რები:

25. ალექსანდრე ნეველისა (კუკიაში).

26. წმ. ნინოს კუკის სასაფლაოზე, რომელსაც
აქვს შევენიერი სასახლე სამრევლო სკოლისათვის.

27. მაღავნების უბნის ტაძარი (კუკიაში).

28. პეტრე-პავლეს ავლაბრის სასაფლაოზე.

29. ხარებისა (არქიელის ქარის ეკელესია).

30. ივერიის დევის-შშობლის (პირველი ვიმნაზიის
კარის ეკელესია).

31. წმ. ნინოს ტაძარი (ქალების ინსტიტუტის კა-
რის ეკელესია).

32. წმ. ალექსანდრე ნეველის (მთავარ-მართებლის
კარის ეკელესია).

33. წმ. ითანე ღვთისმღტყველისა (სასულისერთა ხაზი სწავლებლის კარის ეკულებია).

34. წმ. ანდრია პირველ-წოდებულისა (სემენარიის კარის ეკულებია), განახლებული 30 ნოემბ. 1862 წ.

35. წმ. ნეკოდოზისა ორთავილის იხლოს, აგებული დეკანოზის ბასილის მიერ ბერძნთაოვის.

36. წმ. ალექსანდრე ნეკოდოსა (ალექსანდრეს ბალში).

37. სამხედრო საკრებულო ტაძარი გუნიბის მოედანზედ (ნაკურთხი 21 მაისს 1897 წ. სახელსა ზედა ალექსანდრე ნეკოდოსასა).

38. ქალების 1-ლი გემნაზიის კარის ეკულებია.

39. იუნკრების სკოლის კარის ეკულებია.

40. სამისსიონერო ტაძარი (რიყეჭედ).

41. ვარების 2-რე გემნაზიის კარის ეკულებია.

3. ტაძარი სომეხთა

1. განქა არის უპირველესი, უუძველესი და საეპისკოპოსო ტაძარი სომეხთა. მისი საფუძველი დაიდგა მე-XVII საუკ. გასულს. შარდენის თქმით ვანქი ანუ ფაშავანქი ააშენა ვიღაც სიმალეთიღვან გადმოხვეწილმა ფაშამ. ეს ცნობა შარდენს გარდასცეს თვით აქაურმა სომხებმა, რომელთაც მაშინ (1673 წ.) ტფილისში ჰყეანდათ თვისი ეპისკოპოსი. ამ ფაშის მიერ აგებულ ტაძრის ნამუსრევზე აგებულ იქმნა (1720 წლის აბლოს) აწინდელი ტაძარი, რომელიც საბოლოოდ განახლებულ იქმნა 1788 წელს.

2. სურ-ნაშანი (წმ. ნიში), როგორც სჩანს მისის წარწერისაგან, აგებულია 1701 წ., ე. ი. მაშინ, როდესაც საქართველოს მეფედ (უკეთ ვსთქვათ: გამგედ)



სპარხთა ყაენისაგან დანიშნულ იყო ლეონტეს/მატეა/ ვახტანგ სახულმდებლისა.

3. წალე-ფანქ (ყვავილის სავანე) ნავთლუდში *).
5. ასტერაწინ (ლვთისმშობელი), იქვე.
5. წირანავთან ასტრაწინინ (წითელი სარტყლიანი ღვთისმშობელი) კრწანისში.
6. ღუსაფრინი (გრიგორ განმანათლებელი) ავლა-ბარში.
7. კარმირ აკეტრან (წითელი სახარება) იქვე.
8. ქმარაწინ იქვე.
9. ძორაბაშია სურბგევონქ (ხევისთავის წმ. გორგო) იქვე.
10. სურბ შანას (წმ. მინას) იქვე.
11. ხოჯევანქ ასტრაწინინ (ხოჯევანქის ღვთისმშობე-ლი) იქვე.
12. სურბ კარაპეტ (წმ. კარაპეტი) იქვე.
13. ასტერაწინ (ლვთისმშობელი) ჩუღურეთში.
14. ასტერაწინ (ლვთისმშობელი) კუკიაში.
15. თანდოან ასტრაწინინ (თანდოიანთ ღვთისმშო-ბელი) იქვე.
16. სურბინი (წმ. ჯვარი) ვერაზელ.
17. ზრუინანტ ასტრაწინინ (ზვრინაანთ ღვთისმშობე-ლი) იქვე.
18. მოღნინინ სურბგევონრქ** (მოღნინის წმ. გორგო), აშენებ. 1751 წელს.

*) სა სომხების ტაძრებისა კადმოგვე ღიღად ჰატივ-ტეშელმა მდგვდ. გ. ა. შერმაზანანცმა, სადმირთ სვეტის შასწავლებელმა ტფალისის რეალურ სასწავლებლისას, — რას-თვის შას კარავთ უბედათადეს მადლობას.

**) ამის ქვემოთ მოხსენებული ეპატესიები სოლილაკ-სა და შეაგუდ ქადაქშა.



19. ქაშთანთ ტაბარი.
20. პუსნაც სურბ სტეფანოს (მოლოზნების უსტაციონურად ფანე).
21. ბერხეშინ ასტუაწაწინ ანუ ფეოთხაინი (ბეთლემის ღვთისმშობელი).
22. ქართველი სურბგევორქ (ქართველის კლდის წმ. ვიორგი).
23. დასტი სახი სურბგევორქ (მინდვრის ჯვრის წმ. ვიორგი).
24. ცერემონიაჲეტ (მთავარანგელოზი).
25. სურბ სარქის (წმ. სარქისა).
26. ნორაშენ, აგებული 1793 წელს.
27. ჭადრაშენ ავეტიაც (ჯიგრაშენი ხარებისა), 1785 წ.

შენაშვნა. ამ ეკაკლესიათაგან ვახუშტის დროს 7 ეკუთვნოდა ქართველებს და, მათ შორის ბეთლემი, რომელსაც სომხებმა უწოდეს ფეოთხაინი (ბეთხემი); ეს ტაძარი აგებულია 1740 წ., სურბნიშანი წმ. ნიკოლოზისა და წმ. მთავარანგელოზისა, რომელსაც სომხებმა უწოდეს ცერემონიაჲეტ (მთავარანგელოზი). ეს ტაძარი უძველეს დროს ბერძნების ხალოცავი იყო და ჯტრ ისევ ვიორგი მფ-ქმ-ის დროსაც იგინი ამ ეკაკლესიისთვის ედავებოდნენ სომხებს*). ამას ვარდა ქართველებს კუთხნილები ყოფილა კიდევ წინანიურის ტაძარი (კრწანის-ში), თაბორი (ავლაბრის, ვორაზე), თელეთის ტაძარი (ხოფ, თელეთში).

*). ახ. Описание древи. Тифлиса, პდ. აოსევდიანისა, გვ. 233 და ქავკასъ въ древи. памятникахъ християнства დ. ბაქრაძесъ, გვ. 44, ხვდ. მოუკანიდია ცხობა შესახებ განხისა.

ზ. კათოლიკეთა სუდისა, ირმინგარდი
გილავარისადა

კათოლიკეთა სარწმუნოების გავრცელება მოჰყვა
რუსულან დედოფლის მეფობას. მონგოლები რომ შემო-
ესინენ საქართველოს და დაამარცხეს ქართველნი, მაშინ
რუსულან დედოფალი, უმწეოდ დაშთენილი, იძულე-
ბულ იქმნა მიემართა რომის ტახტისადმი და შემწეობა
ეთხოვნა პაპ პონორი III-ისა და პაპ გრიგორი IX საგან,
და ამასთანავე ამ უკანასკნელს რუსულანმა შეუთვალია,
თუ დამეჩმარებით, „მეტა და ჩემი ქვეყანაც რომის ეკკ-
ლესიას შევუერთდებითო, ე. ი. კათოლიკობას მივი-
ღებთო“ *). პაპმა გრიგორიმ რუსულანი შეაქო ამ გვარ
განზრახვისათვის, დაპირდა დომინიკანელ ბერებს გა-
მოგიგზავნი, ხოლო ლაშქრით შემწეობის შესახებ მო-
სწერა, რომ რადგან ჩემი ტახტი დიდს განსაცდელშიაო
ჩვეარდნილი იმპერატორ ფრიდრიხისაგან, ამიტომ ჯერ-
ხნობით ვერას შეგეწვიო ²⁾). მიუხედავად ამისა, პაპმა
გრიგორი IX მაინც გამოგზავნა 7 ბერი რუსულანისა
და მისი ერის მოსაქცევად, გარნა რუსულანმა უარპყო
მათი მოძღვრება. 1289 წ. პაპ ნიკოლოზ IV ხელახლა
გამოგზავნა მღვდლები, რომელნიც ქართველობაშ პა-
ტივით მიიღო, და ნება დართეს ტფილისში ჰყოლოდათ
თვისი ეპისკოპოსი. კათოლიკების პირველი ეპისკოპო-
სი ტფილისში იყო იქ, საცა ეხლა კათოლიკეთა ხარე-
ბის ტაძარია ³⁾). პაპთან მიწერ-მოსწერა ჰქონდა აგრეთვე
მეფე კონსტანტინე III (1469—1505 წ.). ამ გვარ მიწერ.

*) იხ. „ივერია“ 1879 წ., № 5, გვ. 195.

²⁾ იქვე.

³⁾ Опис. др. Тифліса, გვ. 234.

მოწერისა და აქაურ კათოლიკე ბერების ოსტატურა ჩაუდგა
დაგება-გარჯისა გამო კათოლიკეთა მოძღვრების უქნაშება
მოიკიდა საქართველოში და სახელდობრ ტფილისსა,
ვორსა, ქუთაისსა, სამეგრელოსა, გურიასა და ახალცი-
ხესა. თუმცა 1600 წლიდგან კათოლიკეთ აღარა შევან-
დათ ეპისკოპოსი, არამედ თეატინელი მამები, მაგრამ
მაინც მათი რიცხვი გამრავლდა და უფრო მეტად კი
1604 წლიდგან. კათოლიკე ბერები ძლიერ განათლე-
ბულნი კაცნი იყვნენ, იცოდნენ ექიმობა და ქართულს
ენასაც სწავლობდნენ. ამ ენის შესასწავლად რომის
„მოქადაგეთა სკოლაში“ პაპმა დაწესა ქართული ენის
კათედრა და პროფესორად გაამწესა ქართველი—ირბა-
ხი, რომელიც „მოელს წინა აზიაში განთქმული იყო
მეცნიერებითა და სადიპლომატო ელჩობით“. ამ სკო-
ლიდგან გამოვიდნენ, მაგ., პაულინი, რომელმაც შე-
ადგინა და დაბეჭდა (1626 წ.) ქართული ანბანი და
მასში ჩაურთო 3,084 ქართული სიტყვა; მაჯი, რომელ-
მაც შეადგინა ქართული ენის გრამატიკა ლათინურ ენა-
ზე და დაბეჭდა რომს (1643 წ.). ეს წიგნი ისრე სწრა-
ფად გავრცელდა, რომ იყო მაღლ მეორე გამოცემიდაც
დასტამბა *) (1670 წ.). ამავე ხანებში რიჯენცრანდომ
შეადგინა (ქართულის ანბანით) იტალიური და თათრუ-
ლი (აღერბევანის) ლექსიკონი, რომელიც 1722 წ. შე-
უძნია მურადიანთ ტირაცუ ითანეს **). ამას გარდა ქა-
რთულად გადმოთარგმნილ იქმნა გორის მკვიდრის ტლუ-
კანთ დავითისაგან რომს დაბეჭდილი (1733 წ.) წიგნი
„საქრისტიანო მოძღვრება“.

*) „ეს შეორე გამოცემა შავის გრამატიკისა დაწერადე-
ბით განხილულია ჩვენ-მაურ („ივერია“, 1895 წ., № 164).

**) იხ. ჩვენი წერილი, „ივერია“ 1895 წ., № 149.



ამნთორად განისაზღულმა კავშირში რომსა და სამართლის აკადემიური კულტურული მოძღვრება ჩეც შეინარჩუნა. მოგზაური პიეტრო დელილივალლი პაპს ურბანოს VIII-ეს მოახსენებს (1627 წ.), რომ „პატრი ფრაჯოვან-თადერო წმ. ერისეს კარმელიტი ანელი ფქს-ში შევლი საქართველოში იყო, მეფე თეიმურაზმა მას განუცხადა მევობრობა... როგორც ჩენებურ ქრისტიან სამღვდელო პირს, საჯაროდ აწირეინა თავის უმოავრესს ტადარში, იმ ქვეყნის მიტროპოლიტის თანადასწრებით; მეფეს თვითონიც უნდოდა წირვის მოსმენა, მაგრამ არ ვიცი რამ დაუშალა. გარდა იმისა მეფემ უბრაზ და ჩაიბარა მას მიწა-ჩდგილი იმისთვის, რომ ამ ქვეყანაში მას, თუ ისურებდა, გაეკეთებინა ჩენი რჯულის მონასტერი და ეკკლესია. ერთის სიტყვით, როგორც მეფემ, ისე ალავერდელ მიტროპოლიტმაც, რომელიც ითვლებოდა გონიერ კაციდ და რომის საქმის ერთგულ მსახურად, გამოიჩინეს რომის ეკკლესიერისადმი ისეთი გულ-კეთილობა, რომ მეტი აღარ შეიძლება“ *).

პატრიარქი დოსტითებიში სწერს **) მეფე შანაონის უამს (1758—1675 წ.) მოვადა იკერთაში ეჭიში ინდრია ხილასელი და შთააგონი მეფეს მოეწვია იუსტიტინი. ხომენ წიართვეს ორი ტადარი: ერთი გორში და ერთიც ტფილისში და გადის კეს იქნებორებს. ამ ბერებმა პაპის ტახტა შესძინეს ზოგიერთნი სომებნი, ე. ი. მოაქციეს ნისლისიაგან წყვდიადისადმი. 1688 წ. მე გავსუნდ იუსტიტების წერილები: იგინი სწერილენ რომაელს, რომ

*) ავერა 1879 წ. № 3 გვ. 33.

**) მ. სევერნევი. ი რელიგია. ი იუსტიტ. ი იუსტიტ. ერა ამ და XVII მსა, გვ. 229; ჩვენი საქართვ. ისტ., გვ. 359.

პაპისადმი მოვაქციეთ მეუე) და სამლელელოთა, საკურთხევები ბიო, ხოლო ეს ტყუილია".

ეს არც იმდენიდ ტყუილია, როგორც გვარწმუნებს მართლ-მაღიდებელი პატრიარქი დოსტოევსი. მეუე-კი არა, მისი იხლოს ნათესავები და მოგვარეები პაპისადმი მიიქცნენ. ესრეთნი პირნი იყვნენ, მაგ., ხა-ბა ორბელიანი, რომელიც იყო დედის ძმისწული ვიორგი XI-ისა (1676—1688 წ.), ანტონი I კათოლიკოზი, ვახტანგ მეფის ძმის იქცეს დე, თვით ისტორიკოსი ვა-ხტანგ ვახტანგის დე და სხ. ეს ვახტანგი ჯერ ისე 15—16 წლისა იყო, რომ დაუახლოედ ტყილისის კათოლიკთა ბერებს; მას კიდევც შესწამეს გაფრანგება, რის გამო თუკრძალეს მისელა-მოხვა ხსენებულ ბერებთან *).

თვით შანაოზ მეფეც შოწყალედ გჰყურობოდა ტფილისის კათოლიკთა ბერებს, პატრიეტებდა მათ, უმასპინძლდებოდა, თავის სასახლის ექიმებად ამწესებდა და სხ. შარდენი ამბობს, რომ მეფე შანაოზმა მიგვიწევია ქორწილში მე და ტფილისის კაპუცინების პატერი რაფაელ პარმელი, მეფის კარის ექიმიო. ქორწილის დასასრულს პრეფექტმა მეფის ბრძანებით იგალობა იტალიურსა და ესპანურს ენებზე საეკკლესიო საგალობელნი და სიმღერანიო **).

ამნაირად გაძლიერდა ჩვენში ფრანგობა, რომელსაც მიემსრო თვით ეკკლესიის მამათ-მთავარი ანტონი I. თეიმურაზ მეფეს არ მოეწონა სარწმუნოების რყვა, დაამხო ანტონი კათალიკოზი და საჭართველოდგან გან-

*) იხ. ჩვენი „Извѣстія груз. антик. и истор. о съвер. Кавказѣ и Россіи“ გვ. 88.

**) Опис. древ. Тифл. 243, 244.


დევნა კათოლიკეთა ბერები (1755 წ.), ხოლო მათთვის დიდი ეკკლესია, ტფილისში სახელსა ზედა ხალქმანთა შატარუმადიდებელთა ეკკლესიას შემატა. კათოლიკეთა ბერები ახალციხეში წავიდნენ, საიდგანაც იგინი დააპრუნა ერეკლე II (1763 წ.), ხოლო ძველი ეკკლესია-კი აღარ დაუთმო მათ. კათოლიკეთა ახალი ტაძარი იგებულ იქმნა 1804 წ. და მასთანეე ააშენა სასწავლებელი ყარაევმა, ერეკლესი და გიორგი შეფერბის მკურნალმა. 1844 წ. რომაელების მოძღვრების მაგიერ კათოლიკეთა ეკკლესიას განაცემენ პოლონელთა ქსენზები (მღვდლები). ტფილისში მათ აქვთ სამი ეკკლესია: ხარებისა, პეტრე-პავლეს და სასაფლაოსი, სოლოლაკს.

6) გერმანელთა ტაძრები.

1818 წ. საქართველოში გადმოასახლეს 500 კომლი გერმანელთა. ამათგან ზოგი დასახლდა სოფელ კუკიაში, რომელიც 1824 წ. ქალაქ ტფილის მიეწერა, და 25 სახლობა ტფილისის მოშორებით, მტკვრის პირას; ამათ სოფელს ჰქვიან „შორეული ახალშენი“. გერმანელთ ტფილისში აქვთ ერთი მშვენიერი ეკკლესია მიხეილის ქუჩაზე (აკურთხეს 1897 წ.) და აგრეთვე ერთიც შორეულს ახალშენში.


7) ურაკთა თორთა.

ტფილისში ურიებსაც აქვთ თავისი სამლოცველო საყდარი—თორთა, რომელსაც სთვლიან კერპობის დროინდელ ნაშთად.



— 1735 —

f 1735 ✓



Cartina XIII Longobardia. (Mappa del Longobardo)